მწერლის გაზეთი

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი
№5 (295)
15 სექტემბერი – 15 ოქტომბერი 2022
ფასი 1.50 ლარი
გამოდის თვეში ერთხელ

ნოველა

წარღვნით ჩაქცეულ ნაპირზე

ავტორისაგან

ეს ნოველა 1989 წლის 9 აპრილს დავწერე. მაშინვე მივიტანე „ლიტერატურულ საქართველოში“, მაგრამ დაბეჭდვაზე უარი მითხრეს.

რუსთაველის პროსპექტზე კედლებსა და ხეებზე გავაკარი, რის შემდეგაც კეთილ ინებეს და უცვლელად გამოაქვეყნეს.

ვიცი, ახლა არავინ არაფერს კითხულობს, მაგრამ ვკადნიერდები და ხელახლა განწვდით რუსი ჯალათების სისასტიკის დასტურად.

რევაზ მიშველაძე

მე, მცხოვრები ოზურგეთის რაიონის სოფელ შუაგანახლებაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი მანანა კეკელიძე, მომკლეს 1989 წლის 9 აპრილს განთიადისას. ვთხოვ საქართველოს მწერალთა კავშირს, თუ საშუალება გააჩნია, სამ ცალად გაამრავლოს ჩემი ჩვენება. ერთი გაუგზავნოს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი ჯარების სარდალს, მეორე დემონსტრანტთა დარბევის გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო მესამე თავის არქივში დაიტოვოს. დიდი იმედი არა მაქვს იმისა, რომ პირველ ორ უწყებაში ჩემს ნაწერს გულისყურით მოეკიდებიან. როგორც ამბობენ და როგორც ტელევიზიის გადმოცემებიდან ჩანს, უნდათ იმ საზარელ ღამეს მომხდარი ფაქტები მიაფუჩეჩონ. თურმე რესპუბლიკის ხელმძღვანელს გაუფრთხილებია ჯარის სარდალი; ურტყით დემონსტრანტებს, მაგრამ მოსაკლავად ნუ გაიმეტებთო. თურმე ჩვენ, უიარაღო, მშვიდობიანი მოშიმშილენი დავესხით თავს მშობლიური წითელი არმიის ნაწილებს და მუშტებით სამხედრო ტექნიკას (განსაკუთრებით ტანკებს) დიდი ზიანი მივაყენეთ. ჯარი რომ დავარბიეთ, თურმე, ერთმანეთს დავერიეთ და ჩვენს მიერვე ატეხილ ხოცვა-ჟლეტაში შემოგვაკვდნენ უმწეო ადამიანები. თურმე ჩვენ გამოვიყენეთ მომწამლავი გაზები და ქიმიური იარაღები სახელოვანი ჯარის ნაწილების წინააღმდეგ. ასე სინდისიანად და მართლად სჯის ის სახელმწიფო მანქანა, რომელსაც სურს ერთხელ კიდევ წაშალოს მშვიდობიან მოქალაქეებზე თავისი სისხლიანი „გამარჯვების“ კვალი. ვთხოვ მწერალთა კავშირს, ეს ჩემი ნაწერი შეინახოს არქივში. ალბათ, ოდესმე დადგება დრო, როცა სიმართლის თქმა შესაძლებელი გახდება. მომავლის მწერალს იქნებ მოხვდეს ხელში ეს ქაღალდი და ერთ მაგალითად მაინც გამოადგეს. რაც ვნახე და განვიცადე, იმას ვწერ. შელამაზების თავი სადა მაქვს. მესამე დღეა გონს ვერ მოვსულვარ. ახლაც, კალამი რომ ავიღე ხელში, მთელი სხეული მიკანკალებს. მე, რვაში დილით, დაახლოებით თერთმეტ საათზე, დავჯექი საშიმშილოდ. თავიდან დაჯდომას არ ვაპირებდი, ჩემი ჯგუფელები — წიქორიძე და გალდავა ისხდნენ და მათ სანახავად წავედი. მომეწონა ვითარება, ზიხარ, მხიარულად საუბრობ, ირგვლივ ხალხი ბუზივით ირევა. თანაც გოგონებმა მითხრეს: „მოდი, მანანა, დაჯექი, ცხოვრებაში სამუდამოდ დაგამახსოვრდებაო“. მართლაც, სამუდამოდ დამამახსოვრდა. წამკითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს იმდენად ქარაფშუტა გოგო ვიყო, რომ მხოლოდ დროის გატარების და უჩვეულო გარემოში გართობის მიზნით გადავწყვიტე შიმშილობა. რა გართობაა, ცივ ქვაზე ჯდომა და ღამით კანკალი, მაგრამ დამერწმუნეთ, არც ეს მომენტია გამოსარიცხავი. თანაც დარწმუნებული ვიყავი და ახლაც ვარ, რომ, ჩემი აქ ყოფნა ქვეყანას ჭირდებოდა, რაღაცაში ვეხმარებოდი საერთო საქმეს. გოგოებმა თბილი წინდები და ვიღაცის დიდი (ცოტა არ იყოს, ოფლის სუნი ასდიოდა) დაბამბული ქურქი „გამიხერხეს“, სამივემ ფეხებზე ცელოფანის საბანი შემოვიხვიეთ და ერთმანეთს მიხუტებულნი ვართ, ნახევრადწამოწოლილები, შიმშილის კიბეებზე. გვერდზე გამოხდილი წყლის ბოთლები გვილაგია. დროგამოშვებით ვწრუპავთ და ვმასლაათობთ მხიარულად. იცით? რაღაც სასიამოვნო შეგრძნება იყო, ფიქრი იმაზე, რომ ყურადღების ცენტრში ხარ, ქვეყნისთვის მცირეოდენ მსხვერპლს იღებ, რაღაცას თუ ვიღაცას პროტესტს უცხადებ. ისე გაიარა დღემ, არც გამიგია. მოწყენის დრო სად იყო. მთელი ცხოვრების მანძილზე ცალ-ცალკე მყოფნი, ერთმანეთისგან სუბორდინაციული თუ ეთიკურ-ზნეობრივი ბარიერებით გათიშულნი, ახლა საოცრად ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. თითქოს ოცდაათიათას კაცს ერთმანეთის სუნთქვა ესმოდა, ჩვენი სხეულებითაც კი ვათბობდით ერთმანეთს. სიცრუეა, თითქოს ჩვენ, არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებისგან ვიყავით შეგულიანებულნი. მიკროფონი განუწყვეტლივ ხმაურობდა, მაგრამ სიტყვები ნახევარი არ გვესმოდა. რას ილაპარაკებდნენ ბოლოს და ბოლოს? ლამაზად, ან შედარებით ნაკლები ორატორული ხელოვნებით ჩვენს დღევანდელ ვითარებას შეეხებოდნენ და ბოლოს დაამთავრებდნენ; „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო“. რამდენ ხანს შეიძლება ისმინო ერთი და იგივე და ჩვენც, გითხრათ სიმართლე, ორატორების მიმართ დროდადრო ინტერესს ვკარგავდით. მე, პირადად, არც ის ვიცოდი, კონკრეტულად, რას მოვითხოვდით ჩვენ, მოშიმშილენი, ან რამდენ დღეს უნდა გვეშიმშილა. არ გამცეთ და გულში ვამბობდი; გავჩერდები ერთ-ორ დღეს და, თუ ძალიან გამიჭირდა, დავბრუნდები სტუდქალაქის ჩემს თბილ ოთახში-მეთქი. მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ლექსებს ამბობდნენ. აქა-იქ ჯგუფებში გიტარაც გაჩნდა. სწორად მინდა წარმოიდგინოთ; მთელი ეს ხერობა პატარ-პატარა ჯგუფებად იყო დანაწილებული და ყველა, რომ იტყვიან, თავისებურად ერთობოდა, თავის ჭიას ახარებდა. მეცინება ახლა, გაზეთებში რომ ვკითხულობ: „ვითარება თანდათან იძაბებოდა“, „პროცესი უმართავი ხდებოდა“, „მდგომარეობა თანდათან საშიშ იერს იღებდა“, „მტრული ელემენტები ბრბოს შეტევისაკენ მოუწოდებდნენო“. ერთად შეგროვილი ხალხის რომ ეშინია, ის მთავრობა მთავრობაა? არავითარი საშიშროება, არავითარი აგრესიული განწყობილება, ან საიერიშო მოწოდებანი იქ არ იგრძნობოდა და არ ისმოდა. ეტყობა, წლების მანძილზე გათიშულ საზოგადოებას დროდადრო სურვილი უჩნდება ერთად ყოფნის. ყველაფერი უფრო გასართობ, მშვიდობიან ეროვნულ კარნავალს ჰგავდა, ვიდრე პოლიტიკურ აქციას. სანთლები, ცად აღვლენილი ათასი კაცის ერთდროუ-

ლი ლოცვა, ვაშა და ტაშის გრიალი, სამოცდაათწლოვანი შიშისგან განთავისუფლების აღტკინება, მასობრივად წელში გამართვის და თავისუფლად ლაპარაკის ილუზია, მოახლოებული, რაღაც უფრო დიდი სიხარულის მოლოდინი — ეს მართავდა აპრილის სახალხო მოძრაობას და არა რაღაც გამოგონილი ნაციონალისტური განწყობილება, ან ანტისახელმწიფოებრივი ლოზუნგები. ამგვარი ლოზუნგების არსებობას არ გამოვრიცხავ, მაგრამ დედას ვფიცავარ, არ ახდენდა ისინი ჩვენს სულზე იმ გავლენას, რისიც ასე ჰშინებიათ ხელისუფლების წარმომადგენლებს. ძალიან ცოტა იყო იმ მილეთ ხალხში ისეთი გულუბრყვილო, რომ იმედი ჰქონოდა, თუ ხმამაღლა ვიყვირებთ, ეს არის, გაღმა გავედითო. ჭკვიანმა კაცმა მშვენივრად იცის, რომ თუნდაც ყველაზე გრძელი მიტინგით და თვითმგვემი შიმშილობით სანუკვარ მიზანს ვერ მიწვდები. მე თუ მკითხავ, შვიდდღიანი ქაქანით ხალხს მიტინგსაც შევაძულებთ. მიტინგი ოთხ საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. სწრაფად უნდა შევიკრიბოთ, ვთქვათ ჩვენი სათქმელი და სწრაფადვე დავიშალოთ. არ უნდა მივცეთ თოფიან კაცს გონს მოსვლის და „ზომების მიღების“ (როგორც ეძახიან) საშუალება. რაკი ამგვარი აღტაცებულ-საზეიმო განწყობილება სუფევდა, უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოსის გამოსვლაც არ მივიტანეთ გულთან. ღვთის მოციქულმა გაგვაფრთხილა, ტანკები მოდიანო, მაგრამ იმდენად ვენდობოდით ახალ, საგარდაქმნო მოძრაობას, იმდენად გვჯეროდა ვიღაც-ვიღაცების, რომ ვერ წარმოვიდგინეთ, თუ მშვიდობიან, უიარაღო მოქალაქეებს თავს დაგვესხმოდა ჩვენივე არმია. არმიას რას ვერჩი, ვინ იფიქრებდა თუ დამსჯელ ექსპედიციას თითით უჩვენებდნენ ჩვენზე „ჰკა მაგასაო“, სწორედ ისინი, ვისგანაც დაცვის და თანადგომის იმედი გვქონდა. ტანკებმა ადამიანთა სახელდახელო დერეფანში გაიარეს და დადგნენ. ტაში რომ ჩაცხრა, ფარ-მუზარადში ჩამჯდარი ჯარისკაცები ჩვენკენ შემობრუნდნენ. ვიღაცამ დაიძახა: „ჩაჯექითო“. ჩვენ, მოშიმშილენი, ისედაც ვისხედით, ეს იმათ ეხებოდა, ვინც ტანკები გაატარა და ჯარისკაცებთან ახლოს იდგა. წამით ჩამოწვა სამარისებური სიჩუმე. მიკროფონი გამოირთო. პროჟექტორები ჩააქვრეს. მარტო სანთლები ბჟუტავდა აქა-იქ. წინა რიგებში ერთბაშად მუხლზე დაეშვნენ. ეგონათ, ალბათ, ჩამჯდრებს არ შეგვეხებიანო. უეცრად ჰაერი სიმღერამ გაჰკვეთა. მარჯვნივ, ტრიბუნის ქვემოთ, ტაში დასცხეს და ცეკვა-თამაში გაიმართა, ჩემი გონებიდან არ ამოვა ის, სიკვდილისწინა, ცეკვა-სიმღერა. თითქოსდა განწირულთა როკვა იყო. ერთნი, ასფალტზე მჯდარნი, სანთლებით ხელში ჯარისკაცებისკენ შებრუნებულიყვნენ, მეორენი გამეტებით ცეკვავდნენ და მღეროდნენ; ვინ იცის, იქნებ სხვათა გასამხნევებლად, ან საკუთარი შიშის დასაძლევად. საშინელმა წინათგრძნობამ გული გამიწვრილა. სუნთქვა შევაჩერე და თვალები წამით დავხუჭე. რომ გავახილე, პირველად ჯარისკაცებს ვესროლე მზერა. ფარები გადაეყარათ და მარტო ოდენ ხელკეტებითა და საველე ნიჩბებმომარჯვებულნი იდგნენ ჩვენ წინაშე. სულო ცოდვილო, მომეჩვენა, რომ ზოგი მათგანი კევსაც ღეჭავდა. პატარა, ურჩ ბიჭებს ჰგავდნენ, მოჭუტულ თვალებში მტაცებელი ფრინველის სიჯიუტე ედგათ. ომობანას თამაში ნამდვილ ჩხუბში რომ გადაიზრდება და ყმაწვილები ქორებივით რომ შეაჩერდებიან ერთმანეთს, სწორედ ისე იდგნენ. „ღმერთო, ახლა რაღაც საშინელება მოხდება-მეთქი“, ისევ წამართვა შიშმა თვალსინათლე. ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ტალღურად მოკლაკნილ-მოკანკალე სიმღერა ღრიალ-კივილმა შეცვალა. ჩემს უკან მოშიმშილე ბიჭი წამოდგა და ყელის გახლეჩამდე დაიბღავლა — „არ ადგეთ!“ მოწოდებების და გონს მოსვლის დრო აღარ იყო. სიკვდილის ცელი ამოქმედდა. შიშისგან წელი ვერ ავწიე. პირთავქვე დავემხე და თავზე ხელები დავიფარე. ფეხებზე და ზურგზე საშინელ ტკივილს ვგრძნობდი. უკან მომწყდარნი მუხლებითა და ხელებით ჩემს ზურგზე გადადიოდნენ. ვიღაცამ თმებში ჩამავლო ხელი და ზევით, ერთმანეთში გადახლართულ, დარწეულ ხალხში გადამაგდო. „მარჯვნივ გაიქეცით!“ „ზემოდანაც ჩამოდიან!“ „დაჭრილები არ დატოვოთ!“ — ისმოდა ყვირილი, მაგრამ ვინ გაარკვევდა, საით იყო „მარჯვნივ ან მარცხნივ“, ან დაჭრილებს ვინ გამოარჩევდა. ყველას თავისი თავი უჭირდა. რა გრძნობა იყო იცით? რომ ყველანი ლაოკოონის გველებივით ვართ გადაბმულნი ერთმანეთზე და წარღვნამ თავზე გადაგვიარა. განწირული ადამიანები ერთმანეთს ხელს არ უშვებდნენ. ვისაც როგორ ჩაავლეს ხელი, ისე ებღაუჭებოდნენ. საშინელება ყოფილა სიკვდილის შიში. გინდა როგორმე სხვას ხელი არ აუშვა, რომ მარტო არ დარჩე და სხვამ თავს არ უშველოს. ორიოდე წუთში ხალხის დიდი გორგალი მარჯვნივ მიაწყდა და თითქოს ქვესკნელიდან ამოძვრნენო, ჩვენ თვალწინ ხელნიჩბიანი მკვლელები აღიმართნენ. ერთმანეთში არეულ ადამიანთა გროვას აცხრებოდნენ და გამეტებით სცემდნენ. სცემდნენ, სადაც კი მოუხდებოდათ. სცემდნენ გაქცეულს, წაქცეულს, მოხუცს, ახალგაზრდას, ქალს, კაცს. ეს არ იყო წესრიგის დამყარებისკენ მიმართული ცემა. ეს იყო რბევის, ხოცვის, ანგარიშის გასწორების აქცია. სასწაული მოხდა; ფხოჭნა-ხრიალში ვიგრძენი, რომ ფეხიც და თმაც გავითავისუფლე. თითქოსდა მარტო დავრჩი. კატის სიმარდით შევვარდი მაღლა, გაზონებში და ის იყო ნარგავებს ჩაბღაუჭებულმა, გრილ მიწაში ჩავრგე თავი, რომ ზურგზე საშინელი დარტყმა ვიგრძენი. გონება არ დამიკარგავს. ვიღაცამ ცალ ფეხში მტაცა ხელი და გრანიტის კიბეზე გამათრია. სამხედრო ჩექმას მოვკარი თვალი და ღონიერმა ხელმა პირაღმა ამომატრიალა. ჩექმებს შორის ვარ მოქცეული და ჯარისკაცის უტიფარ სახეს ვხედავ. დგას და მეჩვენება, რომ იღიმება კიდეც, შემაგინა და ჯერ წიხლი ამომარტყა ფერდებში, მერე სახეზე სურდა ფეხის დაბიჯება, მაგრამ გადაბრუნება მოვასწარი და პირველი ხუთი დარტყმა მახსოვს თავში, მერე ყურსა და ღაწვებზე თბილი სითხე (სისხლი!) ჩამომეღვარა და თვალებზე ბლანტი, ბურუსი ჩამომაწვა. თითქოსდა, მეძინებოდა და ძილს მიშლიდნენ. თითქოსდა თავქვე მიმაქანებდა მდინარე და ჩემ თვალწინ სწორედ ის ნაპირი ირღვეოდა, სადაც ფეხი უნდა შემედგა, სადაც ხელგამოწვდილნი მელოდებოდნენ. არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე კიბეზე. მახსოვს, თავი წამოვწიე და მკვდრებით სავსე მოედანს მოვავლე თუ არა მზერა, თითქოს მიდარაჯებდაო, კუს ბაკანივით მწვანე ჟილეტმორგებული ჩექმოსანი ჯალათი მომვარდა და მტკავლის სიგრძე მენზურით ცხვირში ჯოჯოხეთის შხამი შემაფრქვია. პირი გამიშრა, სუნთქვა შემიგუბდა. ვგრძნობდი, როგორ მებერებოდა ფილტვები, ყელში ბურთივით მაწვებოდა რაღაც. სიცოცხლედ მიღირდა ერთი წვეთი წყალი, ერთი ამოსუნთქვა. მიშველეთ-მეთქი, ეს ალბათ უკანასკნელი ყვირილი იყო. სიონის ზარების რეკვამ გამომაღვიძა. გარდაცვლილები იატაკზე ვესვენეთ და სულ ახლოს ანგელოზთა გალობა ისმოდა. კარს მიღმა, ქუჩაში, ფარ-მუზარადიანი მკვლელები იდგნენ.

შიშმა შემიპყრო. მომეჩვენა, რომ ამ ღვთის სახლშიც არ მოგვასვენებდნენ, სიონშიც შემოცვივდებოდა სიკვდილის ლეგიონი და ხელმეორედ დაგვხოცავდა. პანაშვიდზე მოსულთა გულისცემაც კი მესმოდა. ყველაფერს ვგრძნობდი, მაგრამ ტყვიასავით დამძიმებული სხეული არ მემორჩილებოდა. მინდოდა მეყვირა, მაგრამ ყელსა და ფილტვებში დუღაბივით გამაგრებულიყო რაღაც და ხმის ამოღების საშუალებას არ მაძლევდა. როგორ მინდოდა კუბოში ლამაზი ვყოფილიყავ, მაგრამ საუკუნის საწამლავით სუნთქვაშეკრული და ფილტვდახშული ჩემს თავსაც ვერ ვცნობდი. რუსთაველის პროსპექტზე რომ ჩამატარეს, კინაღამ კუბოში წამოვჯექი ყვავილების ტბის სანახავად. ზღაპრული იერი ჰქონდა ირგვლივ ყველაფერს. ბოღმისგან სულშეძრულ ხალხს ჩვენი სისხლი ყვავილებით დაეფარა, რათა ვერასოდეს ვერავის მოერეცხა ცხრა აპრილის კვალი. დახრილი დროშებით იდგნენ შავი ნაჭრით თავწაკრული ჩემი ძმები და ქაშუეთის ზარი მათი ვერდაჩოქების სიმღერას კვნესოდა. ახლაც ჩემს საფლავზე დადებული თითო მიხაკი, სითბოდ მეწვეთება გულზე. ალალი იყოს შენთვის, ჩემო ქვეყანავ, თავისუფლებისთვის დაღვრილი ჩემი სისხლის ყოველი წვეთი.

დავით ახლოური

* * *

ბუდეაშლილი მერცხლებივით ვეძებთ
ერთმანეთს
ცხავატელები,
ჭურთელები,
ცხრაძმისხეველნი...
რას მოვესწარით,
ეს რა ბედი დაგვყვა ღმერთმანი,
საკუთარ ჭერქვეშ ვეღარა ვართ ღამისმ-
თეველნი.

სადღაა ის დრო, მშობლიური და საამური,
როცა ფრესკებზე ვკითხულობდი
ლარგვისის სევდას,
ღრუბლებს ვავედრებ, მომიკითხონ ჩემი
ჟამური,
ჩემი ბერციხე - ქართველების მოხუცი დედა!..

...სად წახვედიო -
წინაპრები მეკითხებიან,
არსად წავსულვარ, ისევ ქარჩოხს დავეხეტები,
დედის ხელები საჭედილე ქვაბთან თბებიან
და ყველდაბისკენ მივიჩქარი გულისფეთებით...

რა ლამაზი ხარ ახალგორო, ასე შორიდან,
ახლოს რომ მოვალ,
ალბათ დამწვავს შენი ალერსი,
ნისლში ჩაფლული მეფერება ჩემი ცხმორი და
სამებისაკენ უფლის მადლი მიხმობს ალევში.

წირქოლისა და ახშადურას ნახვა მწყურია,
კაბენზეც გეტყვით -
მზისდარია,
მაინც სხვა არი...
ჩემს გზა-სავალზე კორინთა და საძეგურია,
სადაც წინაპრებს აღმერთებენ ნავროზაანი.

უნდა შევძლო და გადავლახო დარდის რიკოთი,
მერე მზის სხივი მივახატო ღრუბლის ქულაზე,
სატრფოს გულივით მელოდება ჩემი იკოთი
და ტატუნაანთ „ალავერდი" ყანჩაურაზე.

მე მდიდარი ვარ:
ოსი ძმა მყავს, ოსი ნათლული,
რა მტერი უნდა მოერიოს იმათ სიყვარულს...
ჩვენ ერთად გვზრდიდა ღვთის ნება და მიწა
ქართული,
ვენაცვალებით ერთმანეთის ჭირს და
სიხარულს...

წარსულიც გვახსოვს, არვინ იყო ჩვენი
მძლეველი,
თუმც არ გვზოგავდნენ,
მოდიოდნენ ხაკის კიტელით...
საქვეყნო საქმეს განაგებდნენ ქვენიფნეველნი,
იერუსალიმს დაიბრუნეს ტაძრის კლიტენი...

ვინ შემაჩერებს,
როცა ქსანზე გული იწევს და
პაპის ნაჯაფარს მედავება ვიღაც ოხერი...
დასაწერი აქვთ ისტორია ბანდაისძეთა,
ნახავენ, როგორ დაამიწებს მტარვალს ოხირი.

ლომისის მადლმა, დაიბრუნებს ქსნის ხევს
პატრონი,
ღვთის დედა იცავს ჩემს სამშობლოს
ჯვარ-ხედებიანს,
ძველ ციხეებზე ცეცხლს დაანთებს შანშე
ბატონი
და ჩვენთან ერთად საფლავებიც
ამხედრდებიან!...

ბუდეაშლილი მერცხლებივით ვეძებთ
ერთმანეთს...

* * *

ჩემი გზა-ბილიკი დარდია და,
ასჯერ გაცვეთილი სინანული,
როგორ წაგვიხდა და გატიალდა,
მტერს რომ შევატოვეთ - ი მამული...

აღარც ქარჩოხისკენ გავიხედეთ,
ველარც მოვიკითხეთ ძმა-მოყვრები.
გული მიეცემათ ა იმ ქედებს,
შენ თუ ახალგორში წამომყვები...

* * *

ვუძღვნი ბებიის -
ქეთევან პავლიაშვილის ხსოვნას

ჩემს ბებოს ოთახში ეკიდა სურათი
ბრძოლებში დაღლილი, ნაჯაფი პაპისა,
არაყს შემოდგამდა ტაბლაზე სურით და,
ჭანჭურის შარბათი მოჰგავდა თაფლისას.

ერბოკვერცხს შეწვავდა პატარა ტაფაზე,
ვიტყოდით ღვთისას და მშვიდობას ყოველთა,
ცრემლივით შემორჩა წარსულის დაფაზე
ტკივილი, რომელიც თან გაჰყვა „პოვლეთ ქალს"...

მე დღესაც მგონია ღმერთივით უნაკლო
ბებია, ჩუმად რომ თვალებს იოსებდა,
სიკვდილმა წაართვა შვილები უმანკო,
მათ თავს აბარებდა პაპა იოსებას...

ძალიან მიყვარდა ჩემი ქეთო ბაბო,
სურდა შევხვედროდი ღვთისდარ მზექალასა,
თითქოს ახლაც ჩემს წინ დგას და
მშვიდად ამბობს:
„სულსაც მირჩევნიხარ და მთელ ქვეყანასაც"...

ალბათ იქაც ჯავრობს, მზეს რომ მეცილება
ის, ვინც ქარჩოხიდან სადღაც გამაძევა,
ჩემი თბილი ბებო... როგორ ეციება,
ისეც ცივი იყო მისი ტაბარძენა.

მაინც მანუგეშებს: „ჩემი არე-მარე,
სხვას ვერ დარჩებაო, გეწამლოს ბებია"...
ღმერთო მაპატიე, რომ ვერ მოვუარე
მიწას, რომელშიაც წინაპრის ძვლებია!

* * *

მიმაქანებს ბედი, როგორც
წყალწითელა ტივტივებს...
მე რომ წავალ, ერთი გოგო
გულამოსკვნით იტირებს...

ჩამოყვება ტაძრის კედლებს
ცრემლი, მსგავსი თოვლისა...
წავალ, ჩემს სულს შეიკედლებს
დიდებული ლომისა...

მივეცემი რაღაც ახალს,
რაღაც უცხოს, ღვთის ნებით...
მერე იქაც დამინახავთ,
სადაც აღარ ვიქნები.

მერე ზოგჯერ წვიმად მოვალ,
სხივად მოვალ ან მთვარედ...
გადაივლის როცა თოვა,
ქსანზე დამასაფლავეთ.

შემიმშრალეთ ქართლის ცრემლი,
ნუ დამტოვებთ თალხიანს,
იქ დამმარხეთ, სადაც ჩემი
პაპის პაპა მარხია,

რომ შემოვრჩე ცხმორის კედლებს
შეძახილად ლომისა...
წავალ... ჩემს სულს შეიკედლებს
დიდებული ლომისა...

* * *

მოწყენილია უშენობით ჩემი ოთახი
და ყოველღამე ეშინია სიზმარს თენების,
შემოირბინე სიყვარულო, თუნდაც ცოტა ხნით,
თორემ ხელებში მიკვდებიან ქრიზანთემები...

გახსოვს? -
სარკმელთან ატუზული მთვარის პროფილი,
დილით, რომ სადღაც დაემალა ღამის ნათებას,
სიყვარული კი, უფალივით უარყოფილი,
ლექსებს შემორჩა ვით ამაო თავის მართლება.

ქარიც ხომ გახსოვს,
აშარი და სასომხდილი
(შენს მოსახიბლად რა არ სცადა, რა არ იღონა)...
ახლა ისე ვარ, ვით ედემში სიკვდილმისჯილი,
რომელმაც ევას სიყვარული გამოიგონა...
...
მოწყენილია სიმარტოვით ჩემი ოთახი,
მაგრამ არ მინდა, უშენობამ გამატიალოს...
შემოირბინე სიყვარულო, თუნდაც ცოტა ხნით
და დედამიწა ჩვენს გარშემო დავატრიალოთ...

* * *

ამ ღამემ დილამდე რომ ვეღარ გასტანა,
ქსნის პირას გაექცა ლორწომს...
პატარა გოგო ხარ, ფიფქივით პატარა
და დიდი ბიჭები მოგწონს...

რამდენმა სცადა და ვერ მოგინადირა
მზისფერა, უმანკო კრავი.
ვინც გხიბლავს, ვინც გიყვარს იმისთვის,
ნამდვილად,
უკვე დაქალდი და რა ვი...

იცელქე, იგიჟე... რა დიდი რამეა,
ეს წლები მოწყენად არ ღირს...
ქსნის პირას ისეთი მაცდური ღამეა,
დილამდე ალერსით დაგღლის.

დილით კი რიჟრაჟი აგიწვავს ღაწვებს და...
გახდები ბავშვივით მორცხვი.
მერე კი, მზე როცა მთვარესთან დაწვება,
სურვილი აგიტანს კოცნის.

და ღამემ დილამდე თუ ვეღარ გასტანა,
აისად ეწვიე ლორწომს...
პატარა გოგო ხარ, თუმც რაღა პატარა,
ქალობ და დიდობა მოგწონს...

* * *

...და იდგა მაშინ აპრილი თეთრი,
ცივი დღე იყო,
დილიდან წვიმდა...
წვიმის ალერსით შეშლილი მდედრი
ანგელოზს ჰგავდა, ხატივით წმინდას...

სხვა ხიბლი ჰქონდა ღმერთების ნაგრამს,
ხან მზეობდა და
ხან გერგეთობდა...
მთელი არსებით მიყვარდა, მაგრამ
როგორც ამბობდნენ - არ მერგებოდა...

და მეც ვიყავი
ყველასთან მორცხვად
გზა აურიეს ღამეს ბიძებმა...
გამახსენდება სოფელი, როცა
წვიმასთან ერთად
გამეღვიძება...

წარსულის ლანდები

ჩემს სიზმარში ჯერ ისევ გაზაფხულის დარია,
დედის თბილი ხმა მესმის... ეზოშია ბებიაც...
გაკვეთილებს მოვრჩი და სახლში მიმიხარია,
შარშანდელი ზვავები მზის ალერსით დნებიან.

ჩემს სიზმარში ჩიტიანთ ყანას ჭამენ ჩიტები
და განვდევნით, როგორც კი მოვა
„ჩიტი-ფაფობა"...
მურაბით მაქვს მოთხვრილი თოკზე
ჭრელი ჩითები,
ჩვევად მექცა ქილაში ჩუმად თითის ჩაყოფა...

ჩემს სიზმარში ჭორჭოხის მთიდან მოჩანს იელი
და ყველდაბის აღმართზე ენძელები ყვავიან...
მიუყვება ჭურთულას გოგო მოჭალიელი,
უცხო ვაჟის დანახვამ მარტივით რომ არია.

ჩემს სიზმარში საღამოს შვიდის ნახევარია,
ავტობუსი სოფლისა კელაკლდეებს გამოცდა...
ვიდრე დაასრულებენ ნლები ყრმობის არიას,
ჩავაბარებ ბავშვობას სიყმაწვილის გამოცდას...

მერე სადღაც გაქრება ლანდები და... ცოდვაა...
რეალობა მტარვალის ხელით შეიბილწება...
ქსნის ხეობის გარეშე ზღვის წვეთივით
ცოტა ვარ,
საქართველო ჩემთვის ხომ ყელის ტბიდან
იწყება!!!

* * *

ხან მზის სხივი ხარ, ხანაც მეწყერი,
ცივი ღამეა სხვა დანარჩენი...
დღეიდან მთვარეს აღარ ვეწვევი,
ჩემი დაისის ხარ განაჩენი.

სულ არ სჭირდებათ გრძნობებს სადავე,
სულ არ უხდება სიყვარულს ჭორი...
სხვა რაღა გითხრა - უფალს გადარებ
და ჩემს გულში ხარ ღმერთივით შორი.

* * *

მკათათვე იყო,
შეღამებამ
ქუჩას მიმაბა,
თითქოს ზეციდან
ჩამოვიდა
შოლტივით ქალი...

სკამზე ჩამოჯდა...
გაინაზა...
მზერა მინაბა...
გამიღიმა და
გამისწორა
ლოთივით თვალი...

მერე სიგარეტს
მოუკიდა,
მთვარეს გახედა,
შიშველი მკერდი
შეაგება
მიმქრალ ალიონს...

უცხო მდედრისკენ
გაიწია
გულმა თავხედმა
და ბაგეებმაც
ამოტყორცნეს:
ა ი, ქ ა ლ ი ო...

მკათათვე იყო...

* * *

სულ ამ წვიმების გამოა,
დღეს რომ მოწყენილს გხედავ,
ჩვენი მზე ისევ ამოვა,
გულს აპოვნინებს ქედანს...

ღამე მაგონებს დალალებს,
მაგრამ მაინც დღეს ვეტრფი...
მზე თუ მთებს იქით დამალეს,
მთვარის მისამართს გეტყვი.

* * *

შევხვდით...
ვეღარ მიცნო თითქოს...
წყენით მარიდებდა თვალს -
„ჩემი სხეული და სითბო
რატომ დაუთმეო სხვას"...

ვდარდობ...
მენანება...
ვწუხვარ
სხვაგან დაღამებულ მდედრს,
მაგრამ, რა გინდა, რომ უთხრა...
ესეც დაბრალდება ბედს...

რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ 2021 №3,4,5,6; 2022 №1,2,3,4)

მემუარები
როგორ ირწეოდა ხომალდი

1/VII 90

კვირაა.

ხვალ დემოგრაფიული საზოგადოების კონფერენციაა, დამირეკეს.

დემოგრაფიული საზოგადოება კარგი საზოგადოებაა, მაგრამ ამ ბოლო დროს ეროვნულ მოძრაობას, ცოტა არ იყოს, ჩამოცილდა და კომერციაზე გადავიდა.

კომერციაც საჭიროა, თუ იგი ქვეყნის სამსახურშიც დგას.

ეროვნული საზოგადოება მაინც ეროვნული საზოგადოება უნდა იყოს.

უპირველეს ყოვლისა, მას სიწმინდე და უანგარობა მოეთხოვება.

მეოთხედფინალში დარჩნენ ინგლისი, არგენტინა, გფრ, იტალია.

ვინ გაიმარჯვებს?

2/VII 90

ელიზბარ ჯაველიძეს მივუტანე ნოველა „თოჯინების თეატრი“.

დღეს სიტყვით გამოვედი დემოგრაფიული საზოგადოების კონფერენციაზე.

3/VII 90

მთელი დღე „თვისტომში“ მოქალაქეთა მიღება მქონდა.

თხუთმეტამდე მთხოვნელს მოვუსმინე.

ყველას მივეცი შუამდგომლობა საქართველოში ჩამოსასვლელად, ქართველებს რასაკვირველია.

მერე „რესპუბლიკის“ კორესპონდენტი გალინა ხარებაშვილი მეწვია და მესაუბრა „თვისტომის“ ამოცანებზე.

„თვისტომმა“ ძალიან ჩამითრია.

4/VII 90

ვამზადებ წიგნს „იღბლად გადარჩენილი ნოველები“. წიგნში შევა ის ნოველები, რომლებიც ვერ დავბეჭდე, ან ცენზურამ დაასახიჩრა. ამ წიგნის გამოცემას რუსთაველის საზოგადოება მპირდება.

5/VII 90

ირაკლი აბაშიძესთან ვიყავი ენციკლოპედიაში პატარა ადგილი გამომიყავი „თვისტომისთვის“-მეთქი.

არაფორმალური საზოგადოების მეშინიაო. მე ძველი კაცი ვარ და, თუ ძმა ხარ, ფათერაკს რასმე არ შემამთხვიოო. ბოლოს დავითანხმე.

ირაკლი აბაშიძე ძალიან მიყვარს.

6/VII 90

ფაკულტეტის საბჭოს ოთხსაათიანი სხდომა გვქონდა.

გვესწრებოდნენ რექტორატიდან ლევან ალექსიძე და ვახტანგ გოგუაძე.

კურსდამთავრებულებმა პრინციპულად არ ჩააბარეს სახელმწიფო გამოცდები. მივცეთ თუ არა მათ დიპლომი?

საბჭომ გადაწყვიტა არ მიეცეს.

ალბათ, სწორია, როგორ შეიძლება ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი უარს ამბობდეს ქართული ენისა და ლიტერატურის ჩაბარებაზე.

მე ვთქვი: მაინც ნუ ვიქნებით სტუდენტებთან ასე კატეგორიულები-მეთქი. შევხვდეთ, გულდასმით მოვესაუბროთ, იქნებ შევთანხმდეთ-მეთქი.

7-8/VII 90

შაბათ-კვირა მუხაწყაროში გავატარე.

დავწერე ნოველა „რა იციან მეზობლებმა“.

ნოველაა ნახევრად სახუმარო. კაცს რომ გააღიმებს ისეთი.

წავიკითხე ჩემი წიგნის „განაჩენის“ კორექტურა.

ვუყურე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს — გფრ-არგენტინა.

პენალტით ძლივს მოუგო გერმანიამ.

მარადონა ტიროდა.

წაგების გამო კი არა, სიბრაზის გამო: მსაჯმა პენალტი „აჩუქა“ გერმანელებს.

9/VII 90

დილით ვალერი გაბელიამ მომაკითხა.

კიდევ ერთი უსამართლობის შესახებ მიამბო.

მოატყუეს, გააცურეს. გადადექი მეურნეობის დირექტორობიდან და სხვა, უკეთეს ადგილზე გაგიშვებთო.

რაიკომის მდივანი — მემარნიშვილი გადაეკიდა გაბელიას და დაამარცხა მართალი ბიჭი, რომელსაც მთელი სოფელი უჭერდა მხარს.

მოტყუებული გაბელია სოფლიდან წამოსვლისთანავე სამართალში მისცეს. შენ და ფანჯიკიძემ უნდა მიშველოთო.

აი, ასეთი წყობა გვაქვს ჩვენ და ასეთი სამართალი.

10,11,12/VII 90

ვაჟა ლორქიფანიძეს ვეახელ „თვისტომის“ ბინის საკითხზე, გოგი ანდრონიკაშვილს დაურეკე-მეთქი.

დამპირდა.

თბილისში საშინლად ცხელა.

„ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქტორთან მივყევი ყვარლის დელეგაციას. კოლექტიურ წერილში ყვარლელები ამტკიცებენ, რომ ლეკთა სოფელთან პიკეტი თვით ლეკებთან შეთანხმებით მოეწყო.

რედაქტორმა მჟავე სახე მიიღო.

13,14,15/VII 90

კუს ტბა ორჯერ გადავცურე სიგრძეზე.

ჩემი თავი შევამოწმე, ხომ არ დავბერებულვარ.

ჯერ არა. არ ვიღლები.

მეწვია მიშა ქვლივიძე. მითხრა, ჩვენს საერთო იდეაზე პოლიტიკური თეატრის შექმნის შესახებ, უკვე ველაპარაკე გიგა ლორთქიფანიძეს. თანახმაა. ხორავას სახლის სცენა თვეში 4-ჯერ დაგვითმოსო.

ვფიქრობ, კარგი თეატრი შეიქმნება: მე და მიშა ქვლივიძე სცენაზე ერთად გამოვალთ.

ელცინი გავიდა პარტიიდან. ძალიან გამეხარდა.

მეწვია ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარი ნუკრი ასლამაზიშვილი.

ყურადღებით ვათვალიერე მისი ნახატები. კარგი ბიჭია.

მივწერე ჯემალ ლოლუას და ჯანსუღ ღვინჯილიას — დაეხმარეთ-მეთქი.

16/VII 90

დღეს აჩიკოს პირველი გამოცდა აქვს ფიზკულტურის ინსტიტუტში.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აჩიკომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

კაცი გამოვა, ჯანმრთელი, სულმრთელი.

ქურდობას არ ისწავლის.

დღეს „რესპუბლიკაში“ დაბეჭდილია ვრცელი ინტერვიუ ჩემთან სათაურით „თვისტომი“ თვისტომს დაეძებს“. ვლაპარაკობ ჩემს დამოკიდებულებაზე საქართველოს პრობლემებთან.

17/VII 90

გუშინ აჩიკომ ხუთიანი მიიღო ცურვაში.

გახარებული მოვიდა, ყველაზე უკეთ გავცურეო.

18/VII 90

ვამზადებ წიგნს — „იღბლად გადარჩენილი ნოველები“.

მაწუხებენ უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებთან დაკაშვირებით.

ვერ გავაგებინე ამ ხალხს, რომ მე არა ვარ „გამოცდების“ კაცი.

არ ვეკუთვნი არც ერთ საგამოცდო მაფიას.

19/VII 90

ყველაფერი წინასწარ იყო გათვლილი ჩვენი მტრების მიერ. ჩვენი მტრები-მეთქი რომ ვამბობ, ეს სიტყვა აჩემებული როდი მაქვს. დიახ, მტერს საკმაოზე მეტად კონკრეტული სახე აქვს: ეს არის საქართველოს დათრგუნვის მოსურნე იმპერიული ძალები.

ვაი, რომ ნებით თუ უნებლიეთ, ჩვენც ვუწყობთ ხელს.

სათანადო კაბინეტებში (ღრმად მჯერა) წინასწარ იყო გათვლილი ის, რაც ახლა ხდება და შეიძლება გათვლილი იყო 1-2 წლის წინადაც.

ვითამაშოთ გადაუწყვეტი უნიათო ხელისუფლების როლი, გავუნაწილოთ ხელისუფლება ეროვნულ მოძრაობას, რის შემდეგაც მას სწრაფად მიეტმასნებიან ფულის შოვნის სურვილით ანთებული პირები, ეროვნული მოძრაობა სიწმინდეზე ვეღარ ილაპარაკებს, მერე ლიდერები გადავკიდეთ ერთმანეთს და ესეც შენი ჩავლილი ეროვნული მოძრაობაო.

ჩვენ კი ეროვნული მოძრაობის შეფერხებას იმით ვუჭერთ მხარს, რომ ერთი მხრივ კომუნისტურ პარტიის დამოუკიდებლობაში ვხედავთ გამოსავალს, რაც ჩემი ფიქრით აბსურდია, არ შეიძლება მთელისგულისნაწილი მთელისაგან განსხვავებული იყოს. როცა იმ ნაწილის მეთაური მთელის სახელმძღვანელო აპარატში შედის. და მეორეც საქართველოს უმთავრესი საქმე მისი ეროვნული სხეულის გაძლიერება, ფერხდება პროვოკაციული, წინასწარდაგეგმილი დათმობებით.

მე თავისუფალი მწერალი ვარ. არცერთ პარტიას არ ვეკუთვნი და, რა თქმა უნდა, არც კომუნისტურ პარტიას, რომელსაც კარგა ხანია დავუქნიე ხელი.

ახლა საქართველოში მიტინგები და ქუჩის მოძრაობანი მიჩუმდა და მიწყნარდა.

მაგრამ ღრმად სცდებიან საქართველოს ეროვნული მოძრაობის განელების მოსურნენი.

ეს ქარიშხლის წინ ჩამოვარდნილი სიჩუმეა.

საქართველო თავისუფლებისთვის ბრძოლაში უკან აღარასოდეს აღარ დაიხევს.

ეკოლოგიურად კი მაგრამ, ეროვნულად არავითარი საერთო სახლი არ არსებობს და არც საჭიროა. კავკასიაში ქართველს თავისი სახლი აქვს.

20/VII 90

მილიციის სამმართველოს წინაშე შუამდგომლობა თბილისში ჩაწერისთვის გავუწიე ბაქოდან ოჯახით ჩამოსულ ქართველს ომარ კვირტაიას, რომელსაც ენერგიულად აწვალებდა ჩვენი ბიუროკრატია.

21, 22/VII 90

ძირითადად აგარაკზე, მუხაწყაროში გავატარე.

დავწერე ორი ნოველა „დრამატურგ გაგაძის ჩვენება“ და „რა იციან მეზობლებმა“.

ვკითხულობ ბევრს.

ვცდილობ გავერკვე ჩვენი ეროვნული მოძრაობის შეფერხების მიზეზებში.

ამბიციურობამ, ერთიანი მიზნის უქონლობამ, მწყობრი გეგმის გარეშე მოქმედებამ დაგვწია უკან.

დღეს ტელევიზიაში მე და თამაზ ტყემალაძემ ორმოცწუთიანი დიალოგი ჩავწერეთ. იქაც იყო „ეს არ თქვა, ეს არ შეიძლებას“ მოტივები, მაგრამ თამაზის წყალობით მაინც გაბედული საუბარი გამოვიდა.

სხვათა შორის, მივაკითხე ზოგ არაფორმალთა გაზეთს, იქაც არ უნდათ თავისუფალი მწერალი. თუ იმას დასწერ, რაც ჩვენი პარტიის ინტერესებს შეესაბამება, კი ბატონოვო.

ისევ ამაოდ, ენაგადმოგდებული დავრბივარ „თვისტომის“ ბინაზე.

23...31/VII — 1/VIII 90

ზვიად გამსახურდიას პარტიამ მატარებლები გააჩერა სამტრედიაში.

დგას ახლა 30 მატარებელი მგზავრებით სავსე. საშინელი ანტისანიტარიაა „მოამბემ“.

მიზანი? „მრგვალი მაგიდა“ აცხადებს: უზენაესი საბჭოს სესია, ნაცვლად 17 აგვისტოსი გაიმართოს 7 აგვისტოს.

ვერ გავიგე, რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

საერთოდ, თითოეულ პოლიტიკურ ნაბიჯს თავისი მკვეთრად გამოხატული მიზანი უნდა ჰქონდეს.

„მერანში“ ჩემს ახალ წიგნს — „განაჩენს“ მივაკითხე. დამატრიცებულიაო, მალე ბეჭდვა დაიწყებაო. მიხარია.

„მერანის“ წინ რეზო ინანიშვილი შემხვდა. ამასწინათო, მითხრა, ჩემს დღიურებს ვათვალიერებდიო, ერთ ადგილზე ჩამიწერიაო — რევაზ მიშველაძე ამაყად, ცოტა ამპარტავნულად დაგვცქერისო. ახლა, „მნათობში“ და „განთიადში“ შენი ნოველები რომ წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ მართლაც გაქვს საბუთი და საფუძველი ბევრ ჩვენს კოლეგას ზემოდან დასცქეროდეო. მხარზე ხელი დამადო და გამშორდა

რეზოს ფერი არ მომეწონა. სიკვდილის ფერი ჰქონდა სახეზე. ცრემლი მომერია, მაგრამ არ დავანახე, არ შევიმჩნიე.

2/VIII — 27/VIII 90

ბიჭვინთაში, მწერალთა სახლში ვიყავით — აჩიკო, ნათელა და მე.

ვერ დავისვენე.

ვწერდი ბევრს. რვა ნოველა დავწერე.

თან აფხაზეთის ცხოვრებაში რაც შემეძლო ჩავიხედე.

ჯერ „თურქი მესხები“ შემოგვისია გორბაჩოვმა.

9-10 აგვისტოს ლამის მკერდით შევკარით ლესელიძის ჭიშკარი.

თვალი არ მომიხუჭავს. 10 ავგისტოს მიტინგზე ლამის ერთსაათიანი სიტყვა ვთქვი. საქართველომ თავისი საზღვარი უნდა დაიცვას-მეთქი. გვეყო „გულმოწყალება“ მიწების გაცემაში-მეთქი.

17 აგვისტოს რადიოში მქონდა დიალოგი, 25 აგვისტოს ტელევიზიაში. მე და თამაზ ტყემალაძე ვსაუბრობდით.

მე მგონი, ურიგო დიალოგი არ გამოვიდა.

25 აგვისტოს აფხაზეთმა საქართველოდან გასვლა — დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

წინა დღეებში გუმბარიძე გაჰყვიროდა — ჭორებს ავრცელებენ, თითქოს აფხაზეთს გასვლა უნდა, ეგ სიცრუეაო.

28/VIII 90

წუხელ, გვიან ღამით აიღეს ლენინის ძეგლი თბილისში.

ეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამთავრებას ნიშნავს!

ბედნიერი ვარ.

გვიან ღამემდე ვერ ვიძინებ.

თავისუფლებამდე, საქართველოს დამოუკიდებლობამდე ჯერ კიდევ შორია.

მაგრამ, ცისკარი უკვე მოადგა ფანჯრებს.

29/VIII 90

„თვისტომის“ განცხადება დავწერე აფხაზეთის საკითხის გამო.

„დროა სამოცდაათწლოვანი ბანგიდან ყურები გამოვიფხიკოთ და საგნებს თავისი სახელი დავარქვათ-მეთქი“.

ვნახოთ, თუ შევძელი დაბეჭდვა.

30/VIII 90

დღეს „ახალგაზრდა ივერიელში“ მარიკა ლორთქიფანიძის წერილია აფხაზეთზე. ძლივს, პირველად ქართველმა მეცნიერმა ისტორიკოსმა თქვა სიმართლე აფსუებზე.

ეს სიმართლე ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის? ადრე მარიკა სხვა აზრისა იყო.

31/VIII 90

„თვისტომის“ განცხადება „ახ. ივერიელში“ მივიტანე, შეიძლება სამშაბათს დაბეჭდონ.

1/IX 90

დიდგორში წავედით მე და ლევან სანიკიძე მემორიალის გახსნაზე.

იყო საზეიმო აღლუმი, ცეკვა-სიმღერა. დიდი საქმე გაკეთდა, მაგრამ მე მაინც სევდამ შემიპყრო.

ჩემი სევდა გამჟღავნდა კიდეც ინტერვიუში, რომელიც ნიჭიერმა მწერალმა ქა-

ლმა ირინე ტალიაშვილმა ტელევიზიისთვის ჩამომართვა.

ამდენი ფული თუ გვაქვს-მეთქი, ნუ გადავყვებით საზეიმო სანახაობებს, ახლა საქართველოს ამისთვის არა სცალია, უკეთესია იმ ფულით იარაღი შევიძინოთ, საქართველოს ჯარი შევქმნათ და საქართველოს საზღვრები გავამაგროთ, ის საზღვრები, ახლა რომ ფაქტიურად დაუცველია-მეთქი. ეს ჩემი სიტყვა საღამოს ტელევიზიამ, რა თქმა უნდა, არ გადასცა. მერაბ ბერძენიშვილს (მემორიალის ავტორს) ეწყინებაო.

მერაბის საწინააღმდეგო მე რა უნდა მქონდეს, მერაბი ჩემი უსაყვარლესი მოქანდაკეა. „კიდევაც დაიზრდებიან“ საქართველოსთვის ყველაზე საჭირო ქანდაკებაა, მაგრამ მე ჩემი აზრი ვთქვი, საქართველოს ახლანდელ გასაჭირზე.

2/IX 90

საქართველოს გამყიდველებმა ხელი მოაწერეს რუსეთთან ახალ კულტურულ-ეკონომიკურ ხელშეკრულებას.

ქურდულად, ჩუმად გავარდნენ მოსკოვში და საქართველო ფაქტის წინაშე დააყენეს. არ უკითხავთ ნებართვა, არც უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისთვის (საქართველოს სესია 17 აგვისტოს რომ გაიმართა), არც პრესაში გამოუქვეყნებიათ ხელშეკრულების თუნდაც ზოგადი პრინციპები.

ეს ხომ შემზადებაა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისთვის, რომელსაც კრემლი ამზადებს?

ამით ხომ საქართველო კვლავ ვარდება მშიერი რუსეთის ეკონომიურ-პოლიტიკურ კაბალაში.

გავვარდი ტელევიზიაში და რადიოში. იქნება მოვახერხო და საქართველოს ვუთხრა, რომ ეს ერის გაყიდვის ტოლფასია.

ტელევიზიაში აჩიკო გოგელიამ უარი მითხრა გამოსვლაზე, გუმბარიძეს ვერ ვაწყენინებო.

რადიოში „პიკის საათში“ ჩამწერეს ჟურნალისტებმა ნატო ონიანმა და ზვიად ქორიძემ. ბატონო რეზო, თუნდაც მომხსნან ხვალ დილით, ამას მაინც გადავცემო, ნატომ.

ვნახოთ.

3/IX 90

დილის 8 საათზე პიკის საათმა გადასცა ჩემი — „თვისტომის“ პროტესტი ხელშეკრულების მიმართ.

1 საათზე, ჩანს, ხელისუფლებამ მიიღო ზომები და რადიომ სასტიკად გამლანძღა — მიშველაძეს ამ ხელშეკრულების სიკეთე ვერ გაუგიაო.

„თბილისში“ მივიტანე „თვისტომის“ განცხადება „რა გვეჩქარებოდა“, ვამათრახებ გუმბარიძის კომპანიას.

დავბეჭდავო, მელუხამ.

ხვალ, ალბათ „ახ. ივერიელში“ იქნება ჩემი განცხადება აფხაზეთზე. ვიბრძვი კბილებით.

4/IX 90

კლუბმა „ალისფერი იალქნები“ (დავით ზოდელავა) მომწერა დეპუტატად დაგასახელებთო.

თავს ვიკავებ, არ მინდა, ჯერჯერობით პოლიტიკოსებს კონკურენცია გავუწიო.

დღეს „ახალგაზრდა ივერიელში“ დაბეჭდილია აფხაზეთზე „თვისტომის“ განცხადება.

კიდევ ერთხელ ვუცხადებ „აფხაზებს“, რომ ისინი არიან ადიღეველნი და აფხაზები ჩვენა ვართ — სუფთა ქართველები.

არ იციან, რომ ჩემი დაწერილია და მირეკავენ; წაიკითხე დღეს „ივერიელში“ „თვისტომმა“ რა დღეში ჩააგდო აფსუებიო!

მიხარია.

5/IX 90

„თბილისში“ „თვისტომის“ განცხადებაა „რა გვეჩქარებოდა“.

ახლა „თბილისიდან“ ვამხილე საქართველოს ხელისუფლების საზიზღარი პოლიტიკა.

რა ეშველება იმ ქვეყანას, რომელსაც შიგნით ამდენი გამყიდველი ჰყავს.

გალაკტიონის კაბინეტისთვის უნივერსიტეტში 1 (ერთი) ოთახი მოვამატებინე — გახარებული ვარ.

სანდრო მრევლიშვილმა, მგონი „ტვირთის“ რეპეტიციები დაიწყო თავის „მეტეხის თეატრში“.

6/IX 90

დღეს კათედრის სხდომა მქონდა.

ვილაპარაკე საქართველოს ხელისუფლების გამცემლურ საქციელზე.

ზვიად გამსახურდიამ მითხრა (მწერალთა კავშირთან თავის რეზიდენციაში შედიოდა) ყოჩაღ, ვნახე გაზეთში „თვისტომის“ ბრძოლაო.

რას შვრებით, რატომ აგვიანებთ-მეთქი. ეგ ხელშეკრულება არჩევნების შემდეგ გაუქმდებაო.

შევატყვე, დიდი იმედი აქვს, რომ პრეზიდენტად აირჩევენ.

შოთა ნიშნიანიძემ დამირეკა. შევთანხმდით და 3 საათზე „მერანში“ შევხვდით ერთმანეთს.

მაჩუქა თავისი ახალი წიგნი წარწერით: „დღევანდელი საქართველოს დიდ მესიტყვეს, უპირველეს ნოველისტს“.

მინდაო, შენი გემოვნებით შევარჩიო ლექსები და ერთი „რჩეული“ ერთად შევადგინოთო.

სიამოვნებით დავთანხმდი.

7/IX 90

„ლიტ. საქართველოში“ მივიტანე ნოველა „ამერიკა, ამერიკა“.

სტამბაში ვიყავი, ჩემი წიგნის — „განაჩენის“ ბეჭდვა ჯერ არ დაუწყიათ.

საღამოს შოთა ნიშნიანიძემ დამირეკა — ცკ-ს (გუმბარიძე, გურგენიძე) თავის სადეპუტატო სიაში უნდა შემიტანოს და რას იტყვიო.

არ ვურჩიე. როგორ შეიძლება შენი სახელი კომუნისტ დეპუტატთა შორის იყოს-მეთქი. და საერთოდ, რატომ არ გამოდიხარ-მეთქი პარტიიდან.

8/IX 90

შაბათია. შოთა ნიშნიანიძის რჩეულისთვის წინასიტყვას ვწერ.

ვკითხულობ აბდაუბდა გაზეთებს.

კვლავ ანგარიშსწორება. კვლავ „ძმათა ომი„ — „ქართულ ფილმში“ და „ქართულ ქრონიკაში“ გიორგი ჭანტურია უმოწყალოდ ლანძღავს ზვიად გამსახურდიას.

საღამოს სამასკაციან ქორწილს ვუთამადე — ავლაბარში, ჭრელაშვილის შესახვევში.

ქორწილზე იჯდა კაკული ვასაძის მეგობარი, ერთი უნიჭო, თვითმარქვია პროზაიკოსი.

მისმა ნახვამ გუნება გამიფუჭა.

9/IX 90

კვირა დღე მუხაწყაროში გავატარე.

ვკითხულობდი, ვწერდი ახალ ნოველას, მაგრამ ვინ დაგაცალა.

მეზობელი მურთაზ გოგოძე „თავს დამესხა“ და შინ დამპატიჟა.

ვიპურმარილეთ. რა მშვენიერი სიტყვა გვაქვს „ვიპურმარილეთ“.

მურთაზ გოგიძე გულითადი, ალალი ქართველია.

10/IX 90

დღეს „თვისტომს“ პერმიდან ბობღიაშვილთა ოჯახი ეწვია.

საქართველოში დაბრუნება გვინდა და თუ შეიძლება, გვიშუამდგომლეთ თელავის ხელმძღვანელობასთანო.

თუშები იყვნენ. პერმში რამ წაგიყვანათ-მეთქი. „უძრაობის პერიოდში საქართველოში არც მიწა მოგვცეს და არც სამსახურიო“.

ქმარი მხატვარია, ცოლი — მასწავლებელია. ერთი მცირეწლოვანი ბიჭი ჰყავთ.

მივეცი შუამდგომლობა და დავპირდი, რომ თელავის აღმასკომის თავმჯდომარეს პირადად დავურეკავ.

„მერანში“ ნუგზარ შატაიძე შემხვდა. ინფარქტი გადაუტანია. შევწუხდი. ნიჭიერი კაცია ნუგზარი. რომ გამეგო მისი ავადმყოფობა, მივაკითხავდი.

მშვენიერ მოთხრობებს წერს.

11,12/IX 90

არაფერი საინტერესო არ მომხდარა, განსაკუთრებული.

ზვიადის „მრგვალმა მაგიდამ“ გამოაქვეყნა მემორანდუმი. მხარი დავუჭირე. ვნახოთ დაბეჭდავს თუ არა, „ახ. ივერიელი“.

მითხრეს, რომ თემურ ქორიძე ბეჭდავს „სახალხოში“ წერილს ჩემს წინააღმდეგ.

არ გამკვირვებია. ეს ის თემურ ქორიძეა

ვამზადებ „თვისტომის“ კონფერენციას — „ქართველები საქართველოს გარეთ“.

13/IX 90

„თვისტომის“ კონფერენციაზე მომხსენებელს დავეძებ მთელი დღეა.

მწერალთა კავშირის სამდივნომ ლიტერატურულ ასოციაციათა საკოორდინაციო ცენტრი შემდეგი შემადგენლობით დაამტკიცა:

რ. მიშველაძე (თავმჯდომარე)
შ. ნიშნიანიძე
გურამ პეტრიაშვილი
ი. ქემერტელიძე
ირინე ტალიაშვილი
თ. წივწივაძე
ე. მაღრაძე

14/IX 90

„სახალხო განათლებაში“ თ. ქორიძის წერილი გამოქვეყნდა.

არ წამიკითხავს, არც წავიკითხავ.

ერთი სულიერ-ფიზიკური წყობის „მოღვაწეებს“ საკუთარი ორგანიზაცია აქვთ. „სამეული“ შეთანხმდა, რ. მიშველაძეს ჭკუა ესწავლოსო. ფიზიკური მონაცემების საერთოობაზე დამყარებული მათი კავშირი ერთი სულის შებერვით დაიშლება, მაგრამ თავს როგორ გავუყადრებ.

რა საშინელებაა, რა განუკითხაობა.

მითხრეს, თ. ქორიძის წერილში წერია, რომ რ. მიშველაძეს ჩეხოვს და დ. კლდიაშვილს ნუ ადარებთო. არ არის ამხელა მწერალიო. თუ ეს წერია და მეტი არაფერი, კიდევ არა უშავს.

მეც კატეგორიული წინააღმდეგი ვარ მწერალთა ურთიერთშედარების.

15/IX 90

შაბათია.

გრიგოლ ჯულუხიძეს 50 შეუსრულდა.

მე, ნათელა, შოთა ნიშნიანიძე, მისი ცოლი თამრიკო, გურამ გვერდწითელი, აჩიკო და კიდევ ორიოდე კაცი დაგვპატიჟა.

ვითამადე, ბევრი ვიცინეთ.

გრიშა ჩემი მეგობარია. წესიერი, ნიჭიერი პოეტი.

16/IX 90

კვირაა.

ყვარელში, ახალსოფელში მივემგზავრებით: შოთა ნიშნანიძე, გიორგი წერეთელი, ავთანდილ ადეიშვილი, გრიშა ჯულუხიძე და მე.

ავტობუსში პოლემიკაა პოლიტიკაზე. ყველანი პოლიტიკოსებად ვიქეცით. რა უბედურებაა.

გვიან დავბრუნდით.

დიდებულია კახეთი. უპირველესად, კახელი კაცის ფენომენით.

უცერემონიო, ალალი, იუმორით სავსე, დინჯი, გამტანი კახელი კაცი...

17/IX90

ჩემი წიგნის ბეჭდვა დამთავრდა.

ოთხშაბათს სასიგნალო მექნება.

ბენზინი ვერ ვიშოვე.

ყველაფერი ჭირს. მოქალაქენი ერთმანეთს სიგარეტის ნამწვავებს თხოვენ ქუჩაში.

ოთხშაბათს ქუთაისში მიწევს წასვლა. უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით.

18/IX — 23/IX 90

ქუთაისში ვიყავით უნივერსიტეტის და სასულიერო აკადემიის გახსნაზე.

სიტყვით გამოვედით ლევან სანიკიძე და მე უნივერსიტეტის გახსნაზე.

დიდი ზეიმები იყო.

„სახალხო განათლებაში“ რეზო ჩხარტიშვილის წერილია ქორიძის პასუხად და ჩემი მიმართვა (20 სექტემბრის ნომერში).

24/IX 90

ჩავატარე “თვისტომის“ საერთაშორისო კონფერენცია.

კარგად ჩაიარა. ამერიკელი ქართველის ბონდო კეკელიას გამოსვლამ დაამშვენა.

კარგად გამოვიდა ვახტანგ გურგენიძე.

25,26,27/IX 90

ჩვეულებრივი მუშა დღეები იყო.

ერთი დიდი განათება (ჩემთვის)! — გამოვიდა „განაჩენი“ — საქართველოს ეროვნულ მოძრაობაზე დაწერილი ნოველების კრებული.

28,29/IX 90

შოთა ნიშნიანიძის რჩეულის შედგენა და წინათქმა დავამთავრე.

30/IX 90

კვირაა.

უახლესი ლიტერატურის სწავლების პროგრამას ვადგენ. ვიცი, ეწყინება მუხრან მაჭავარიანს, მაგრამ მისი ადგილი არ ჩანს პროგრამაში. ურიგო პოეტი არ არის, მაგრამ შოთა ნიშნიანიძეს მხრებამდიც ვერ მიწვდება. მხატვრული დონით, ვერსიფიკაციული სიახლეებით.

1,2,3/X 90

რუსთაველზე, „მერანის“ მაღაზიაში იყიდება „განაჩენი“.

ალაგ-ალაგ რიგიც კი დგას.

როგორც კი მაღაზიასთან გამოვჩნდები, მკითხველები მოდიან და ავტოგრაფებს მთხოვენ.

ვაჟა აბაკელიამ მარტვილში ჭყონდიდობაზე მიმიწვია.

შეიძლება წავიდე.

დღეს საშინელი ამბავი გავიგე: ღამის 1 საათზე ზვიადის დაცვის 2 წევრი დაუხოცავთ (რა თქმა უნდა, დაცვის თუ რაზმის წევრებზეა ლაპარაკი), რა ვერ გაიყვეს? ნეტავ ჭორი აღმოჩნდებოდეს.

რა ხდება? ნუთუ თავისუფლების ღირსი არა ვართ? ნუთუ მოსეს გზა უნდა გავიაროთ და გზაში დავიხოცოთ?

4/X 90

დღეს ქალაქის პოლიციის შეფმა ტელევიზიით გამოაცხადა, რომ „თეთრი გიორგის“ წევრები ერთმანეთს დაესხნენ თავს და ერთმანეთი დახოცეს. რამდენად მართალია, ვინ იცის.

სანდრო მრევლიშვილმა დამირეკა, 13-ში ვხსნი სეზონს შენი სპექტაკლითო.

სანდრომ ჩემი ნოველის მიხედვით კარგი სპექტაკლი დადგა: „უფანდუროდ ნამღერი“.

გაბედული მოქალაქეობრივი სპექტაკლია და სწორედ ამიტომ ტელევიზიით არ გადასცეს.

5-8/X 90

მარტვილში ვიყავი ჭყონდიდელის 900 წლისთავის ზეიმზე.

ორმოცი ათასამდე კაცი მოვიდა.

როგორ ჭირდება საქართველოს დაბნეულ ხელისუფლებას და აბურდულ სახალხო მოძრაობას გიორგი ჭყონდიდელისთანა მრჩეველი და ჭკვიანი კაცი.

ადგილობრივ მთავრობას ცდა არ დაუკლია, მაგრამ ისე მაინც ვერ გაუმართავს ღონისძიება, როგორც საჭირო იყო.

ოდენ „კონცერტების“ ამარა, განა შეიძლება ამოდენა ზეიმი?

სიტყვა არავის უთქვამს. ჩანს, ხელისუფლებას შეეშინდა ეროვნული მიტინგის გამართვისა.

9-11/X 90

ჭიათურაში ვიყავით შეხვედრაზე ლევან სანიკიძე, თამაზ წივწივაძე და მე.

ჭიათურაში ბევრი კარგი მკითხველია. ქუჩაში გვაჩერებდნენ. ჩვენი თხზულებების სათაურებს გვახსენებდნენ, წიგნები მოჰქონდათ და ავტოგრაფებს გვთხოვდნენ.

მშვენიერია ზემო იმერეთი.

დიდი კულტურული ტრადიციის მქონე — აკაკის იმერეთი.

12/X 90

მივედი მარჯანიშვილის თეატრში.

შენს პიესას ვერ ვდგამთ, რაკიღა ცხრა აპრილის პრობლემა ახლა აქტუალური აღარ არისო, თემურ ჩხეიძემ.

სხვა პიესა უნდა დაგვიწეროო.

უარი მოვახსენე და ჩემი პიესა წამოვიღე.

საღამოს მცხეთაში შეხვედრა მქონდა. მასწავლებლებს შევხვდი.

დამირეკეს ტელევიზიიდან. როგორც დეპუტატობის კანდიდატი, უნდა გამოხვიდეო.

ღირდა ამ საარჩევნო კამპანიაში გასვლა?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ელგუჯა მგელაძე

გზააბნეულები

თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის შენობის მეხუთე სართულზე იყო კომკავშირის რაიკომი, სადაც ერთიმეორეზე ლამაზი გოგონები მუშაობდნენ.

მე, ძირითადი თანამდებობის პარალელურად, აღმასკომის კომკავშირის მდივანიც ვიყავი, ორგანიზაციაში 150-მდე ახალგაზრდა იყო გაერთიანებული.

როგორც ერთ შენობაში მომუშავეებს, ბუნებრივია, კომკავშირის რაიკომის ყველა თანამშრომელთან შესანიშნავი დამოკიდებულება მქონდა.

იმჟამად კომკავშირის რაიკომის ერთ-ერთი განყოფილების გამგე გახლდათ წარმოშობით გურული გოგონა ნანა ჭყონია, რომელსაც ჩემს მეზობელ სოფელში ჰყავდა ბებია და ბაბუა დედის მხრიდან.

გაგებული მქონდა, რომ ნანას, ცოტა ხნის წინათ, ავტოკატასტროფაში მეგობარი დაეღუპა, რის გამოც მასთან ავედი და მივუსამძიმრე.

ერთ დღეს ნანა ჩემს სამუშაო ოთახში შემოვიდა და მითხრა: ელგუჯ, ძალიან გთხოვ, დღეს, სამსახურის შემდეგ, ჩემი დათუნას სასაფლაოზე წამიყვანეო!

უარს როგორ ვეტყოდი.

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, როცა ნანამ ჯერ დამირეკა შემდეგ კი მანქანასთან გამოვიდა. მას სამი გოგონა ახლდა, ყველა მათგანს ვიცნობდი.

ჩემს ახალთახალ ,,ვაზ 2106" მარკის ,,ჟიგულში" ჩავსხედით და როცა დავიძარით, ნანამ მთხოვა საგურამოსკენ წავსულიყავი. გზად მანქანა, ერთ ადგილზე გამაჩერებინა, ახლავე დავბრუნდებიო თქვა და შენობაში შევიდა. ხუთიოდე წუთიც არ იყო გასული, რომ იგი ჩემთვის ორი უცხო მამაკაცის თანდასწრებით შენობიდან გამოვიდა და ოთხი მოზრდილი მუყაოს ყუთით რაღაც გამოიტანა. ყუთები ავტომანქანის საბარგულში მოვათავსე. მერე საბურთალოს ბაზრის წინ საუკეთესო წითელი ვარდები შეიძინა და ისიც საბარგულში ჩამაწყობინა.

როცა სოფელ საგურამოსაც გავცდით, მოსაღამოვდა კიდეც.

ნანა ცრემლებად იღვრებოდა... კიდევ ცოტაც და სასაფლაოსაც მივადგებითო. ამასობაში ჩამობნელდა. ბედად გზაზე მოხუცი ქალი შემოგვხვდა. მან სასაფლაოს გზა მიგვასწავლა. იგი იქვე, გზიდან მარჯვენა მხარეს, ორასიოდე მეტრში აღმოჩნდა.

ნანამ ქვითინს უმატა, იგი უკვე მოთქმით ტიროდა, ვაიმე, ჩემო დათუნაო, გაიძახოდა.

ჩვენ სასაფლაოს ეზოში შევედით და ხელმარცხნივ მივადექით ახალ საფლავს, რომელზეც ჯერ კიდევ ეწყო დაუმჭკნარი ყვავი¬ლები და კალათები. იქვე, ახლოს, ლითონის შეუღებავი მაგიდა შევნიშნე, მან¬ქანის საბარგულიდან სუ¬რ¬სათ-სანოვაგე ამოვალა¬გე შამპანურებთან ერთად და მასზე დავაწყე.

ნანას ორივე მეგობარი მა¬გიდის გაშლას შეუდგა, მესამე კი ნანას დასტრიალებდა თავს.

ამ დროს ჩემი ყურადღება ცხვრის ფარამ მიიპყრო, რომლის მწყემსიც თვალს არ გვაცილებდა, მიერეკებოდა თავის ცხვრებს, ხან შეჩერდებოდა, თავს გააქნევდა, მერე გააგრძელებდა გზას და ცოტა ხნის შემდეგ იგივეს იმეორებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ეტყობა, დააბინავა თავისი ცხვრები და მაშინვე სულ ვაი-ვიშით წამოვიდა ჩვენსკენ, თავში ხელებს იცემდა, თან გაიძახოდა, ეს რა დაგვემართაო!

მოვიდა, მოგვესალმა. როგორც ამდენ მანდილოსანში მყოფმა ერთმა მამაკაცმა, მაშინვე მივმართე მობრძანდით, ერთი ჭიქა დაგვილიე, მიცვალებულს მიუვა-მეთქი. ისიც არ დამზარდა და ერთ ჭიქას მეორე მიაყოლა, მეორეს მესამე და მერე ისიც ტირილით აჰყვა გოგონებს: ვაი, დათუნა, ვაიო!

ამ სახელს რომ წარმოთქვამდა, უცებ გაჩერდებოდა, დაფიქრდებოდა, რამე ხომ არ მეშლებაო, მერე თითქოს მაშინვე მოიშორებდა ამ საეჭვო ფიქრს, თავს გადააქნევდა და ისევ ხმას უწყობდა ნანას გოდებას.

რამდენიმე ჭიქის მერე, მწყემსი უკვე თვითონ ავსებდა სასმისს და მიირთმევდა სიტყვებით: მიცვალებულს მიუვაო!

უკვე კარგად იყო შეზარხოშებული ეს ჩვენი შემოსწრებული პიროვნება, რომ უცებ მეკითხება: კაცო, ამ რამდენიმე დღის წინათ, აქ ჩემი მეზობლის დიდი პაპა გოდერძი ნონიაშვილი დაკრძალეს და თავისი შორეული ნათესავები მას დათუნას თუ ეძახდნენ, არ ვიცოდიო!

ეს ისე ჩუმად მითხრა, რომ გოგოებს არ გაეგოთ. ეტყობა, ჯერ ჩემთან უნდოდა საქმის გარკვევა.

თავიდან კინაღამ სიცილი წამსკდა, ვიფიქრე ამ კაცს თავში ყველაფერი რიგზე არ უნდა ჰქონდეს-მეთქი, მაგრამ უცებ კითხვა გამიჩნდა: ნეტა ეს ნამდვილად დათუნას საფლავია თუ არა-მეთქი.

მწყემსს შეპარულად რამდენიმე კითხვა კიდევ დავუსვი და დავადგინე, რომ რა დათუნა, რის დათუნა, ჩვენ მართლა მწყემსის მეზობლის პაპას, საწყალ გოდერძის დავტიროდით რომელიც ღრმა მოხუცებულობაში გარდაცვლილიყო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ახლა როგორ გინდა ეს უთხრა ჩვენს ნანიკოს?

მოვახერხე და როგორც იქნა მივახვედრე ნანა, რომ დათუნას მაგივრად გოდერძის დასტიროდა... მაგრამ ახლა მთავარი იყო გვეპოვნა დათუნას საფლავი.

ამაზე ატყდა ერთი ვაი-ვიში: სად ხარ, ჩემო დათუჩა, ასე უნდა გეძებდე, ბიჭო? – გაჰკიოდა ნანა.

— თქვენ თუ იმ დათუნას ეძებთ, რომელზეც მე ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ ეგ იქნება, ამ სოფელში კი არა, აქიდან მესამე სოფელში, კოტორაანთკარში მისვლამდე მდებარე სასაფლაოზეა დაკრძალულიო, — დაგვმოძღვრა ჩვენმა თანამეინახე მწყემსმა.

ჩვენი სუფრა ჩვენს შემოსწრებულ მწყემსს ჩავაბარე, აბა შენ იცი, ბოლომდე ეცი გოდერძის პატივი-მეთქი.

— დარდი არ გქონდეთ, მე მივხედავ და სხვებსაც მოვიყვანო. — გვითხრა მან.

ნანამ გოდერძის ყვავილები არ დაუტოვა ჩემს დათუნას უნდა მივუტანოო...

არ ვიცი, ჩვენი მშვენიერი სადღეგრძელოები და პურ-მარილი, იმქვეყნად გოდერძის მიუვიდა თუ არა, მაგრამ საუკეთესო წითელმა ვარდებმა და ჩვენი ნანას ალალმა ცრემლმა დათუნას საფლავი, რომ ნამდვილად გაალამაზა, ეს ჩემი თვალით ვნახე!

არღნით ქეიფი

მოგეხსენებათ, ყველა ქართველ კაცს უყვარს ქეიფი და მოლხენა, სუფრას კი უხდება ღირსეული თამადა, კარგი ღვინო უხვ და გემრიელ პურმარილთან ერთად და ცეკვა-სიმღერა! ღირსეულ თამადობას რაც შეეხება, ყოველთვის ვცდილობ სუფრა ქართული წეს-ჩვეულების შესაბამისად წარვმართო და ჩემი მეგობრების შეფასებებს პირფერობად თუ არ ჩა¬ვ¬თვლი, ეს საქმე ურიგოდ არ გამომდის. ღვინის დაყენებასა და სმაშიც არავის ჩამოუვარდები... მაგრამ აი, რაც შეეხება ცეკვა-სიმღერას, გული მტკივა, რომ ბუნებამ არ მოგვცა მე და ჩემს ოჯახს ამის ნიჭი, არადა, უზომოდ მიყვარს ხელოვნების ეს ორივე დარგი და შევნატრი ყველას, ვისაც ეს კარგად გამოსდის... მაგალითად, ამის ნიმუშია აგარაკზე ჩემს მეზობლად მცხოვრები მაისურაძეების ოჯახი, რომლის წევრებიც საუცხოო ცეკვა-სიმღერითა და დაკვრით გამოირჩევიან.

როგორც უკვე ბევრჯერ აღვნიშნე, ზაფხულობით გომბორში დასასვენებლად ჩასული მთელი ჩვენი სამეზობლო-სამეგობრო ხშირად ვქეიფობდით. დანარჩენი მეზობლების ოჯახების წევრებს, მთლად მაისურაძეების მსგავსად არა, მაგრამ მეტნაკლებად თითქმის ყველას შეეძლო დაკვრაც და ცეკვა-სიმღერაც. ჩემი ოჯახის წევრები კი ამ მხრივ დაჩაგრულები ვიყავით. ამიტომ ეს ნაკლი, რომ გამექარწყლებინა, ჩემს პატარებს 3 წლის ალეკოსა და 4 წლის მაიკოს კარგი მამაპაპური გინება ვასწავლე! სხვები თუ ცეკვა-სიმღერით იწონებდნენ თავს, მე ჩემი პატარების ენამოჩლექილი, ბავშვური გულუბრყვილობით წარმოთქმული გინებით ვიქცევდი საზოგადოების ყურადღებას. მართალი გითხრათ ამ გზით ჩემი ოჯახისადმი ყურადღების მიქცევა მთლად გამართლებული და საკმარისი არ მიმაჩნდა, ამიტომ ვცდილობდი რაიმე უფრო ღირებული მომეფიქრებინა.

ერთხელ გომბორში ყოფნისას თბილისის 26 კომისრის რაიაღმასკომის თავმჯდომარის იმჟამინდელი მოადგილე ბატონი ჯუმბერ ეფრემიძე თა¬ვის ოჯახთან და სამეზობლოს¬თან ერთად დიდი ამბით ელოდა თავის ცოლისძმის სტუმრობას. მას უნდა სწვეოდა იმდ¬როინდელი კახეთის ელიტური საზოგადოების წევ¬რი, მეღვინეობის ტრადიციულ ფესვებზე აღზრდილი პიროვნება, ცნობილი მეღვინე გენადი ქუმსიაშვილი თავის ოჯახთან და მეგობრებთან ერთად!

დადგა სანატრელი დღეც და გომბორში ანტენიანი შავი ,,ვოლგებით" ამოგრიალდნენ მაღალი რანგის სტუმრები. რა თქმა უნდა, უმაღლეს დონეზე იყვნენ მომზადებული ეფრემიძის ოჯახშიც. სუფრასთან სტუმრებთან ერთად ასევე ისხდნენ ახლო მეზობლები, მათ შორის ჟორა მაისურაძე, რომელიც დიდი ყურადღებით აკვირდებოდა მაღალი თანამდებობის ხალხს, რომლებიც სხვადასხვა უცხოური მა¬რ-კის სიგარეტებს ეწეოდნენ. მათ შემხედვარე ჟორა ბიძიას მოერიდა თავისი იაფფასიანი ,,პრიმის" სიგარეტის მოწევა და თავის წარმოსაჩენად მისი სახლის აივანზე მდგარ შვილს ხმამაღლა შესძახა: შოთა, გუშინ რომ სპორტულები მეცვა, იმის გულის ჯიბეში ორი ,,პაჩკა" ,,მარლბორო" დევს და წამომიღეო. შოთას ცოტა არ იყოს გაუკვირდა მამამისის თხოვნა, მაგრამ მალე მიუხვდა ჩა¬ნაფიქრს და თავისი სიგარეტი ,,ქემელი" მიუტანა, თან დააყოლა: ბოდიში, მამი, შენი ,,მარლბორო" გუშინ ბიჭებმა მოვწიეთო... ჟორას გაეღიმა, შვილს მიხვედრილობა მოუწონა, ზურ-გზე ხელი მოუთათუნა და თა¬ვისთვის ჩაილაპარაკა: ,,სასარგებლო, რომ იყოს, გეტყოდი, ღმერთმა შეგარგოს-თქო"... და ,,ქემელის" ღერი ამაყად გააბოლა.

გაჩაღდა ქეიფი. ეფრემიძეების ოჯახში ღვინით სავსე ყანწები და სხვადასხვა სასმისები ხელიდან ხელში გადადიოდა. ისე მოილხინეს სტუმრებმა, რომ უმეტესობამ ღამით დარჩენა გადაწყვიტა. ქეიფი და დროსტარება პიკს, რომ აღწევდა, მივხვდი, რომ თავის გამოჩენის შესანიშნავი დრო მომეცა. სუფრიდან შეუმჩნევლად ავდექი, სპეციალურად ამ დღისათვის ორი დღით ადრე ანტიკვარების მაღაზიაში შეძენილი, საკუთარ ,,ნივაში" გადამალული რვამელოდიიანი არღანი მხარზე მოვირგე და სტუმრების ად¬გილსამყოფელისკენ დაკვრით გავემართე.

არღნის უჩვეულო ჟღერადობაზე სუფრის წევრები ჯერ გაირინდნენ, ვერ გაერკვნენ თუ საიდან ისმოდა ეს მელოდიები, მე კი მეარღნის ქუდით დამშვენებული, მხარზე არღანგადაკიდებული სუფრას ნელი ნა¬ბიჯით ვუახლოვდებოდი.

სუფრასთან მისვლისას ყველას თავი დავუკარი და ომახიანად წარმოვთქვი შემდეგი სიტყვები: ,,სახეზე გატყობთ კმაყოფილობას, ვიწყებთ მეორე განყოფილობას!" და ჩავრთე არღანზე მომდევნო მელოდია! მაშინ პოპულარული მომღერლის, ვენერა მაისურაძის მეუღლე, ფილარმონიის სოლისტი მერაბ ჟვიძე სასწრაფოდ მომიახლოვდა და მელოდიის შესაბამისი ქალაქური სიმღერა შემოსძახა. მას მეც ავყევი, ჩვენმა დუეტმა ყველანი აღაფრთოვანა. თავად ჯუმბერ ეფრემიძე, ჩანდა ამ სანახაობით ისე გაოგნდა, რომ ბოლომდე მოწეული სიგარეტის გადაგდება დაავიწყდა და ტუჩი დაიწვა!

არღანზე ქეიფი დილამდე გაგრძელდა. ეს ჩემს ცხოვრებაში, საუკეთესოთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულად კარგად გასახსენებელი ამბავია, სადაც ნამდვილად ჩემი არღნით თავი გამოვიჩინე და სხვებიც გვარიანად ვასიამოვნე. ჯუმბერი კი ერთიდაიგივეს გაიძახოდა: ,,ნახეთ, კაცო! ამ გურულმა თვალებში ნაცარი შეგვაყარაო."

მეორე დღეს ნაქეიფარი გვიან ავდექი, მისაღებ ოთახში, საპატიო ადგილას მიჩენილ არღანს გარს ჩემი სიდედრი უტრიალებდა და მისი ღირებულება აინტერესებდა. როგორც კი დამინახა, მომესალმა, შემიქო თავისი და ოჯახის წინაღამინდელი ასეთი წარმოჩენა. მან იცოდა, რომ არღნის ნამდვილ ღირებულებას მაინც არ გავამხელდი, მაგრამ სხვათაშორის მაინც იკითხა: - ,,ნეტა რა ეღირება ეს არღა-ნიო?". მე სიტყვა ბანზე ავუგდე და ვუპასუხე: დაახლოებით შოთას გიტარის ფასი მივეცი-მეთქი, მერე გიტარის ფასი იკითხა და რომ ვუთხარი, 500 მანეთამდე ღირს-მეთქი, თავში ხელები წაიშინა და შეიცხადა: ტიტუ! ეს რა მითხარი, 500 მანეთად ხომ 5 ძვირფას კაბას შეუკერავდი ჩემს გოგოსო?! და ბუზღუნით გაეცალა არღანს, მე კი გულში გავიფიქრე: 500 მანეთზე თუ ასეთი რეაქცია აქვს, მაშინ რაღას იზამს ჩემი ძვირფასი არღნის ნამდვილი საფასური რომ გაიგოს-მეთქი და ეშმაკურად ულვაშებში ჩავიცინე.

მთვარისა კერესელიძე - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მთვარისა დავითის ასული კერესელიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო მთვარისა!

ჩვენო საყვარელო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან მშვენიერ შემოქმედს, საზოგადო მოღვაწეს, ღირსეულ ბანოვანს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

დიახ, ექვსი ათეული წელი გასულა მას შემდეგ, რაც თქვენი პირველი ლექსი „მე დავიბადე ივლისის თვეში“ მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანეთ. მთელი ეპოქები შეიცვალა მას შემდეგ, მაგრამ არ შეცვლილა თქვენი სამშობლოს ღირსეული შვილის რწმენა და იმედი იმისა, რომ საქართველო - ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა ერთხელაც მძლავრად გაშლიდა ფრთებს და ჭეშმარიტ თავისუფლებას მოიპოვებდა...

თქვენი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „სათავე“, „ჭრელი გაზაფხული“, „ოღონდ ისმინე“, „ფრესკის ღაღადი“, „მოგონება“, „პოეზია“, „დუმილის შემდეგ“, „წაგვლეკა მტერმა მოყვრულად“, „თუკი დღეს გადარჩა საქართველო“, „ასი ლექსი“ ერთი მშვენიერი დასტურია იმისა, რომ თქვენი სახით თანამედროვე ქართულ პოეზიას ერთ-ერთი ჩინებული წარმომადგენელი ჰყავს, რომელსაც ძალუძს შეუძახოს თანამედროვეთ და გაახსენოს ბერი თევდორე, პაატა საკაძე თუ ცოტნე დადიანი - საქართველოს მეციხოვნენი, მისი ჯიშისა და გენის გადამრჩენელნი, რომლებიც სიმღერით კვდებოდნენ და დაუნანებლად მიისწრაფოდნენ უსასრულობის უკიდეგანობაში, იქ, სადაც ქარაშოტები ღრუბლებში აჭრილი მოლივლივე ხომალდების აფრებს აშრიალებს...

თქვენი ლექსები თარგმნილია უკრაინულ, ყაზახურ, ავარულ, რუსულ ენებზე.

არაერთი მნიშვნელოვანი პუბლიცისტური სტატიისა და ნოველის ავტორი ხართ.

თქვენი მეგობრები გიცნობენ, როგორც აქტიურ და ნაყოფიერ საზოგადო მოღვაწეს. მუშაობდით საქართველოს რადიოს ახალგაზრდული გადაცემების განყოფილების რედაქტორად, გაზეთ „სახალხო განათლების“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ... დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი ბრძანდებით გაზეთ „პოეზიისა“, დამფუძნებელი და პრეზიდენტი ხართ შემოქმედ ქალთა ასოციაცია „ოცნებისა“. არჩეული ხართ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმისა და საქართველოს ქალთა საბჭოს წევრად. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდით მასწავლებელთა სახლთან არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებას და ახალგზარდა შემოქმედებს სწორ ლიტერატურულ ორიენტირებს უსახავდით.

თქვენი მრავალწლიანი შემოქმედებითი თუ საზოგადოებრივი საქმიანობა აღინიშნა გალაკტიონ ტაბიძის, მარიკა ბარათაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის სახელობის, გაზეთ „ივერიის“ პრემიებით, მონიჭებული გაქვთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტისა და ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდებები.

ქალბატონო მთვარისა!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძირფას მეგობარს. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი პოეტური მწვერვალების დალაშქვრას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ძვირფასო მთვარისა!

როცა მითხრეს, მთვარისა კერესელიძეს 80 შეუსრულდაო, ლამის არ დავიჯერე. შენ ქართული პოეზიის ერთი დიდებული წარმომადგენელი, უბადლო მესიტყვე და ჩემი უერთგულესი მეგობარი, საოთხმოცედ არ მემეტები.

რა ერთგულად ემსახურე ქართულ სიტყვას. რა სამაგალითო და ძნელად მისაბაძია შენი პოეტური მგზნებარება და თანამედროვე ქართულ მწერლობაში შეტანილი განუმეორებელი წვლილი. შენ არავის არ ჰგავხარ. შენი კვალი გაიტანე ქართული პოეზიის ანეულში.

ვის ჰქონია ნიადაგ დალხენილი ცხოვრება, რომ შენ გქონოდა... როცა საქართველოს ცის თავანზე ავი ქარები ქროდნენ, შენი მეუღლე, შესანიშნავი პოეტი, ჩვენი თანაკურსელი ბერდია ბერიაშვილი ეროვნულ ბრძოლას შეეწირა. შენ წონასწორობა არ დაგიკარგავს, სულით არ დაცემულხარ, მეუღლის ტვირთიც იტვირთე, ორი სამაგალითო შვილი - თამთა და ბაკური აღუზარდე ქვეყანას და, რაც მთავარია, ქართული პოეზიის ზეაღსვლაში შენი წილი დაიდე.

გილოცავ, ძვირფასო მთვარისა, საიუბილეო თარიღს. იცოდე, შენი განვლილი გზის გამო, შენი უანგარო საქვეყნო სამსახურის გამო ტაშს გიკრავს გონიერი საქართველო.

რევაზ მიშველაძე

***

გამორჩეული პოეტის მთვარისა კერესელიძის ლექსებს ხანდაზმულობა არ ეტყობა იმ პოეზიის მსახურთაგან განსხვავებით, რომელთა ლექსიც ავტორთან ერთად აზრობრივადაც და შინაარსობრივადაც წლებს აშკარად იმჩნევს. ამ ნათქვამის ცხადი ნიმუში და მაგალითია მთვარისას ეს ახალი ლექსები, რომელთაც ქვემოთ ვთავაზობთ ჩვენ მკითხველს.

თვითონ პოეტს კი, მშვენიერ სავსე მთვარის ასულს, დიდი სიყვარულით ვულოცავთ ოთხჯერ ოც წლისთავს, რადგან მთვარისას პოეზიაში მხოლოდ ახალგაზრდული ხმა ისმის. ის დღეს ოთხჯერ გაახალგაზრდავებული უმშვენიერესი პოეტია.

გურამ გოგიაშვილი

მთვარისა კერესელიძე

***

მაინც რა იყო ამ ქვეყნად
ჩემი გაჩენის მიზანი?
გული მომქონდა რამხელა,
იმედი - სალის კლდისანი.
მეგონა, დამიხვდებოდნენ
ფართე ქუჩები გზისანი.
რატომღაც გამიორგულდნენ,
ფერი დაიდეს მგლისანი.
მე კიდევ, ვფიცავ, ნეტარი
ვერც ერთი ვეღარ ვიცანი.
ღმერთო, რა იყო, ნეტავი,
ჩემი გაჩენის მიზანი?

ეს დილა

ეს დილა რაღაც იმედით მავსებს,
არაფერს ვფიქრობ ახლა სრულებით.
ვიცი, რომ ამ ჩემს ეკლიან გზაზე
დარჩება ჩემი ნაფეხურები.
ნეტავ, როდემდე ითოვებს ასე,
გადმოუშლიათ ჩხართვებს გულები.
მივდივარ სოფლის თოვლიან გზაზე
და რჩება ჩემი ნაფეხურები...

***

ისევ შენი ნისლის ტყვე ვარ,
შენს ტაძარში ლოცვად ვდგავარ -
სხვას არაფერს არსით მოველი!
ოღონდ ენთოს ცის თაღი და
კვლავ ქართული მზის ჭაღიდან
სულ ბრწყინავდეს სვეტი - ცხოველი!

***

ისევ ადგა ყვავილების ქარი
და შრიალი დგას მაისის ქართა,
ატმის ფოთლებს მიმოაფენს კრძალვით
ქარი,
ატმის ყვავილების გარდა.
შრიალებენ იფნები და ვერხვი,
ალბათ, ახლა ეს ტყემლებიც მოთოვს,
არ წაგიცდეს,
არ დაადგა ფეხი
ატმის ყვავილს,
ანდა ატმის ფოთოლს!
სულში მოთოვს
ყვავილების ქარი...

***

მტერმა მტრობით ამიკლო და
ისტორიის ქარ-წვიმა
წამოშალა ღრუბლებიდან,
სულ სახეში მაწვიმა.
მერე ირგვლივ ყველაფერი
ისე არივ-დარია,
დღემდე ისევ ჩემს გარშემო
უსაშველო ქარია...

***

ეს უფლის ხელით მოწეულები,
აფეთქებულან ბროწეულები,
დღეა სამოთხის დარი!
ცა შემოსილა ძოწეულებით.
სასიყვარულოდ მოწეულები
ბრწყინავს ვარსკვლავთა ჯარი!
და სიყვარულით გაბრუებული
მეკეკლუცება ქარი!

***

აქ ნუ ეძებთ ცისარტყელას ფერებს,
ეს ლექსები - აწყვეტილი რაშები,
ისე მწვავენ მზედაუკრავ ხელებს,
თავაწყვეტილ ქარებს ვეთამაშები...
აქ ნუ ეძებთ ცისარტყელას ფერებს!

არ რეკავდა ზარი მცხეთით

არ რეკავდა ზარი მცხეთით,
თუმც ვიცავდით მამულს მკერდით,
უსასრულო მთებზე ჭირხლი იწვა...
ზღვა ღელავდა მთათა ფერხთით,
გაიყიდა აფხაზეთი, -
საქართველოს უძველესი მიწა!
ახლა არ ჩანს არც ურუსი.
აფხაზეთის ცას ბურუსი
აკრავს...
არ დატოვეს აქ ქართველი, -
თვისი ერის წარმმართველი.
გაიყიდა სოხუმი და გაგრა!
არც მაშველად ჯარებს უხმო,
შეეგება მოსულს უხმლოდ,
ქართულ ცასთან განა მოიწიწა?
ამოუშვა ქარი მკერდით,
ჩააბარა აფხაზეთი, -
საქართველოს ძველის-ძველი მიწა!
არც მზე მზეობს ეს ტიალი,
დაიღალა ხეტიალით
ეს სიმართლე - დადის აღმა-დამღა,
არც ზღვა მოსჩანს დღეს იმედად.
რა ადვილად გაიმეტა
აფხაზეთი ხალხმაც!
ვერც სიკეთეს ვერსით ვხედავთ,
ვერც მას ვიმკით, რასაც ვთესავთ,
ყოველი მხრით ბურუსია ახლა...
კვნესის მთელი აფხაზეთი,
არც წიგნი აქვს, არც გაზეთი,
მძიმედ კვნესის სოხუმი და გაგრა!..
დღეს ვერაფერს ვეღარ ვშველით,
გაყიდული მოყვრის ხელით,
კვნესის ჩემი აფხაზეთის მიწა!
ისევ დაგვსდევს ის ცხრა ტყვია,
რომ გვატყვია
საუკუნის დამღად!
ვერც ვერაფერს ვეღარ ვშველით,
ვის აწუხებს დღეს ტკივილი ხალხთა,
დავალთ ასე ხელშიშველი
და ვართ ისევ საუკუნის დახლთან!

ჯემალ გაბელია

„ნოველები აფხაზეთზე“ - ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარკე

ახლახან გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა რევაზ მიშველაძის ახალი კრებული „ნოველები აფხაზეთზე“. მასში ავტორი გამუდმებით გვახსენებს ჩვენს ხასიათში არსებულ უარყოფით მხარეებს, აფხაზურ სატკივარს, რომელიც თითქოსდა მიყუჩდა და აქტუალური აღარ არის; გვიწუნებს თავის მოტყუების ჩვევასა და სიმხდალეს. მწერალი ჩვეული პრინციპულობით წამოჭრის მკითხველის წინაშე ისე უმწვავეს პრობლემას, როგორიც ერის ყოფნა-არყოფნის საკითხია.

მწერლის თითოეული სიტყვა ულმობელი სიმართლით, ყველა ჩვენგანისათვის მტკივნეული, ეროვნული პრობლემატიკითა და ორიგინალური აგებულობით გამოირჩევა. ავტორი ამ მტკივნეულ პერიოდს იმგვარ შტრიხებს უძებნის და ისე ცოცხლად გვიყვება ყოველივეს, რომ ტრაგიზმზე უფრო სიცოცხლის უძლეველობის გრძნობა შეიძლება დაეუფლოს მკითხველს. წიგნში ვხვდებით უამრავ ფაქტს ლტოლვილების (დევნილების) აბუჩად აგდებისა, ასევე ხშირია „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ განკითხვა-განქიქება. ერთგან მწერალი პოლიტიკოსებზე წერს: საქართველოში დიდი ხანია გაჩნდა ახალი სოციალური ფენა - „ლტოლვილები“. გარკვეული პერიოდი ატყუებდნენ მათ პოლიტიკოსნი გაეროს ჩარევის გზით „ღირსეული დაბრუნების ზღაპრით“, მაგრამ დიდი ხანია მიხვდნენ, რომ მსოფლიოში სამართალი არ არსებობს და უახლოეს მომავალში მაინც მათი დამბრუნებელი არავინაა.

„ნოველები აფხაზეთზე“ ის დიდი მხატვრული ტილოა, რომელზედაც მზის შუქით გასხივოსნებულნი წარმოდგებიან თავისუფლებისათვის, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის მებრძოლთა სახეები, აფხაზეთის ომის გმირები. ისინი მშვიდობისა და დამოუკიდებლობისკენ გზას ეძიებენ. რა უბედურება აღარ ტრიალებს ამ ქვეყანაზე, რატომ უნდა ეძებოს ადამიანმა თავის ქვეყანაში საკუთარი სული? ნაკვალევი კი რჩება... „ნოველები აფხაზეთზე“ არა მარტო ქართველების ტრაგედიას წარმოგვისახავს, არამედ აფხაზებისაც. მწერალი სხვადასხვა სოციალური წრის, მენტალიტეტის, ზნეობის ადამიანებს აკვირდება და წარმოგვიჩენს. ნოველების წაკითხვის შემდეგ ერთი მთავარი კითხვა ჩნდება: არის თუ არა ძირძველ ქართულ მიწაზე მცხოვრები ხალხი ასე სავალალო ყოფის ღირსი? მწერალი მკითხველს დაუნდობლად უტოვებს ამ საფიქრალს და აძლევს ბიძგს, თავადვე მივიდეს მართებულ დასკვნამდე. მთხრობელის სასარგებლოდ უნდა ითქვას: იგი არ კმაყოფილდება მხოლოდ ნოველების გმირების დახატვით, თვით მოკლე ტექსტშიც კი ცდილობს, საკუთარი პერსონაჟის შესაფერისი ანტურაჟი შექმნას, რათა უფრო სრულყოფილი და დამაჯერებელი გახადოს გმირის მოქმედება - მისი დამოკიდებულება აფხაზების მიმართ. და გვიტოვებს იმედს, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია „ჩატეხილი ხიდის“ აღდგენა. უფრო კონკრეტულად, შესაძლებელია რეალობის შეცნობა ურთიერთნდობის საფუძველზე. ამის ნათელი მაგალითია ერთ-ერთი ნოველა „რატომ? რატომ?“ ნოველის გმირი სოხუმში, ბარათაშვილის ბაქანთან ახლოს, ცხოვრობდა. ერთადერთი გოგო, რომელიც ექიმად მუშაობდა და დაჭრილებს გადაეფარა, აფსუებმა დახვრიტეს. მშობლებმა ოცდაშვიდ სექტემბერს დაასაფლავეს შვილი და მეორე დღეს სოხუმიდან გამოიქცნენ, ვერ მოიკლეს თავი - სული მწარე ყოფილა, მგელი, მგელი ყოფილა ადამიანი! „არ მონაკვდომა, არა თავის დრომდე ადამიანიშვილი“, - ამბობს ერთგან ნოველის გმირი. მერე იყო ჭუბერის გზა, ენით აღუწერელი ჯოჯოხეთი, იმედი დაბრუნების, ოღონდ იმედი იმედად დარჩა; რამდენიმეჯერ ცადა სოხუმში წასვლა, თუმცა ვერ გარისკა. ერთხელაც, სანამ გალის მოვლენები დაიწყებოდა, ბიძაშვილის პასპორტით, რომელშიც თავისი სურათი ჩააკრა, მოახერხა თავის საცხოვრებელ სახლში მისვლა, „მასპინძელი“, ადრე ტყვარჩელში მცხოვრები აფხაზი, კარგად შეხვდა, მაგრამ შიში ჰქონდა, რომ დაიჭერდნენ, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, კედლებზე მისი და ოჯახის წევრების სურათები ხელუხლებლად რომ დაინახა. თუმცა ძალზე დამაფიქრებელი იყო მის სახლში ჩასახლებული აფხაზის სიტყვები: „ჩვენი შერიგება და ძმობა აღარ მოხერხდება, თქვენც კარგად იცით ესო“. იმავე დღეს უკან წამოვიდა. ყოველ წუთს ელოდებოდა დაკავებას, მაგრამ ენგურის ხიდამდე როგორც იყო, ჩააღწია. არასდროს დაავიწყდება თავისი ბიძაშვილის ნათქვამი: ტყუილად შეგეშინდა, კედელზე შენი სურათი რომ ეკიდა, ამით ამ კაცმა ყველაფერი გითხრაო.... მართალია, ნოველაში ხაზგასმულია ოკუპანტი რუსის ველურობა და სისასტიკე, მაგრამ არის შორეული იმედი შერიგებისა.

ავტორს მოხმობილი აქვს უზუსტესი შედარებები; გადმოცემულია იმ ადამიანების ცხოვრება, რომელნიც მრავალგზის არიან ნაწამები, თუმცა ქვეტექსტად იგულისხმება, რომ ნაწამებია თვით საქართველო თავისი ტერიტორიით, დახვეწილი სულით. ერთ-ერთი ნოველაა „ხიზანი“. პერსონაჟი ძველი თაობის კაცია -პატრიოტი და ეროვნული მოძრაობის აქტივისტი. ეს მომენტი აყალიბებს მის ხასიათს, შეუპოვრობასა და უანგარობას. ასეთი ტიპები ყოველთვის აუტანელი არიან ნებისმიერი ხელისუფლებისათვის. „ყველა მთავრობის ოპოზიციაში“ ყოფნამ აიძულა დაწყებითი კლასის მასწავლებელი, მრავალი ამბავი გაეანალიზებინა, რათა თავისი ცხოვრების კრედო გამოეკვეთა. როსტომ შამუგია ერთი იმათგანია, რომელსაც ყველგან და ყოველთვის უხდება დევნილების ინტერესების დაცვა; იგი მუდამ პირდაპირ ამბობს სათქმელს; ასე იქცეოდა მაშინაც, როდესაც ბევრს პირში წყალი ჰქონდა დაგუბებული, თუმცა მას ჰყავს თანამოაზრეები, ოღონდ მათი ერთად შეკრება ვერ ხერხდება. ეგ ხომ გათითოკაცების მარადიული ქართული სატკივარია; სწორედ აქ არის ტკივილისა და წამების სათავე. ტანჯვისა და წამების გზა იყო როსტომისა და მისი ექვსსულიანი ოჯახისთვის ჭუბერის გზა. ნოველის გმირი გვიყვება, თუ რა ფასად დაუჯდა იგი, ამის შემდეგ როგორ მოხვდა კახეთში, კერძოდ სოფ. ვეჯინში. როგორღაც „ვეჯინი“ მეგრულ სიტყვად მოეჩვენა: „არ მოიხედო“. მთელი სოფელი გვერდით დაუდგა, იმდენად შეიყვარეს ვეჯინელებმა, რომ აქ დამკვიდრდა და სახლიც აიშენა. მწერალი დეტალურად მიმოიხილავს სხვადასხვა ეპიზოდს; აუდიტორიას ესაუბრება როსტომ შამუგიას პირით, და ჩვენთან ერთად ფიქრობს გამოსავალზე.

ნოველებში მთელი პირდაპირობით არის აღწერილი ჩვენი თანამემამულის ცხოვრება, მისი სულიერი ტანჯვა. კოლხური შეფერილობით პერსონაჟი იხატება მოქმედებით, ქცევით, საუბრის სტილით, საგულისხმოა მისი მეტყველება. პერსონაჟი გრძნობს, რომ ჩვენს ქვეყანაში სწორედ უცხოელმა დამპყრობლებმა დანერგეს ეროვნული ნიჰილიზმი, გაანადგურეს, გადათელეს, გახრწნეს, თავსლაფი დაასხეს წელში მოხრილ ქრისტეს მადლს შეხიზნულ ქართველებს. ვის რა დავუშავეთ? რაც რამე კულტურა შევქმენით, წაგვართვეს, ჩვენის ჩვენადვე მოხმარება არ დაგვაცადეს და ახლაც გვედავებიან მიწა-წყალს. წიგნის დასაწყისშივე ძალიან საინტერესო და ნიშანდობლივ მხატვრულ სახეს ვხვდებით. ვგულისხმობ ნოველას „საქართველოზე სიზმრებით განამებული“ - პირუთვნელ სიფაქიზეს, სილამაზეს, ეროვნულ თვითმყოფადობას შეწირული ერის სულიერი და ფიზიკური გათელვა არავის ადარდებს: შიგნით ზეობენ შადიმან ბარათაშვილები, გარეთ - ოკუპანტები; ხალხი შიშით გარეთ ვერ გამოდის, განუკითხაობაა, მეზობელი მეზობელს არ ინდობს, ოჯახის წევრი-ოჯახის წევრს, ქმარი-ცოლს, მამა-შვილს; ახალგაზრდები ხოცავენ ერთმანეთს, მცირეწლოვნებს აუპატიურებენ, ხალხს საკუთარ ეზოში ატყვევებენ, ოდესღაც ჯიშიან ქართულ მოდგმას მიწასთან ასწორებენ. ყველას ფეხებზე ჰკიდია შენი კულტურა, მალე ალბათ თბილისიღა დარჩება საქართველო; ემუქრებოდნენ კიდეც: „აღარ იარსებებსო საქართველო რუკაზე“. სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას პედაგოგი როსტომ შამუგია, როცა მოსწავლეებს უმხელდა დამალულ, გაუმხელელ ფაქტებს, მტრის ორგულობას, მათი სიბილწეს; მაშ, როგორ, სიმართლე არ უნდა იცოდეს მომავალმა თაობამ?

მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს მოწოდებულია ფაქიზად, მახვილგონივრულად, დიდი მხატვრული ალღოთი. სამშობლო არ დაითმობა, - ამბობს მწერალი და იქვე ამატებს: - დიდი შეცდომაა, მამულს რომ ტოვებენ და უცხოეთში გარბიან. ამით ჩვენებურები გზას უხსნიან მტერს, რომ დაეუფლოს ქვეყნის ტერიტორიას. ამ 141 გვერდიან კრებულში ბევრ გულისშემძვრელ მონოლოგს იხილავთ. ისინი ეხება რუს ოკუპანტებსა და ჩრდილოკავკასიელ ბოევიკებს, დაღლილ, დაკნინებულ, საქართველოს უიღბლობით შეწუხებულ გულჯავრიან ქართველთ. დღევანდელობა გუშინდელის პირმშო და მემკვიდრეა. სწორედ ამიტომაც არის ჩვენთვის ანგარიშგასაწევი რევაზ მიშველაძის ნოველები, რომლებიც თითქოსდა ნაცნობსა და გაცნობიერებულზე გვესაუბრებიან, მაგრამ ხელახალი გადაკითხვისას სრულიად ახალ სამყაროს გვაზიარებენ.

ბორხესი ამბობდა: „არავის ძალუძს ორჯერ წაიკითხოს ერთი და იგივე წიგნიო“, რაშიც მე არ ვეთანხმები ბორხესს, რამეთუ რევაზ მიშველაძის „ნოველები აფხაზეთზე“ რამდენჯერმე გადავიკითხე, მისმა ნოველებმა აფხაზეთის ამბებიდან სამი ათეული წლის შემდგომ სრულიად ახალი კუთხით გაგვაცნო ჩვენი, თანამედროვე რეალობა, სიმართლის გარკვევაში დაგვეხმარა. მაშასადამე, ეს არის მხატვრულად გარდათქმული აფხაზეთის ტრაგედიის ქრონიკა, ის მოვლენები, რაც დაკავშირებულია 1993 წლის 27 სექტემბერთან, ესაა ძალზე საინტერესო, წუხილითა და სიმართლით აღსავსე ტექსტი. მწერალი ცდილობს მომავალ თაობებს აგრძნობინოს ის უცნაური ვითარება, რომ ოცდაათი წლის შემდეგაც არა გვაქვს პასუხი კითხვაზე: ჰგავს თუ არა საქართველოს ცხოვრების წესი დამარცხებული ქვეყნის ცხოვრების წესს? და მწერალი, რომელმაც ერთადერთი ვაჟიშვილის სიცოცხლე გაიღო საქართველოს ძირძველი კუთხის, - აფხაზეთის, ისტორიული მიწის დასაცავად, გულისტკივილით აღიარებს: იმდენი აცეკვეს და ახტუნავეს ახალგაზრდები, რომ აფხაზეთი ვისღა ახსოვდაო. ასე დავიბრუნებთ აფხაზეთს? - იკითხავს მწერალი და ერთ-ერთ ნოველაში „სამი ბიჭის ამბავი“ დეტალურად გვიყვება სამი ბიჭისა და მათი მშობლების შესახებ, რომლებმაც არ იცოდნენ, რა ექნათ. ოცდაშვიდი სექტემბერია, სოხუმი დაეცა, ყველა გარბის, თუმცა არ იციან, სად წავიდნენ, ისმის სროლის ხმა... ნოველის გმირი იძულებული გახდა ტყისთვის შეეფარებინა თავი, შემდეგ კი ზღვის სანაპიროსკენ გაიქცა. ბავშვები რის ვაი-ვაგლახით აიყვანეს ბარჟაზე. მშობლები კი დარჩნენ. მათთან ერთად იყო ორასამდე განწირული ადამიანი. არ იცოდნენ, რა ექნათ, თუმცა იმის იმედი ჰქონდათ, ბავშვები გადარჩებოდნენ. რის ვაი-ვაგლახით ჩააღწიეს ფოთამდე, ნავსადგურს მიადგნენ და იქ დახვდათ დამპყრობელი რუსეთის სამი ხვალინდელი რისხვა: ხვიჩა, ავთანდილი და გოჩა.

განუსაზღვრელია ამ ნოველების იდეური და მხატვრულ-ფილოსოფიური ღირებულება. წიგნი ყოველი ქართველის, განსაკუთრებით კი დევნილების, სამაგიდო ლიტერატურის ნიმუშია. მას გამოარჩევს კონკრეტულობა, თანმიმდევრულობა, დროის ზუსტი და მძაფრი განცდა, ამბავთა ლოგიკური განვითარება; „ნოველები აფხაზეთზე“ მოიცავს პერიოდს 90-იანიდან 2008 წლის ჩათვლით, ანუ პერიოდს, როდესაც მოხდა ქვეყნის ოკუპაცია, საქართველომ დაკარგა საკუთარი ღირსების გრძნობა. პატრიოტები ვართ, გვიყვარს ჩვენი სამშობლო“, - ამბობს ერთგან მწერალი, მაგრამ იმასაც ხედავს, რომ, სამწუხაროდ, სიმტკიცე გვაკლია. უფრო მეტიც, ტყვიას არავინ უშვერს მკერდს, გარდა ნამდვილი პატრიოტებისა, რომელთათვისაც ზოგჯერ სიტყვიერ მადლობასაც არ იმეტებს სახელმწიფო, თორემ გმირობის მინიჭებას ან სხვა რაიმე ჯილდოს ვინღა ჩივის. რაოდენ დასანანაია და აღმაშფოთებელი, როდესაც საკუთარი სამშობლოს ბედი დაუდევარ უცხოელთა ხელშია, რომელთაც არაფრად ადარდებთ ამა თუ იმ ქვეყნის წამებით შესისხლხორცებული საკუთარი მიწა-წყალი, ეროვნული სიმპათიების მიმართ მოწიწე-

ბაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. შემოქმედს იმის იმედი ასულდგმულებს, რომ ქართველები ბუნებისადმი შეუგუებელნი არიან. ამას ჩვენი ისტორიაც ადასტურებს. ამიტომაც ისინი ვერც რუსულ „ჩექმას“ შეეგუებიან. სამშობლოს დამცირებით გულშეწუხებული მწერალი თავის გმირს სასოწარკვეთით ათქმევინებს: „საქართველო დიდი განსაცდელის წინაშე დგას, იცოდეთ - ქვეყანა დამარცხებული მაშინაა, როცა დამარცხებას შეეგუება“.

ძნელია ყველა ნოველის ძირფესვიანად განხილვა, ოღონდ, რომელიც არ უნდა წაიკითხო, მიზანი ერთია: გვიჩვენოს რეალობა - შორეული საბჭოეთიდან დევნილები ზღაპრული ცხოვრების მოლოდინში უკიდურესი ცინიზმის წინაშე აღმოვჩნდით. „მზეს ერთი ნაკლი აქვს - მას საკუთარი თავის დანახვა არ შეუძლია„ - სოკრატე. ჩვენც არ გვინდა იმის დანახვა, რომ დღემდე გრძელდება მცოცავი ანექსია, თითქმის ყოველდღიურად გადმოწევენ საზღვრის ნიშას და ახალი მავთულხლართებით ნთქავენ ქართველთა ეზოებს, შუაზე ჭრიან საფლავებს, ღობის იქით აქცევენ საყდრებს.... ნოველებში საუბარია ავად სახსენებელ 90-იან წლებზე. მომავალს დაუცხრომლად მიელტვოდნენ და არ იცოდნენ, სიმშვიდე და წესრიგი ფანტომად რომ ექცეოდათ. ამ ნოველებში აფხაზეთში მცხოვრები, მეოცნებე და მოიმედე ქართველების შინაგანი ბუნებაა დახატული, მათი ყველაზე წრფელი მისწრაფებებია გამოთქმული და სამსჯავროზე გამოტანილი. აქ აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია, შემდეგ ამ ტრაგედიიდან თავდაღწევაა მთავარი თემა. ავტორი კრიტიკული რეალიზმის მტკიცე და ნათელი წარმომადგენელია. ამიტომ მისი პათოსიც კრიტიკულია. იგი ერთგან ამბობს: „ღრმა ძილით სძინავს ხალხს და, როგორც ჩანს, ცხრა ზარბაზანი უნდა დაუცალო ყურთან, რომ გაიღვიძოს“. მასის გასაღვიძებლად ის იყენებს ყველაფერს - აუდიტორიას, პრესას, რადიოს, ტელევიზიას, პირად ურთიერთობებს.

მწერალი ერთ ნოველაში პერსონაჟის გმირობას აღწერს, რომელმაც სოფელ ოტობაიაში ჯავშნოსანი მანქანა, რომელშიც ათიოდე რუსი ჯარისკაცი ავტომატჩაბღუჯულები ისხდნენ, გააჩერა და ტრასამდე ჩაყვანა სთხოვა.

- ტი კტო, აბხაზეც ილი გრუზინ?! ჰკითხა ერთ-ერთმა.

- კანეჩნო აფხაზეც, გრუზინ ზდეს ნეტ ი ნე ბუდეტ!

- სადის, ბრატ, ეი! ძარაზე მსუბუქად შეხტა და საბარგულის შუაში მოკალათდა. ორასიოდე მეტრი რომ გაიარეს, ერთმა ჯარისკაცმა „აფხაზის“ ხელში ხელყუმბარა შენიშნა. და განწირულივით დაიღრიალა:

- რებიატა! მაგრამ უკვე გვიან იყო.... სრულიად გასაგებია მეომარი კაცის შინაგანი ღელვა იმ მომენტში, როდესაც თავი აიფეთქა. ამით ავტორი პატივს მიაგებს გმირ წინაპართ, რომელთა ხსოვნა მთელ რიგ ქვეყნებში უკვდავყოფილია, ჩვენთან კი დავიწყებული.

ამ მეტად საინტერესო ფრაგმენტიდან მრავალი რამის გაგება და მიხვედრა შეგვიძლია: ჯერ ერთი, ქართველი სკაცი თავის ეროვნულ გრძნობებს პირველ ადგილზე აყენებს; მეორე, თანაუგრძნობს აფხაზეთში დაღუპულ მეომრებს და მესამეც, ყველაფრის მიუხედავად, თავის გაწირვის მაგალითს გვახსენებს. მწერალი გვეუბნება, რომ მისი ნოველის გმირი თავისი ერის ღირსეული შვილია და მერე - გარემოებას დაქვემდებარებული ინდივიდი, რომლის გულში სიამაყე ყოველგვარ შიშს გადაწონის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძნელია ყველა ნოველის დეტალური მიმოხილვა, თუმცა ერთ-ერთ ნოველაში - „ომობენ მთავრობები“, ნოველის გმირი პროფესიით გეოლოგი, რომელიც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ განაწილებით ადიღეში მოხვდა, ამბობს: ჩემით მივედი იმ დასკვნამდე, რომ „უბრალო ადამიანები არასოდეს არ იწყებენ ომს, ომობენ მთავრობები“. ხანდახან მგონია: ხელისუფლება საერთოდ რომ არ არსებობდეს, ხალხი უფრო წყნარად და წესიერად იცხოვრებდა. „ერთა მტრობა და სისხლისღვრა პოლიტიკოსების მოგონილია.“

ის მთელ სოფელს თავის სტუმრად მიაჩნდა და ყურადღება არ მოკლებია, ვინ რას ჩუქნიდა და ვინ რას. დიდი ხანი მოუწია აქ მუშაობა. ერთი კვირით ადრე საპენსიო საქმეზე ჩავიდა. დაღესტანში, ცხოვრობდა ბესარიონ აძკსბას სახლში. ომი დაიწყო, ფაქტობრივად „საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის“ წარმომადგენელი სტუმრად იყო „მტრის“ ბანაკში. რამდენიმე დღე არაფერი უგრძნია მათი მხრიდან. 18 აგვისტოს კი ბესარიონის შვილი თემური კარგა ხანი თავჩაქინდრული იჯდა მის წინ და უმძიმდა ლაპარაკის დაწყება. - რატომ გააკეთეს ეს თქვენებმა? რატომ გვართმევენ ჩვენს მიწას? რომელ თქვენს მიწას, თემურ? თქვენ რა, არ იცით, რომელია ჩვენი მიწა?. მოკლედ, თემური ბრალს სდებდა ქართველებს, მაგრამ საბუთები არ აინტერესებდა. ამ დროს მოხდა სრულიად მოულოდნელი: ბესარიონმა ხანჯალი დააძრო და შვილისკენ გაიწია. მეორე დღეს ნოველის გმირი „აეროპორტში“ ბესარიონ აძკსბამ, მისმა მეუღლემ, და თემურმა გააცილეს.

ბესარიონი ნაწყენი დარჩა, სტუმარმა რომ წასვლა გადაწყვიტა, შვეულმფრენისკენ მიმავალს კი თემური დაეწია, გადაეხვია და ისე, რომ სხვებს არ დაენახათ, ვერცხლით მოჭედილი, ძველი, მამაპაპისეული ხანჯალი აჩუქა. სწორედ ამას გულისხმობდა ნოველის გმირი გეოლოგი, როდესაც ამბობდა: „ომს პოლიტიკოსები იწყებენ და უბრალო ხალხს სასაკლაოზეც ისინი გზავნიანო“. მწერალი შორეულ ადიღეში მცხოვრებ აფხაზურ ოჯახს გაგვაცნობს - მათი ოჯახის ფსიქოლოგიურ პორტრეტს გვთავაზობს; გვეუბნება, რომ ბოლომდე არ არის „ხიდი ჩატეხილი“. უნდა ითქვას, რომ ამით მწერალმა ყველას სათქმელი თქვა. მისი ნოველები ნამდვილად არის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სარკე.

გმადლობთ, ბატონო რევაზ, რომ განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით აღსავსე ნოველები შექმენით აფხაზურ თემაზე. ამით თქვენ წარმატებით აგრძელებთ იმ ხაზს ლიტერატურაში, რასაც მიჰყვებოდნენ სიტყვის ოსტატები: ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია... მათ ხომ აფხაზეთის თემა გაცილებით უკეთ ასახეს, ვიდრე თვითონ აფხაზებმა. აღნიშნული თემა თქვენთვისაც ერთობ ძვირფასია, რადგან იგი გაგონებთ აფხაზეთში დაღუპულ გმირ შვილს. ეს კი გაძლევთ იმის ძალას, დრამატული ამბები სიცოცხლის უძლეველობის ოპტიმისტურ განცდად გარდაქმნათ. საბოლოოდ კი შეიძლება ასე ვთქვათ: ყველა ის თვისება, რაც რევაზ მიშველაძის ნოველებში ადრე გვხიბლავდა, დღესაც გვხიბლავს; მისი დღევანდელი პერსონაჟები მთელი თავიანთი კაცური თვისებებითა და ღირსებებით წამოიმართნენ ჩვენ წინაშე. და რაკიღა შეუძლებელია, ავტორი პერსონაჟზე მეტი არ იყოს, ამის გამო რევაზ მიშველაძე მთელი ამ საინტერესო სამყაროს მეუფედ და ბატონ-პატრონად უნდა მივიჩნიოთ, ოღონდ ისე კი, რომ თვითონ ავტორიც ერთ-ერთ პერსონაჟად წარმოვიდგინოთ, ამ სამყაროს განუმეორებელ წევრად....

ჯემალ იბერიელი

მღვდელი ილარიონ გორგოძის მოღვაწეობა

დიდება სამყაროს შემოქმედს, ძალას, რომელსაც ჩვენი პლანეტის გულზე მარგალიტის თვალივით დაუბნევია ჩემი სამშობლო - საქართველო. ამ უძველესი ცივიიზაციის მქონე ქვეყნის მთათა წიაღში აღმოცენებულა იმერეთის გული, პატარა ქალაქი ბაღდათი.

სწორედ ბაღდათში დაუდია ბინა გორგოძეთა საგვარეულოს, რომელიც დასაბამს სოფელ ზეგნიდან იღებს. იგი აჭარის მთებში, ბაღდათიდან შვიდიოდე ვერსის მანძილზეა. იყოფა ორ - ზემო და ქვემო ზეგნად, დალოცვილი მხარე, საუკეთესო ვაზითა და ღვინით ქებული. როდესაც ვიხსენებთ ქართული ჯიშის ვაზსა და ღვინოს, როგორ შეიძლება არ შეავსო ფიალა ამ უნიკალური სითხით და არ შესვა ღვთისა და ერის სადღეგრძელო, შემდეგ დიდი წინაპრის სიბრძნის მოსაგონარი და ამ ფიქრში გართულმა არ გაიხსენო ორიოდე საუკუნის წინ ნამოღვაწარი მღვდელი - ილარიონ გორგოძე. ამ ახალგაზრდა, ენერგიით სავსე მღვდელმა ქვემო ზეგანში დააარსა სამრევლო სკოლა, რომელიც საწინდარი გახდა თვით ცნობიერებისა და განათლების ამაღლებისა.

მღვდელმა ილარიონმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ადგილობრივი, მისდამი რწმუნებული ეკლესიების მდგომარეობას, რომლებიც ხის პატარა, დაძველებული ნაგებობები გახლდათ. მათ ადგილას ააგო ხისავე, თუმცა საუცხოო გუმბათებიანი ორი ეკლესია - ერთი ქვემო, ხოლო მეორე - ზემო ზეგანში. თითოეული გამოირჩეოდა არაჩვეულებრივად მოწყობილი, მშვენიერი იერსახით. მღვდელი ილარიონის მეცადინეობით, ახალმა ეკლესიამ რუსეთიდან საჩუქრად მიიღო ძვირფასი შესამოსელი და სხვა საეკლესიო ნივთი.

დაუღალავად იღვწოდა მამულზე ფიქრით დატვირთული მღვდელი. მან ზემო ზეგანში ჩაუყარა საფუძველი საგანმანათლებლო კერის - სკოლის მშენებლობას, რაც წარმატებით დასრულდა, მიუხედავად იმისა, რომ მძიმე გზა განვლო - შურის თვალი ხომ ბედად მოსდევს ამ ქვეყანას. ერმა მალე გააცნობიერა მღვდლის ღვაწლი. სოფელმა შეიცნო, რომ სიმართლის გზა - ღვთის გზაა, ხოლო გასაყარი - მისი დამღუპველი, ღმერთის დამაშორებელი.

სამრეკლო ზარს სცემს
ყოველ ალიონს
და მადლით მოსავს მღვდელ
ილარიონს.

მთელი თავისი ცხოვრება და ენერგია მღვდელმა ღვთისა და ერის სამსახურს შეალია. მისი თვალსაწიერი და გონსაწიერი მთელ ქვეყანას სწვდებოდა კეთილის შემოქმედს საქმე არ დაელევა, ერთი სიცოცხლე არ ჰყოფნის, მისი საქმე ჩირაღდანივით ნათელს ჰფენს მომავლის გზას, გზას, რომელზეც შთამომავლობას მოუწევს სვლა.

მღვდელ ილარიონს სცოდნია, რომ წაბლარის ხეობაში აუცილებლად იქნებოდა სასარგებლო წყაროები. იმ ადგილებში, სადაც შველი და ირემი ბინადრობს, გარემოს შესწავლის აუცილებლობა იჩენს თავს. უწყლო ადგილას ხომ ნადირი ვერ იარსებებს. სწორედ ირმის სახელთანაა დაკავშირებული წყარო - საირმე.

გაცოფებული, კუნთმაგარი ის
ჩალვადრები,
მდინარის ფონში შეაგდებდნენ
საპალნით ცხენებს,
თვითონ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ
ნახსენებ გზებით,
მგზავრებიც უკან მიჰყვებოდნენ
დინების ველებს.

იქ ბაღდათიდან ალიონზე გვიან
ღამემდე,
აქა-იქ ჭიაკოკონების მბჟუტავ
ნათებით,
შემოვიდოდნენ საირმეში, წყაროს
დალევდნენ,
მიეცემოდნენ ძილის ბურანს
ღამენათევნი.

ირმები მთიდან დასცქეროდნენ
თავის სავანეს,
მიინავლებდა კოცონები, კაცთა
ხმაური,
მიატოვებდნენ წამიერად კლდიან
ქარაფებს,
გულს იგრილებდნენ მჟავე წყლებით,
ხიბლით ფარულით.

ეცილებოდნენ იქ ერთმანეთს კაცნი,
ნადირნი,
ორივ მათგანი გეშით გრძნობდა,
სხვა ჰქონდა ეშხი,
მსხვერპლსაც მოითხოვს, ეს ჩვევაა,
გულის წადილი,
სიცოცხლე იბრძვის, უდავოა,
ნადირშიც, ერშიც.

და ერთსა ღამეს, იმავ მხარეს
ნადირობის ჟამს,
ზეგნის მცხოვრებმა ილარიონ
მღვდელმა მსახურმა
და კეთილ მწყემსმა გაბედავამ,
მატიანე სჩანს,
აღმოაჩინეს ირმის წყარო, ღირს
საფასურად.

დღესდღეობით საირმის წყაროდ ცნობილი ირმის წყარო მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აღმოაჩინეს - მღვდელმა ილარიონ გორგოძემ და მწყემსმა გუჯუ გაბედავამ. „სასწაულმოქმედმა“ წყარომ მალევე გაითქვა სახელი საზოგადოებაში.

ილარიონ გორგოძემ კიდევ ერთ - საირმის წყაროს სახელით ცნობილ წყაროს მიაგნო. საირმე, როგორც სამკურნალო თვისებების მქონე ადგილი, 1899 წლიდანაა ცნობილი. ილარიონმა არა მხოლოდ აღმოაჩინა, არამედ წყაროთა შესახებ ცნობიერების ამაღლებაზეც იზრუნა.

მღვდელო მთავარო, შენი ქვეყნის
კეთილმსახურო,
და შენთან გუჯუ გაბედავა, მწყემსო
კეთილო,
საუკუნოვან უკვდავებით
გარდასახულო,
ციური თვალი არ გაკლებდეთ
მადლსა და მირონს.

ბებერი ბროწეულის გადასახედიდან (მოსაზრება თემურ ჭკუასელის კინოსცენარის შესახებ)

ზაალ ნემსაძე

დიდმა ქართველმა ფეხბურთელმა, სლავა მეტრეველმა ერთხელ ბრძანა, იტალიელები ისე თამაშობენ ფეხბურთს, თითქოს გიტარაზე უკრავენო.

გამოჩენილმა ქართველმა მომღერალმა, ლეგენდარული „ქართული ხმების“ შემქმნელმა თემურ ჭკუასელმა განაცხადა, გაცილებით უფრო კარგად ვწერ, ვიდრე ვმღერიო.

ორივე ცამდე მართალია!

მეტრეველი, როცა იტალიელ ფეხბურთელებს აქებდა, მაშინ სანდრო მაცოლა, ლუიჯი რივა, ჯიაცინტო ფაკეტი და სხვა ჯადოქრები ჰყავდა მხედველობაში.

ჭკუასელი, როცა საკუთარ მწერლურ შესაძლებლობაზე საუბრობდა „სიმღერით გამთბარი მიწა“ ჰქონდა შექმნილი და თეოფილე-თომა-თომასი მერცხლებივით ელოდებოდნენ გაზაფხულის მოსვლას.

„ჩემს უიღბლობაზე უკვე ლეგენდები დადის, - წერს თემურ ჭკუასელი, - რაღას არ ჰყვებიან ხოლმე, ზოგს ტყუილსა და ზოგს მართალს.. საქმე იქამდე მივიდა, რომ ელემენტარული სურვილის გამჟღავნება თუ დავაპირე, ისეთის, სხვებსაც რომ ხელს აძლევთ, მაშინვე პირზე ხელს ამაფარებენ, ოღონდ შენ არ თქვა, თორემ ყველაფერი წყალში ჩაგვეყრებაო“ („თუმცა“)

სწორედაც რომ!

ჩემს ხელთაა კინოსცენარი „სიმღერით გამთბარი მიწა“, ათი წლის წინ გამოცემული, რომელიც ჭკვიანი რეჟისორის და კეთილი სპონსორის ხელში კინოშედევრად იქცევა და მსოფლიოს ისე წარმოუდგენდა ქართველი კაცის ბუნებას და ხასიათს, აქეთ შეგვეხვეწებოდნენ, თქვენი ხმალი და ჩვენი კისერიო.

„...გუშინ დილას მამაშენი მოკლეს და დღეს სიმღერის სასწავლებლად მოხვედი ჩემთან?..

...(თომა თავს ჩაღუნავს და წყვეტილი ფრაზებით ამბობს) მამას უმღერია იქ... სანამ ტყვიას ესროდა ობოლაძე... სიმღერა დაუწყია.. თურმე, იცოდა, რომ კლავდნენ... და მაინც იმღერა... მეორემ ვეღარ ესროლა, მაგრამ ობოლაძემ კი.. მაგიტომ მოვედი, სხვა არც ერთი არ მინდა, მარტო ის მინდა ვისწავლო, მამამ რაც იმღერა სიკვდილის წინ. „ვოისა“ უმღერია. ასე მითხრა ლაზარემ. იქ იყო ისიც, მაგრამ ვერ ვესროლეო... ამიტომ მოვედი თქვენთან და გეხვეწებით, უარი არ მითხრათ. მაგი სიმღერა რომ არ ვისწავლო, ვიცი მოვკვდები მეც. (თემურ ჭკუასელი. „სიმღერით გამთბარი მიწა“. გვ.235).

ისწავლა თომამ „ვოისა“ ივლიანე ვაშალომიძისგან და თუ როგორ, ცოტა მოგვიანებით გეტყვით.ივლიანემდე კი გერმანელი დედის და გურული მამის შვილმა თომამ, ლენინელი ბოლშევიკის მარჯვენა ხელის, ლაზარესაგან გაიგო „ვოისას“ შესახებ:

„...„ვოისა“ იმღერა, ბიძიკო, მამაშენმა... მე არ მისვრია, იცოდე. ვერ ვესროლე. იქ ვიყავი, მაგრამ არ მისვრია... ობოლაძისთვის სიმღერა ტყვიის წუილი რომ ესმის, იგია! სხვა სიმღერა არ იცის მაგან! წადი ახლა ბიძიკო, წადი და გახსოვდეს, „ვოისა“ იმღერა მამაშენმა სიკვდილის წინ...“ (გვ.222).

ლაზარეზე წინ ნიკიფორე ჰყვება თეოფილეს დაღუპვის შესახებ: (გვ.215) – „მერე ის რომ, იმ ვინტოვკიანმა კი ასწია ხელი და დოუმიზნა, მარა, ჩამოუშვა ისევ და უთხრა მეორეს, კაცი მღერის და ტყვია როგორ ვესროლოო? ვერ ვიზამ მე მაგას, არ შემიძლიაო. გააჩუმე ჯერ და მერე ვესვრიო... გავაჩუმო ხომო... მომეცი აქ ეგ ვინტოვკაო... თეოფილეს სიმღერამ გადარია და გააცოფა. რომ ვერ მოერია და მაინც აჯობა, მაგან გადარია. გაირჭო მერე მაუზერი ქამარში. მართლა გამოგლიჯა ხელიდან იგი ვინტოვკა, თითქმის კეფაზე მიადო და... ესროლა ბათლომე.“

თეოფილეს მხეცურად მოკვლის ეპიზოდის სამი სხვადასხვა პირისგან მოყოლამ, რიუნოსკე აკუტაგავას და აკირა კუროსავას შედევრად მონათლული „რასემონი“ გამახსენა. მინდა მოკითხვა გადავცე მათ და მკითხველს მოვახსენო, რომ ის რასემონი, გურიაში გათამაშებულ ტრაგედიას კოჭებამდეც ვერ შემოსწვდება. აი ეგრე, ურწმუნოების გასაგებად და გასაგონად! და მთავარი: ვისაც ჰგონია, რომ თეოფილესთან ჩაქრა მისი „ვოისა“, ცდება:

ათი გერმანელი მეავტომატის წინ დგას ექვსი თვალებახვეული, ზურგსუკანხელებშეკრული ქართველი და დახვრეტას ელოდება.

„კომენდანტი: მგონი ვჩქარობთ. მინდა მოლოდინის სიმძაფრე უკეთ შეიგრძნონ იმათაც, ვისაც ხვრეტენ და იმათაც, ვისი რიგი შესაძლოა ხვალ დადგეს...

...თომას თავი აქვს გადაწეული, თითქოს ზეცას გასცქერის თვალებახვეული და ძალზე ნაღვლიანი, მაგრამ ამავდროულად შემზარავი ლამაზი ხმით მღერის „ვოისას“ (გვ.355). აქ კი დიდი მომღერალი და უფრო დიდი მწერალი, თემურ ჭკუასელი რამდენიმე წინადადებით ისე აღწერს ექვსი ქართველის „ვოისას“, სასწაული ხდება - მკითხველი არა მარტო უსმენს, არამედ ხედავს სიმღერას. ცრემლი ჩამოსდის გმირებთან ერთად... „ისმის ცალფა და ხაზგასმული რიტმით დაკრული ტაშის ხმა, ეს შტურმანფიურერი იღიმება და ბიჭებს ტაშს უკრავს... უეცრად მთელი ბანაკი, ათასობით ტყვე მთელი ხმით აღრიალდება...

ჯანგო: (ტირილნარევი ხმით) - თომა, მითხარი ბიჭო, რა ხდება ეს, ა?

თომა: აბა რა გითხრა, ჯანგო. ჯერ ვერ ვხვდები, მაგრამ მგონი, მამამ გადაგვარჩინა საიქიოდან“ (გვ.356-357).

ბევრი წაგიკითხავთ ამდენი ემოციის გამომწვევი ნაწარმოები? ის, რაც მოიმოქმედა და იკადრა ბოლშევიკმა ობოლაძემ, ფაშისტმა ოფიცერმა ღირსების შერცხვენად მიიჩნია, რადგანაც ქართულმა სიმღერამ მიწა გაათბო მის ჩექმებს ქვემოთ და ეს სითბო მის გაყინულ გულს მისწვდა. და დაიწყო ექვსივე ტყვე ქართველის „ჯადოსნური“ ცხოვრება. ავტორი დიდი სიყვარულით აგვიწერს გივი გაბლიანს, შალვა მაღლაკელიძეს, მიხეილ კედიას, დათაშკა კავსაძეს - დიდ ქართველებს, რომლებმაც მამობრივი მზრუნველობით უპატრონეს ამ ექვსეულს და ტყვეობაში მყოფ ათასობით ადამიანს...

ბედი მსახვრალი კი თომას, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, საკუთარ სოფელში უმუხთლებს... ჩეკისტები მის შესაპყრობად მოიჩქარიან და მეგობარი ბაცი, ვისთანაც ტყვეობა გაატარა და დახვრეტას სასწაულად გადაურჩა „ვოისას“ წყალობით, მიახლის: „მართლა გულუბყვრილო ხარ... ggონია, იმ შვიდ ახალგაზრდას მოსალოდნელი ომის წინ, ზედ გერმანიის საზღვართან, ისე გაუშვებდნენ, რომ ერთი მაინც ჩეკას აგენტი არ იქნებოდა? მე ვარ ის აგენტი.“ (გვ.399).

...თუმცა იუდა თავის საქციელს სიკვდილით ზღავს და თომაც მასთან ერთად... „ჰაერში მივატოვებთ ორივეს“ (გვ.401).

ქართული სიმღერა კი უკვდავია მისგან გამთბარი დედამიწასავით და გამორჩეული ადამიანებით:

4-5 წლის თომასი, თომას და ლიტველი მარიას ვაჟი მაგნიტოფონით უსმენს მამის „ვოისას“ და ამაყად ამბობს“ - გავიზრდები და საქართველოში წავალ. მამას სიმღერა უნდა ვისწავლო... მე ხომ ქართველი ვარ!

მარია სიყვარულით უმზერს შვილს.

აქ სიმღერა წინა პლანზე გადმოვა, რევერბერაციაც ემატება და ეკრანზე კიდევ ერთხელ დავინახავთ ბებერი ბროწეულის გადასახედიდან ჩვეულ პანორამას, ჯერ თეოს რომ ელანდებოდა მუდამ და შემდეგ უფროს თომას. ახლა ამ ლამაზი ხედის ფონზე უმცროსი თომას ანთებული თვალებიც მოჩანს მკრთალად.“ (გვ.402).

აი, ასე ლამაზად სრულდება „სიმღერით გამთბარი მიწა“, რომლის რამდენიმე ეპიზოდის განხილვა იყო ჩემი მიზანი. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ცუდი მკითხველი არ ვარ და მჯერა, ეს წიგნი ყველა ქართველის ოჯახში უნდა იკითებოდეს, რევაზ მიშველაძის რომანთან ერთად, რომელსაც „წამება“ ჰქვია. ამით გაცილებით უკეთესები გავხდებოდით.

„თომა: ჩემი წლოვანება? - მე ძალიან ბებერი ვარ ექიმო, 3500 წლისა... 3500 წელზე მეტია მკლავენ. ჯერ აღმოსავლეთი მკლავდა, სამხრეთიც, მერე ჩრდილოეთმა მოისურვა ჩემი განადგურება, ახლა კი, თქვენც ხედავთ, დასავლეთმაც მოიცალა ჩემთვის... 3500 წელია გვკლავენ და ის მაინც გვითხრას ვინმემ, რა დავაშავეთ... 3500 წელია სიცოცხლის გადასარჩენად ვიბრძვით.“ (გვ.346-347).

ალბათ, 3500 წელი გაივლის კიდევ და ამ შეკითხვის პასუხი არავის ეცოდინება. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ვერ მოგვკლავენ, ვიდრე სიმღერით გამთბარ დედამიწაზე ვივლით.

P.S. დასაწყისში მწერალი თავის უიღბლობაზე რომ ჩიოდა ხომ გვახსოვს? ბატონი ჭკუასელი ყველა უიღბლო ეპიზოდის ბოლოს წერდა „თუმცა“... და ეს „თუმცა“ იყო უიღბლობის იღბლიანი დასასრული.

აი ჩემეული „თუმცა“, რომელიც ამ კინოსცენარს ელოდება: - გამჩნდა ჭკვიანი რეჟისორი, ქვეყნის მოყვარული სპონსორიც და ... „ხალხით გადაჭედილი დარბაზი... იმ უამრავი სახეებიდან ალბერ ბერბერაკს გამოვარჩევთ. სინათლე ჩაქრება და წამიერი სიბნელის შემდეგ იწყება ფილმი - სიმღერით გამთბარი მიწა.

„რომელიღაც საღებავზე ამბობენ, რომ ისე ღრმად და მოუშორებლად ჯდება მასალაში, რომ მასზე სამუდამოდ რჩება. ასეთივე შედეგი მოაქვს სულისათვის ქველმოქმედებასაც! მასში ყველაზე მეტად აღიბეჭდება ღვთის მსგავსების ნათელი“, - თეოფანე დაყუდებული.

განსაცდელი მიწაზე - ზეცაში ამყვანი სულიერი კიბეა“, - ალექსანდრე გეთსიმანიელი.

2022 წელი. თიბათვე.

მზიური აფციაური

ვარგავის ღვთისმშობლის ხატი

გრილი დღე იყო.

სიონის ტაძრიდან გამოსული ფეხით ნელ-ნელა ავყევი ლესელიძის ქუჩის აღმართს თავისუფლების მოედნისაკენ. ვიწრო ქუჩა ხალხით იყო სავსე. ვერიდებოდი შემხვედრთ, გეზს ვუქცევდი, რომ არ დავჯახებოდი. რამდენი საფიქრალი აქვს, ღმერთო, ადამიანს.

გზისპირას ეკლესიური მაღაზია შევნიშნე. შევედი. კარგად მივათვალიერ-მოვათვალიერე ხატები და ჰოი, საკვირველებავ, პირველად იქ აღმოვაჩინე ის ხატი, რომელიც ჩემს ბავშვობაში, სოფელში ყოფნისას დამესიზმრა: შავ კაბა-მოსასხამში გამოწყობილი დედაღვთისმშობელი. მოსასხამს თეთრი კანტი ჰქონდა შემოვლებული, კარგად მახსოვდა სიზმრის ეს ფრაგმენტი: გაკვირვება გამოხატული დედაღვთისმშობლის გაფართოებული თვალები, თითქოს რაღაცას მახსენებდნენ. მაღაზიიდან გამოვედი. ისევ ფეხით ამოვუყევი აღმართს.

მარტოობისა და მწარე ფიქრების მონად ვიქეცი, წინ გადამეშალა ჩემი დიდი ოჯახის ცხოვრება და ცაზე ფაფარივით წამოშლილ ღრუბელთა დინებას ადევნებულ ფიქრთა ლტოლვაში ხან ვიცინოდი, ხან ვტიროდი, ხან ვიღიმოდი, ხან ვბრაზობდი, ხან ვარიგებდი სასარგებლო რჩევებით, ვტუქსავდი და ასე მიილეოდა წუთისოფელი ჩემი საყვარელი. მეუღლის, შვილის და მშობლებზე დარდით...

ამბობენ, მოზრდილი ადამიანი თვითონ განსაზღვრავს თავის ბედსო. არა, ადამიანის ბედი დაბადებითვე განსაზღვრულია, ყველაფერი ბავშვობიდან მოდის.

„შეუცნობნი არიან საქმენი უფლისანი...“ ჩვენ ჩვენთვის ვფიქრობთ, ვსჯით, ვბაასობთ, ათგზის ვაწყობთ ცხოვრებას, მაგრამ სიცრუე და ამაოება გვიკეტავს გზას - ამ მუხთალ წუთისოფლის კარებს.

მახსოვს ოთხი-ხუთი წლისა სტუმრად ბაბოსთან (მამის დედა) მამიდებთან და ბიძებთან წამიყვანა მამამ. ყველა მეფერებოდა, ლამაზი იყო მამაჩემის მშობლიური სოფელი, ჯავახეთის ზეგანის ერთი პატარა სერის ფერდობზე დაფენილი მიწური ოდებით და გამტკიცული პურის ფქვილივით მიწადაყრილი ბან-ერდოებით გადაბმული მიწური საცხოვრებლები. პატარა სერზე, რომელიც ჩვენი სახლის უკანა ეზოდან ჩანდა, მამიდაჩემებთან და ბიძაჩემთან ერთად ხშირად ავდიოდი, ავდიოდი კი არა - ხან ისე სასაცილოდ მიმაკონწიალებდნენ ხტუნვა-ხტუნვით, თითქოს თოჯინა ვიყავი. მგონი რაღაცას ეძებდნენ უხვად მიბნეულ ლოდებსა და ქვებს შორის, მაგრამ ვერ პოულობდნენ...

მახსოვს, სერის ჩრდილო აღმოსავლეთით (ახლაც ასეა) მდებარე კლდოვან ნაწილში წყალი ამოდიოდა და პატარა რუდ მიედინებოდა ჭალისაკენ, სადაც საქონლისთვის ავაზნები გაეკეთებინათ დასარწყულებლად. მაშინ ეს პატარა რუ მე დიდ მდინარედ მეჩვენებოდა, მეშინოდა არ ჩავვარდნილიყავი და ვჭყიოდი ყოველ წუთს. უცბად ჩიტი აფრინდა და ჩემს წინ წავეტანე, მაგრამ თავი ვერ შევიმაგრე და რუში ჩავვარდი. გაფრენილი ჩიტი ბიძაჩემმა ხელით დაიჭირა და ატირებულს მომცა, რა გატირებს, აი, შენი ჩიტიო.

მეორედ, როცა სოფელში ავედი, უკვე დიდი ვიყავი. სიგამხდრისგან თოკზე გადაკიდებულ ფლასს ვგავდი. ჩემს მშობლებს შეეშინდათ, არაფერი დაემართოსო და ჰაერის გამოცვლის მიზნით მამიდასთან ამიყვანეს, იქნებ ამან მაინც უშველოსო. მაგრამ საჭმელი ჩემთვის დასჯის ფორმულა გახდა და მხოლოდ ჰაერი, პური და წყალი მზრდიდა. მალე მამიდამ მოგზაურობა შემომთავაზა მეზობელ სოფელში. ვარევნიდან თოკამდე ორი კილომეტრი თუ იქნებოდა. მე სიხარულით დავთანხმდი, რამეთუ ხეტიალი ბუნებაში ძალიან მიყვარდა. მამიდამ კვერცხი წამოიღო შინიდან, მაღაზიაში ლამაზ ნაჭერზე გადაცალა და მერე კაბა შემიკერა.

გზა პურის ყანებსა და ქერის ყანებზე გადიოდა. ვარევნის მხარეს მდინარე ჩაუდიოდა, ანკარა სუფთა წყალი. გზაში დაგვცხა, მომშივდა კიდეც. მამიდას წამოღებული ჰქონდა ჩემთვის საგანგებოდ გამზადებული ლავაშში გადახვეული ჩეჩილი ყველი და ქადა. მდინარის პირზე, მაგიდასავით გაშლილ ლოდზე სუფთა ტილო გადავაფარეთ, სკამებივით გამოჩორკნილ პატარა ქვებზე მოხერხებულად ჩამოვჯექით და მადიანად შევექცეოდით ჩვენს საგზალს, თან თვალს ვაყოლებდი ხევში ჩაკარგულ კამკამა მდინარეს... უცებ სიღრმიდან ლაპ-ლაპა თევზი ამოფრინდა, - თევზი, მამიდა! - დაიყვირე. მამიდა იცინოდა. აქ სავსეა კალმახი, შვილო, ბიჭები რომ გამოგვყოლოდნენ, ვითევზავებდით კიდეც...

ნიავი ქროდა ჯავახეთის ზეგანზე და ოქროსფრად აღელვებდა დილის მზის სხივებდაყრილ თავთუხდამძიმებულ ყანებს.

შორს გორაკზე შეფენილი სოფელი მოჩანდა...

- რა ლამაზი სოფელია! - შევძახე და ფხეზე წამოვხტი, - ნეტავ ახლოს იყოს მაინც...

მამიდამ გამიღიმა, - ჩვენ მაგ სოფლიდან ვართ, იქ გავიზარდეთ, ვარგავი ჰქვია, ბევრი კარგი მახსოვს.

- მეც მახსოვს, მამიდა, პატარა რომ ვიყავი მაგ სოფელში წამიყვანა მამამ.

- თუ გინდა ახლაც წაგიყვან! - მომეწონა მამიდას ნათქვამი, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... გზა მოგონებებით მალე გაილია.

***

სახლში პირმცინარე ქალი დაგვხვდა.

- მშვიდობა შენს მობრძანებას! კარგი გიქნია, გამოგივლია, კაცს ისე მოანატრებთ თავს, მოკითხვასაც დაავიწყებინებთ... ე, ბავშვი ვიღასია? - მამიდაჩემს გაეცინა, როგორ გეტყობა, რომ გრიშასთან მალ-მალ მიდიხარ!..

- რას ამბობ, გრიშას გოგოა? რამხელა გაზრდილა, მაგრამ ასე გამხდარი რად არის. ეტყობა ჭამა არ უყვარს. გენაცვალოს მამიდამ, - და გადამეხვია. - ახლავე ისეთ ერბოკვერცხს შეგიწვავ, თითებსაც ჩააყოლებ. აბა, აქ ჩამოსხედით, ოდაში გრძლად გაშლილ ტატხტრევანზე ჩამოგვსხა და მაშინვე დაიწყო სუფრის გაშლა, ნამგზავრები ხართ, გეშიებათო!

- არ შეწუხდე, თოკში საქმეზე გადმოვედი. ბავშვმა გზიდან დაინახა სოფელი, ავუხსენი, მითხრა ნამყოფი ვარო, უნდოდა ენახა, მეც იხტიბარი აღარ გავუტეხე და შენსკენ გამოვატარე, მალე უნდა წავიდეთ, გზაში არ დაგვიღამდეს...

- რა დროს ეგ არის, გოგო, ეგ ბავშვი ცოტა ხანს ჩემთან დატოვე, ისე მოვაფერიანებ, დედამისმა ვეღარ იცნოს...

- გრიშას ამბავი არ იცი, ჩამაბარა, ბავშვს არაფერი დაემართოსო, ყურადღებით იყავიო. ანაბარი ხომ იცი...

და მამიდამ დამტოვა თავის ბიძაშვილ სოფინასთან...

სოფინა მამიდას და მახრო ძიას შვილი არ ჰყავდათ. ისე გაეხარდათ ჩემი მისვლა, რომ მათი ზრუნვის საგნად ვიქეცი. იმ დროისათვის სოფელში საჭმელი არ ჭირდა. საქონელი, ფრინველი და ხორბალი მრავლად ჰქონდათ ბეღელში.

დილით ახალმოწველილ, ადუღებულ რძეს სომინ პურზე გასმულ სახლში შედღვებილ რძიან კარაქს, ერბოკვერცხს, ისე სწრაფად გამიმზადებდა მამიდაჩემი, ვნატრობდი, ან რძე დაექცეს, ან ერბოკვერცხი დაეწვას, რომ ვერ შევჭამ-მეთქი.

- მზექალ, მამაშენი სახლში პურს არ გაჭმევდა? ეგ როგორი გამხდარი ხარ, შვილო, რომ დადიხარ, იქცევი მგონია!

- თუ საჭმელზე უარს იტყვი, მამაშენს როგორღა შევხედო სახეში? - მეტყოდა მამიდაჩემი. ერთი-ორი დღე კი მომითმინა, მაგრამ მესამე დღეს ისე აგრესიულად ჩამჭიდა ხელი და საბუდართან დამაყენა, მეგონა, რისხვა თავზე დამატყდება-მეთქი.

- ახლა კი, ე, მაგ გოდორს უდარაჯე და ქათამი რომ კაკანს დაიწყებს, დამიძახე, თორემ მე ვიცი, შენა... - თითქოს ნიშნისგებით გაბრაზებული შემომწყრა.

მე გაბუსუნებული ვიდექი გოდორთან და ქათამის კაკანს ველოდებ ოდი. უცებ ქათამმა დაიკაკანა, წამოხტა გოდრიდან და გაფრინდა. გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, მამიდაჩემი თავზე დამადგა:

- რათ გაუშვი ქათამი? მაგისთვის კი ახლა პასუხს აგებ!

უფრო მეტად გავბუსუნდი, არ ვიცოდი რა მექნა და დამნაშავემ ამოვილუღლუღე:

- გამიფრინდა, ვერ დავიჭირე...

- ჰოდა, რომ გაგიფრინდა, გააღე პირი! (იძულებული ვიყავი, პირი გამეღო). ახლა ეს კვერცხი გადაყლაპე, თორემ იმ ქათამსაც მოუხარშავს გაჭმევო...

- ვაიმე, ვფიქრობ გულში, ეს ქალი ჭკვიანი მეგონა და თურმე გიჟი ყოფილა-მეთქი. რა უნდა მექნა, გადავყლაპე თბილ-თბილი კვერცხი.

ქათმისა რა გითხრათ, მაგრამ იმ კვერცხს ისეთი კარგი გემო ჰქონდა, ახლაც კი მახსენდება მისი სურნელი და მეღიმება მამიდას საქციელზე. სწრაფად დაარტყა კვერცხი კარების ფიცარს და „ჩქარა, ჩქარა, არ დამექცესო“, ყვიროდა...

ცოტა ხნის მერე მომშივდა. მამიდაჩემმა ყვიროდა...კარგად დაჭრილ სომინ პურზე შინაური კარაქი და ზემოდან თაფლი წაუსვა და მომაწოდა. თუ ამას შეჭამ, ყანაში წაგიყვანო. ცოტა არ იყოს შევიშმუშნე და გავხედე. მამიდა მიღიმოდა. - ხომ გინდა ყანაში წასვლა?

ყანაში კი ნამდვილად მინდოდა წასვლა...

ჯავახეთის ზეგანზე მაშინ ითესებოდა ხორბალი: „დიკა“, „დოლი“, ქერი, შვრია, „ფიგი“, ბარდა, კარტოფილი... და ეს ყველაფერი უწყლოდ, მორწყვის გარეშე მოდიოდა, მისი მასაზრდოებელი ზეციური ღვთის მადლი - წვიმა იყო. ზეგანზე იშვიათად შეხვდებოდი ხეს. ის ან წყლის, მდინარის პირას იზრდებოდა ან ჭალაში, სადაც პატარა რუ გაედინებოდა... ერთადერთი ხე-ჭადარი შემორჩენილიყო პაპაჩემის ნასახლართან, რაზეც ვენახი ადიოდა და ახლა ის ვენახიც გამხმარიყო. ყურადღებას არავინ აქცევდა.

ჰოდა, თაკარა მზეში ხალხი, მთელი სოფელი გასულიყო ყანებში პურის სამკალად. მახრო ძია ისე მარდად უსვამდა ცელს, მიხაროდა და ყველას სჯობია-მეთქი, ვფიქრობდი.

- ჰაი, შე კნაჭა შენა, მოხვედი... - დანახვისთანავე შემომძახა.

მე და მამიდამ სადილი წავუღეთ ყანაში კოლმეურნეებს და არც ცივი წყალი დაგვვიწყებია.

- აბა, ერთი კოკა მომირბენინე! - დამიძახა მახრო ძიამ. მეც წამოვავლე ხელი პატარა დიქს და სიცხისაგან დაოსებულ ადამიანს გავუწოდე.

- ყოჩაღ, შენა, ძალა მოგცემია. ახლა წამომყევი, რაღაც უნდა გაჩვენო.

წავედით ყანის შუაგულისკენ. მიწის ღრმად ამოთხრილ ორმოში ჩაფენილ ბალახებსა და თავთავებში ჭრელი კვერცხები აღმოჩნდა.

- ეს მწყრის კერცხებია, შვილო, თუ ამას შეჭამ, უფრო დიდი გაიზრდები და გალამაზდები.

- მერე მწყერი ცოდო არ არის? რომ მოვა და ნახავს კვერცხები აღარ არის, დაგვწყევლის.

- მწყერმა არ იცის წყევლა, შვილო, ნახავს და გაფრინდება. ისევ დადებს კერცხებს და გამოჩეკს მწყერებს.

დიდი ტაბლა გაეშალათ კოლმეურნეებს ნამჯიან მინდორზე. სუფთა ტილო დაეფინათ და ნუგბარ საჭმელს შეექცეოდნენ. დაგვინახეს თუ არა, მიგვიპატიჟეს.

- მახრო, შენ ჩემს გვერდით დაჯექი, შენ კი, შვილო, აი, აქ. - მამიდას ჩემთვის სახლიდან პატარა, რილი ბალიში წამოეღო, ალბათ იმიტომ, რომ გადაჭრილ ნამჯის ღეროებს ნაკაწრები არ გაეჩინა შიშველ ფეხებზე (ეჰ, ნეტავ ახლა ცოცხლები იყვნენ).

- აბა, რას შეჭამ, - თქვა მამიდამ და დიდ პურის ნაჭერზე გასმული გაწურული მაწონი ნიორწყლით შეზავებული ვარიის ხორცი მომაწოდა. პური ჩავკბიჩე, მეგემრიელა და დავიწყე ჭამა.

მამაჩემის ულამაზეს სოფელში, არგავში ცხელი დღეები დაიჭირა. წვიმის წვეთი არ ვარდებოდა. მე და თინა, ოჯახის ნათესავი და ჩემი უფროსი მეგობარფი პატარა სერზე ავედით. იქ ისეთი ლაღი ნიავი ქროდა, სუნთქვა აღარ გვიჭირდა. იქიდან უფრო ვრცლად იშლებოდა სანახები: ყანები, სკოლა, მთა-გორები, სოფლები და წარმოიდგინეთ, შორეული ტყეც კი. ჭალა ხომ სოფლის სილამაზე და სიცოცხლე იყო, როგორც უდაბნოში აღმოჩენილი მწვანე ოაზისი.

სერის სამხრეთ დასავლეთ ნაწილშ დაბლა მინდორზე სასაფლაოებს მოვკარი თვალი და ცქერა დავუწყე.

- ეს ჩვენი სასაფალოა, - მითხრა თინამ. - მგონი იქ სადღაც უნდა იყოს, - და ძებნა დაუწყო სერზე რაღაც ადგილს. თან წერაქვი წამოეღო, მიკვირდა, რად უნდა-მეთქი, მაგრამ კითხვა ვერ გავუბედე.

თინამ წერაქვი რამდენჯერმე ჩაარტყა დიდ ლოდთან და სიღრმე ამოიღო: თეთრი კენჭები, ღორღი და კირქვის ნამსხვრევები.

- არა, - თქვა მან, - აქ არ არის, - თითქოს რაღაც შეუნახას და დავიწყებიაო, ისე დამაჯერებლად ამბობდა, რომ მეც ვიჯერებდი მის ყოველ წარმოთქმულ სიტყვას. ბოლოს გავბედე და ვკითხე: - რას ეძებ?

- ჩემო ლამაზო, ხატია აქ დამალული. თუ იმ ხატს ვიპოვი, ჩვენი საქმე კარგად წავა. ნახე, როგორი სიცხეებია, დედამიწა დასკდა და ყამირს დაემსგავსა. წვიმა თუ არ მოვიდა, შემოდგომაზე ხორბალს ვეღარ დავთესავთ და პურიც აღარ გვექნება.

მისმა ნათქვამმა დამაფიქრა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია წყალს. უმისოდ ხომ ვერავინ იცოცხლებს და მოსავალსაც ვერ მოიყვანენ. მეც დავინტერესდი და მე და თინამ კიდევ რამდენიმე ადგილი ამოვთხარეთ სერზე, მაგრამ კვალს ვერ მივაგენით. იმ ღამეს არ გვეძინა. ვერ მოისვენა ჩემმა უფროსმა მეგობარმა. ნათელი, მთვარიანი ღამე იყო, კამკამა ცაზე ვარსკვლავები ნათურებივით ამოსულიყო. სერზე ასულებმა პირჯვარი გადავიწერეთ და მიწის თხრას შევუდექით. ნერაქვი რაღაცას წამოედო. - ვაიმე, ვაიმე, ხატს არ მოვახვედროთ. წერაქვი გვერდზე გადადო და ხელებით ფრთხილად დაიწყო მიწის ამოყრა. როგორც იქნა ამოიღო უშველებელი ფიქალ-ქვა, რომელიც ყუთს ეფარა. ფანერის ყუთს თავი დაჭედილი ჰქონდა. თინამ წერაქვის ბრტყელი პირი სახურავს წამოსდო და მაღლა ასწია. სახურავი ავხადეთ, ფრთხილად შემოვაცალეთ აბრეშუმის ნაჭერი და ღვთისმშობლის ბრწყინვალე სახე გამოჩნდა. ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ხატი გულში ჩავიკარით და სახლისკენ დავეშვით.

დილით რაღაც უჩვეულო ხმაურმა გამომაღვიძა. სახლში არავინ იყო. კაბა გადავიცვი და გარეთ გამოვედი. ხალხი სოფლის ორღობეში ხმაურით მოდიოდა, წინ ღვთისმშობლის ხატს მოაბრძანებდენე და გალობდნენ და ევედრებოდნენ ღმერთს:

- ღვთისმშობელო მარიამ, ნუ გაწირავ სოფელს,
სთხოვე მადლი დიდ უფალს, ჩვენს კეთილისმყოფელს,
ნამი გამოგვიგზავნოს სიცხით დამსკდარ კლდე-ველს,
გოროხებად ქცეულ გზას, ხალხს ლოცვებით მთეველს,
ჩვენ არ გვინდა გოროხი, ღმერთო, მოგვეც წვიმა,
პირდაღებული მიწა შემოგვჩივის წინა...
წყალი უნდა ყველაფერს, რაც რამ გააჩინე,
წვიმა მოგვეც, უფალო, წვიმა, წვიმა, წვიმა!

ჯერ გაკვირვებული ვუყურებდი ამ წრფელ საზეიმო სვლას, მერე მეც მათ შევუერთდი. ყველაფერს თავისიწ ესი აქვს სამყაროში. ევედრებოდა ხალხი თავის მფარველ ღმერთს და მეც მათთან ერთად შვიდი წლის ბავშვი, ვიწერდი პირჯვარს სოფლის საკეთილდღეოდ.დაღლილ-დაქანცულები, ფეხატკიებულები მთელი დღის სიარულით დავიშალეთ და ჩვენ-ჩვენ სახლებს მივაშურეთ ღვთის მადლის მოლოდინში. დაღლილებს ღრმად ჩაგვეძინა.

შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა პატარა სერს შევუდექი, ნელ-ნელა ავიარე მისი დაბილიკებული გზა და ტხემზე მოვექეცი. მინდოდა იმ ადგილას მივსულიყავი და მენახა, საიდანაც ამოაბრძანა თინამ საგულდაგულოდ გადამალული ღვთისმშობლის ხატი. ტყიდან სერის მიმართულებით ყანებს შუა გზა მოდიოდა და მთას აღმოსავლეთის მხრიდან უვლიდა. გზაზე თვალნათლივ ჩანდა მომაალი შავ კაბა-მოსასხამიანი ქალი. შორს იყო ჩემგან და სახეს გარკვევით ვერ ვხედავდი. ვიფიქრე, წავალ, მივუახლოვდები და ვნახავ ვინ არის-მეთქი, და ნაბიჯი გადავდგი თუ არა, გამომეღვიძა.

- ეს ვინ იყო, ვინ დამესიზმრა? - კვლავ იმ ქალის გარშემო დავბორიალებდი და გაკვირვებული ერთ ხანს ხმას ვერ ვიღებდი.

გამოფხიზლებულს სოფლისათვის უჩვეულო დილის ხმაური შემომესმა. კარებში მამიდა სოფინა შემოვიდა და გრილი ნიავიც შემოჰყვა.

- რა ღრმად ჩაგძინებია, შვილო, გაიგე, განა წუხელ წვიმის მოსვლა? ისეთი ჭექა იყო, თითქოს ცა ინგრეოდა...

- მართლა? - წამოვხტი და გარეთ გავვარდი. აღტაცებით შევყურებდი სოფლის ნეტარი დილის ჰარმონიას, კარგი ქართულ-მესხური მაყრულიღა გვაკლდა.

- რას აკეთებ, შვილო, - მომესმა მახრო ძიას ხმა და ისეთი ჯავახური მაყრული წაიმღერა, უკეთესი არც გამეგონა. - ნახე, შვილო, ღმერთმა შეისმინა ჩვენი ვედრება.

სიცოცხლე ახლად იწყებოდა. ბანებზე გადმომდგარი ქალები მადლობას სწირავდნენ უფალს და ღვთისმშობლის ხატს. - ყოჩაღ, თინა, ღმერთი იყოს შენი შემწე!..

როგორ მიწვევს ახლაც ეს ზღაპრული სილამაზის სოფელი, რომელმაც ასეთი დიდი სათნოება დაბადა ჩემში და მის მეხოტბედ მაქცია. ეს მართლაც იდეალი სულისა, სადაც სულ რამდენიმე მოსახლე ცხოვრობდა და ისე შეულამაზებელი სიკეთით ემსახურებოდნენ ერთმანეთს, თითქოს აქვე იბადებიან და სათნო სიყვარულს გამოხატავენ ერთმანეთის მიმართ.

- სოფინ, ერთი-ორი პური მასესხე, კვირას ფურნეს ავანთებ და ცხელ-ცხელ სომინს მოგართმევ.

- რას ამბობ, ქა! - ეტყოდა მამიდაჩემი, - აბა, თქვენ რა პური გაგიძლებთ, ღმერთმა გაგიზარდოთ წვრილშვილი, - აიღებდა და რაც ემეტებოდა, აძლევდა მეზობელს. - არ შეწუხდე და არ დამიბრუნო, როცა არ მექნება, მოგაკითხავ...

- სოფინ, დღეს მაწონი არ შემიყენებია და თუ გაქვს, მიფეშქაშე, - ეტყოდა მეზობელი.

- წადი და ნახე, ოდაში ტახტზე აწყვია, რამდენიც გინდა აიღე.

- წადი, შვილო, ბრმაბიჭიანთ მზექალასთან ითამაშე და თუ სახლში წამოგყვეს, წამოიყვანე. ქადებს გაჭმევთ და თუთმაჯსაც დაგაყოლებიებთ. მერე კოკით წყაროზე წყალზე გაიქეცით, მეტყოდა მამიდაჩემი და უსაქმოდ არ დამტოვებდა, კარგად იცოდა ჩემი მოწყენის ამბავი.

ერთხელ წყაროსთან მისულები კლდეში ამომდინარ ცივ, ანკარა წყლის ჭაში ვიხედებოდით და ჩვენ სახეებს ვუყურებდით.

- ემანდ, ფრთხილად იყავით, ჭაში არ ჩავარდეთ, - მითხრა მახრო ძიამ, - თორემ დაგიძახებენ: „ვარგავის წყალი დაულევიაო!“ - და თან გაიცინა.

- ჰო, შვილო, ასე ამბობენ: ვინც ამ წყალს დალევს, იკურნებაო. ისეთ ჭკუაზე დგება, ტვინს აპნევსო... პროფესორი არ გამოხვიდე, გოგო! - და ხმნამაღლა გადაიკისკისა მამიდაჩემმა.

ახლა კი მივხვდი, რა სიყვარულით მექცეოდნენ ის ცხონებულები.

ის ზაფხული ჩემთვის იმდენად დიდი შინაარსით დაიტვირთა, სიკვდილამდე არ დამავიწყდება, არც ზაფხული და არც ვარგავის დედა ღვთისმშობელი.



თინა ჭეჟია

ბათუმში დამაგვიანდა

ბათუმი არის ლექსი,
ბათუმი არის წვიმა,
მგონი, ეს იყო მაშინ,
დიახ, ეს იყო წინათ...
ო, დაგვიანდა ფრენა,
და აღარ გადის გემი...
ვეღარ დაუკრავს, გატყდა,
თეთრ ვიოლინოს ხემი.
ზღვა ნეფრიტისფრად ელავს
ზედ ბროლად აწვიმს წვიმა,
მე ვერ ვიქნები ბათუმს,
ვერც დღეს და ვერც იმ კვირას...

თოვლი — სტუმარი

ვის ეცოდინება, სად იმყოფებიან
მეთოვლია ჩიტები?
მე მათ ბავშვობაში ვიცნობდი
და მათ ბუმბულს
ბალიშის ქვეშ ვიდებდი...
ჩე გვალადან* მოფრინავდნენ,
იქ, თეთრ ხეებზე ეძინათ,
როგორც კი გაიღვიძებდნენ,
თოვლიც მოფრინავდა ზეციდან...
მეთოვლიები ბებიამ გამაცნო,
ისინი უშიშრები იყვნენ,
ხელს გავუწვდიდი თუ არა,
ბალერინებივით მესხდნენ
მხრებზე და თავზეც კი...
მეღუტუნებოდა, ფათქუნობდნენ,
მე კი წესებს ვარღვევდი...
თურმე, მეთოვლია თოვლისა იყო,
თურმე, თოვლი ზეცისა იყო...
სტუმრები არიანო, ბებიამ
და რადგან წესები დაგირღვევია,
მოდი, ვილოცოთო:
სანთელი თაფლის,
ბებია მართლის,
სიტყვები ღვთისთვის,
მეთოვლიები ცისთვის,
თოვლი — სტუმარი!
— მეთოვლია ვისთვის?
— ჩემთვის მეთქი,
ბებიამ — არაო....
მოვიდნენ და წავიდნენ —
ესეც კმარაო...
წინ წლები ელოდებიანო,
წინ კიდევ უთვალავი ზამთარიო;
მეთოვლიები თუ არ დასხდებიან,
თეთრი ხეები გახმებიან,
ჩე გვალა გაშავდება,
თოვლი გვიწყენს,
ხოლო მეთოვლიები
სხვა ქვეყანაში წავლენო!..
ვინ აწყენინათ მეთოვლიებს,
ვის ეცოდინება სად გაფრინდნენ,
ვინ აწყენინათ ჩიტ — ბალერინებს,
ვინ გაახმო თეთრი ხეები ჩე გვალაზე?..
მოდი, ვილოცოთ:
სანთელი თაფლის!
ეს გული მართლის!
სიტყვები ღვთისთვის!
მეთოვლიები ცისთვის!
თოვლი კი — სტუმარი!

*ჩე გვალა (მეგრ)-- თეთრი მთა

შემოდგომის ფერადები

დავესესხები მე ძვირფას გალას -
„ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“,
არა მგონია, დამედოს ვალად
„მზიანი დღეა, თუ სამუმია“.
ზამთარი ხაზავს ცისფერ კონტურებს,
შემოდგომა კი უკვე მდგმურია,
აქ რომ კაცი დგას, არის პოეტი,
რითმა დაკარგა, დათრგუნულია...
მაგრამ ის ღამით ხატავს სტრიქონებს
და ხანდახან კი, ქალი სწყურია...
თენდება დილა, ფარდიდან სხივი
საწოლს ანათებს, იქ წევს მუმია,
ცრემლი სდის პოეტს, ელოდა სულ სხვას
და ლოგინიდან აგდებს მუმიას,
ფანჯრიდან ღამე მიიპარება,
მან იცის, ბნელში ვინ აურია,
სასწაულია, მაგრამ მუმია
ისე სათნოა, ისე ჩუმია...
—ნეფერტიტია?!. ფიქრობს პოეტი...
ღამე ხარხარებს — ნეფერტიტია!

როგორ გითხრათ, აქ არა ვარ...

როგორ გითხრათ, აქ არა ვარ
შორსა ვარ და პატარა ვარ,
მომწონს უცხო სტუმარი.
იმ სტუმარს კი,
ურიგებენ ჩვენს მეზობელს,
აგერ ჩვენი ჭუტა ჭანტურია რომ არი...
მაგზავნიან — მოვიყვანო,
მაგრამ ჭუტას ხბო ჰყავს ცუდად.
მუხლზე უზის ბოჩოლია,
უნანავებს და ჩურჩულით ეკითხება
— რატომ შფოთავ, სად იყავი, საიდანმე
გველი ხომ არ აგყოლია?
არისუ, მარისუ. სარია სარისუ
ფუჩუნებს გოგო და შელოცვას ასრულებს.
— ბერწული დო ლაკარტია,
ოდგიში, ოდგიში, გვერს მეტახი ოჭიში...
რა ვქნაო, ჩქიმ დაია,
დასუნთქული ბალახი უჭამია,
შეშინებულისას ცალკე შევულოცავ,
შენ წადი, მე ვერ მოვალ...
მიხარია, მიხარია...
ღობეებს მოსდებია გლიცინია
მე კი, სიხარულით მიცინია...
გავრბივარ ასკინკილით და ვყვირივარ,
ბებიაა, ჭუტას ავადა ჰყავს ბოჩოლია,
ვეღარ მოვა, რადგან დასუნქულის
შესალოცად, მზის ჩასვლამდე
დრო ცოტა დარჩენია...
ბებია სასაცილოდ იღიმება,
რადგან სტუმარი სარკეში იყურება
და თვალებს ჭუტავს,
არისუ, მარისუ სარია სარისუ და
მაინც გაათხოვეს ჩვენი ჭუტა.
როგორ გითხრათ, აქ არა ვარ,
ახლა იქ ვარ და პატარა ვარ...

თოხიტარა ჩიტის ამბავი კუდზე ვარდისფერი ზოლით

წყალი მორაკრაკებდა...
ჩიტი-თოხიტარა იჯდა
წყლისპირს...
არ იცოდა, არც წყალმა
და არც ჩიტმა,
რომ წამებში, წყალი
გადმოვიდოდა ნაპირს...
ქუხდა და ელავდა,
ჩიტი აყელყელავდა,
იგრძნო, მაგრამ რა?
— ეს არ იცოდა...
თოხიტარას ელოდა
ხუთი ბარტყი დიდ ცაცხვზე,
ცაცხვი იდგა მაღალი და
ტანადი...
დაინახა წყლის მატება,
ააშრიალა ტოტები,
მაგრამ ქუხდა და ელავდა,
ჩიტი თოხიტარა, კუდზე
ვარდისფერი ზოლით,
ჭიებს არჩევდა ბარტყებისთვის...
ვერ გაიგო ცაცხვის
თავგანწირული შრიალი...
და არავინ იცოდა..
და ვერავინ მიხვდა,
რა მოხდა გზის იქით,
მდინარის პირს...
მხოლოდ ცაცხვმა დაინახა,
მხოლოდ ცაცხვმა იცოდა...
რომ თოხიტარა ჩიტს კუდზე
ვარდისფერი ზოლი გასდევდა.

ამბავი ბროლის კოშკზე და უბედურ პრინცესაზე

ბროლის მთა და ბროლის კოშკი—
მე იქ ვზივარ, ნაზი, ნორჩი.
გრძელი თმა მაქვს ხორბლისფერი,
პრინცებს მირჩევს მამაჩემი.
მთაზე, იმ კოშკს მეხმა დასცა,
თმა მაგლიჯეს მაცილებმა,
ნეტავ, თუ სიზმარი იყო,
პრინცი ცხენით მაცილებდა...
გზად დევებმა ალყა შეკრეს,
უფლისწული უფსკრულს შერთეს...
არვინ იყო ჩემი მხსნელი,
გულს შეასკდა მამაჩემი.
გაქრა ჩემი სილამაზე,
თმებით გავიბლანდე ცაზე,
მოვკვდი ბროლის ნამსხვრევებში
ვერვინ მნახა ქვეყანაზე...

ვარდისფერი სევდა

როგორ მოაბიჯებდი, როგორ იყურებოდი,
მე ხომ ვიცი, მეძებდი და ყველაფერს
ხვდებოდი...
გინდოდა, რომ ზუსტად აქ, სადმე
შეგფეთებოდი...
მჯეროდა, რომ უცილოდ გულში
გეგულებოდი.
მე კი, ნორჩი, ჩურჩუტი, უკან გედევნებოდი.
მინდოდა, რომ გეწვალა, ჯადოქრობას
ვჩემობდი,
ვფიქრობდი, რომ ერთხელაც,
გამოიხედებოდი...
აი, ასე წავიდნენ თეთრი გაზაფხულები,
ასე შავად ჩანაცრდნენ შემოდგომის
ხნულები,
ერთხელ, თვალი მოგკარი, (დიდი იყო
პაუზა,)
ვიფიქრე, ვერ მიცნობდი -გულმა ესეც
დაუშვა...
და ამჯერად, პირველად, (ცოლი გყავდა
მოწმედ და...)
ფერწასულმა მომხვიე ხელი,
დასავიწყებლად.

წვიმიანი ეტიუდი

ცეცხლი იისფრად ანათებს,
სველ კაბას ორთქლი ასდის,
კაცი სიგარეტს უკიდებს,
კატა ინაცვლებს ადგილს...
წვიმა ბროლივით წკარუნობს,
ღვინო ფუჟერში დგას,
-მეტს რას ინებებთ, ბატონო,
გული, ხელი და სხვა?..

მძიმე სიზმრის ვარიაციები

სიზმრად ვნახე, სხვა ვიყავი
ხმა კი, მზეწვიასი მქონდა,
დავიხედე, ფეხშიშველას
ჭიანჭველა მესეოდა...
წინ მდინარე ქუხდა, წვიმდა,
მე კი, ნავი არა მქონდა...
სულ ახალი ფეხსაცმელი
ერთმანეთის მიყოლებით
წყალს მიჰქონდა.
გაღმა მხარეს უცხო იდგა,
ხელს მიქნევდა და მიხმობდა,
იმ ბობოქარ მდინარეზე
გადაცურვას მთავაზობდა.
რომ გავხედე შავ მდინარეს,
შავი გველი ბანაობდა...
ავიწიე და ავფრინდი,
ცამ სიდიდით გამაოცა,
სად მივქროდი, ანდა ვისთან,
არაფერი არ მახსოვდა.
მუჭისტოლა როცა გავხდი,
სულ პატარა გავხდი როცა,
მე, ცას როგორ მივწვდებოდი
სიზმარი თუ არ იქნებოდა...
მაღვიძებდნენ, გავიღვიძე,
ცხადშიც იგივე ხდებოდა,
ღმერთო, გონზე მომიყვანე,
არ ვარ ქალი, არ ვარ, ჰოდა,
იქნებ, ფრთები მომცე ისევ,
აღარ მინდა მე აქ ყოფნა,
ვეღარ ვუძლებ დედამიწას,
ცისა ვარ და ცაში მომკლან!.

დანასობია

მიწაზე ვხაზავდით წრეს.
დანა წვეტიანი უნდა
ყოფილიყო.
მაგრად ვასობდი,
ვჯობნიდი ბიჭებს...
ბავშვები ჭყაოდნენ,
ეგ სხვანაირად იჭერსო,
ფანჯრებიდან ყვიროდნენ,
ფეხზე მოგხვდება, ფეხზეო,
არც არასოდეს მომხვდა
და მამაჩემი იცინოდა —
ბრმის ბედზეო, ბრმის ბედზეო!
ნაწვიმარზე იყო მაგარი,
დანა ღრმად ესობოდა...
ეს ის დრო იყო,
მამიდაჩემმა რომ
მარკიზეტის კაბა
გადამიკეთა,
ოდნავ დიდი მქონდა,
მხრებზე მეტყობოდა...
კაბა ლურჯი იყო,
ფრიალა.
დანამ კაბა დამისერა.
მხოლოდ კაბა,
ფეხი კი არა.
— ბრმის ბედზეო, ბრმის ბედზეო,
მამაჩემმა.
კაბა კი მიყვარდა,
შეიწირა ბავშვურმა
განაჩენმა...
მიწაზე ვხაზავდით წრეს...
დანა წვეტიანი უნდა ყოფილიყო.

10 აპრილის საღამო. (2021 წელი)

ვარანცოვზე, მაგნოლიებთან,
ცისფერი ტაქსი ცარიელი იდგა,
ვიღაც შუახნის ქალი, შავი ჩანთით,
მივიდა და მანქანას შუშები დაუკოცნა...
ამაზე უკან მოხედვა არ ღირდა...
ქალი კი... რა ვიცი, იქნებ, გიჟი იყო,
ან არც იყო და იმ წუთში გაგიჟდა,
მაგრამ ინსტიქტმა მაინც მიმახედა.
ქალი შავ ჩანთას,
უკვე ტროტუარზე მიათრევდა.
ის დრო იყო... ვარანცოვზე,
მაგნოლიებთან,
მტკვრიდან საღამო
ფეხაკრეფით ამოდიოდა...
ცისფერი ტაქსი , ცარიელი იდგა...
მანქანას კი, თეთრად
,,სოხუმი,, ეწერა..

პუშკინის სკვერის ფოტოგრაფია

მეპარება შემოდგომა,
შადრევანი წკრიალებს,
ბროლსათუთი ჩქერალები
ხმაურობს და ბრჭყვიალებს,
სად ვიქნები იმ წლის ამ დღეს,
ვინ მეტყვის, ან ვინ იცის,
გამინათებს სკვერის ბუჩქებს,
სევდიანი თბილისი...
პუშკინის სკვერს ისევ ისე
ოქროს აყრის ჭადარი,
სად წავიდა, შარშან აქ რომ
სეირნობდა, ის ქალი?
ფეხზე ჟოლოსფერ ,,ბალეტკებს,,
მზერა ჰკიდეს კაცებმა,
სად გააქრო ავტობუსმა
ქალი მწვანეთვალება.

ეთერ ზაქარიაძე

,,არასოდეს დაივიწყო ის, ვინც
შენ არასოდეს დაგივიწყებს,
მე შენ არასოდეს დაგივიწყებ
,,ეს იღბალია" !

... იყო კაცი გენერალი, ცხოვრებას
მორგებული,
მრავალი კოალიციას და ომს მოგებული,
ჰყავდა თავისუფალი ცხოვრების
მოყვარული
ერთი კი არა, ასი, მრავალი ქალი...
მაგრამ მრავალიდან გამოარჩევდი ერთს,
დაბალ, ულამაზო, ჩია ტანის ქალს,
კაცური მანერებით, შურისძიებით
მთვრალს,
გენერალი გრძნობდა, მასში
შურისძიების კვალს...
კიდევაც უთხრა ერთხელ:
,,ჩემი სიკვდილისთვის მოსულხარ
და ეშმაკურად მისწორებ თვალს"...
ჩია ქალი ცრემლებით, ტირილით,
ეშმაკურ მანერებით სცენებს უწყობდა
მას,
ეუბნებოდა: ,,თუ სიყვარულს არ
დამიჯერებ,
მეტს ვერ მოვითმენ, მოვიკლავ თავს"...
უწყობდა ცეკვებს, ღამის მასკარადებს,
ყველაფერ უბინობაზე უდებდა თავს,
გენერალიც ვნებას აყოლილი,
მშვენივრად იქცევდა თავს... გენერალს,
ძალიან გამოცდილს, ათას ქალზე
გადამხტარს,
ვინ ასწავლიდა , როგორ მოქცეოდა,
გველის ტყავში გახვეულ ჩია ქალს...
გენერალი თამაშობდა, - რა ვქნა ბრმაა და
ვერ გადავაყოლებ თავს, გენერალის
ბიუსტით,
გენერალის პროფილის ლამაზი თეფშით,
,,ჯოზეფინას და ბონოპარტის" ზღაპრით,
სურათებით, სიყვარულს აჯერებდა ქალს...
ფაქტიურად გულის მხარეს, მარცხენა
ხელში ბიუსტის
სიყვარულის მინიშნება ეკუთვნოდა
სულ სხვა ქალს,
რომელიც სტუდენტობიდან უყვარდა და
დღემდე ევლებოდა თავს... გენერალმა
იცოდა,
ყალბი ცრემლებით ურთიერთობა
დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, მის
ცხოვრებაში
ქალების რაოდენობა ისევ მატულობდა,
ქალებს ის არ ეძებდა, ქალები მასთან
სიახლოვეს
თავად ეძებდნენ... გენერალი კი იწვოდა
ერთით,
რომელიც მისი ცხოვრების ბოლო
ვარსკვლავად
ანათებდა, მისი ხელიდან თუ გონებიდან
გამოსული
თბილი გრძნობა მხოლოდ იმ ერთს
ეკუთვნოდა...
არავინ იცოდა, გენერლის სულში თუ
რა ხდებოდა...
ჭრელი ქამელეონი წვეთ წვეთად
იღვრებოდა,
მოცარტის რექვიემი გუგუნობდა,
ვაგნერის ამოოხვრა,
ზამთრის ყინვაში მოშიებული მგლის
ყმუილი იყო,
მარტოდ შთენილი, განწირული გმირის
გოდება იყო...

ლალი ჩხეიძე

თითქოს მზე ვარ

შენ სიყვარულს, ჩემს სიყვარულს
ეფიცხები, თითქოს მზე ვარ...
ცხოვრების გზამ მარტოსულის როლი
გვარგო...
დამინახე, გამიღიმე,
გაყინული შენი გული უმალ გალღვა,
მესმის: - ჩემი სულის ნაწილი ხარ,
ჩემო კარგო,
შემოგხედე, მორცხვად თავი აგარიდე
და ჩემი გზა გააგრძელე მარტოდ
მარტომ.
არ მომეშვი, დამეწიე, ხელი მაგრად
ჩამჭიდე
და კვლავ ჩურჩულებ: - რაც გზა
დაგვრჩა,
მინდა ერთად გავიაროთ, ჩემო კარგო,
მარტოსულის როლი გვერგო
ცხოვრებაში,
შენ სიყვარულს, ჩემს სიყვარულს
ეფიცხები, თითქოს მზე ვარ,
არ მასვენებ და აგრძელებ:
- მე გეძებდი, გიპოვე და შენი სული
შევიყვარე,
...ნუ გამწირავ! გესმის, კარგო?
ბედნიერებას გპირდები...
დამიჯერე, ერთი გზა გვაქვს და ეს
გზაა სიყვარულის,
რა გაშინებს, იქნებ, მითხრა?
შემოგხედე და ღიმილით გიპასუხე:
- მარტოსულო, მარტოობა არ
მაშინებს, შემიყვარე?
შენ უკვე ხარ ბედნიერი... სიყვარულის
გზა რთულია,
გაკვეთილი მქონდა კარგი... და იცოდე:
- მე მაშინებს მხოლოდ შენი
სიყვარული...
შემოგხედე და ღიმილით გიპასუხე:
- მარტოსულო, მარტოობა არ მაშინებს,
შემიყვარე? შენ უკვე ხარ ბედნიერი...
სიყვარულის გზა რთულია,
გვიანია სინანულიც
და იცოდე, მე მაშინებს,
მხოლოდ შენი,
მხოლოდ შენი სიყვარული...

ალექსანდრე ლაზი

შენ, მამულო, არ მოხარო ქედი

ჩიტის ჭიკჭიკს მოჰყოლია სევდა,
გაზაფხულის გული ნელა სცემდა...
სიოს სურნელს არსაიდან ფევდა
და ყველაფერს ირგვლივ სევდა სდევდა.

ირგვლივ ხენნი აფოთლილან მწვანედ
და ელიან უკვე მერამდენედ...
ვინ გამოსცეს გრძნობა ისე მწვავედ,
გაზაფხულის გაცოცხლების მრწამებრ.

ერთი წამით გაქვავდება გედი,
მერე რხევით კვლავ აიდგამს ენას,
შენ, მამულო, არ მოხარო ქედი,
ერთად შევხვდეთ განთიადის ჩენას.

ეთერ გაჩეჩილაძე

ნეტავ

ნეტავი სულ ყველამ იხაროს ამ ქვეყნად,
სულ ყველამ აუწყოს ცხოვრებას ნაბიჯი.
ნეტავ მას, თუ გვიან ვიღაცამ ეძება,
იპოვა, როგორღაც თავისი ნაწილი.
ხალისი ზეციდან ფიფქებად დაყრილი,
თმებზე და სახეზე, ხელებზე მადნება.
ქარისგან მოჰქრიან ფოთლები გამხმარი
და მიწას თანდათან ხალიჩად ეგება.
რაფაზე გაკიდულ ოცნებებს დავუვლი,
ერთ-ერთი მაინც რომ ამიხდეს, იქნება
და მაშინ მიწაზე მყარად ფეხდადგმული,
ხელებით დავიჭერ ჩამოყრილ ფიფქებსაც.
რამდენჯერ ვინატრე ხმამაღლა ანცივით,
ვყვიროდე სიხარულს, ორივ ხელაწვდილი,
მაგრამ სად იყო, ვერ ვნახე განცდილი
და ასე, ცხოვრებით მრავალჯერ გავწბილდი.
რამდენი ოცნება წლებისგან ნაკინძი,
დამირჩა, ვით მიწას, ფოთლები დაყრილი.
რა მოხდა, რომ გვიან ამიხდეს ნაწილი
და სიხარულისგან ცას აწვდეს ძახილი.

ელისაბედ ჯავახიშვილი

***

ჩემს სარკმელთან
შაშვი გალობს რიჟრაჟიდან,
რის თქმას ცდილობს,
ან ვინ გამომიგზავნა-თქო, ვფიქრობ.
მეც რომ წავალ ამა ქვეყნის პარმაღიდან,
საცალფეხო გზის მეგზურად,
შაშვის სტვენა-მოძახილი,
გამაყოლე, ღმერთო!..
გაზაფხული ასკინკილით გულს მოასკდა,
ისევ ისე სიგიჟმაჟით მიტევს,
თვალხატულას, ხან მცინარს და ხან მოტირალს
მეც მისებურ ჩაცმულობას ვირჩევ.
თუმცა, გული მეცრემლება ცის უბიდან,
ღმერთს შევტირი,
ღმერთო, რატომ ამნაირად,
მე რომ მინდა იმდაგვარი, ასე წმინდა,
სიყვარული მიწილადე, ღმერთო!..
იქნებადა, შაშვიც ამას მიჟღურტულებს,
დამშვიდდიო, დაიოკე ფიქრი,
გარეთ მიხმობს გაზაფხული ასკინკილა,
წამო, ცასთან წამოვიწყოთ ფლირტი...
ასეთია ეს სამყარო მათრობელა,
ასე ზომავს მოსამართლე მიჯნას,
ვის როგორი, ვის რამხელა, რამოდენა
სიყვარულის აზიდვინოს ტვირთი.
ვინ გაიგებს, მაღლა ღმერთის ჩანაფიქრებს,
რას გადაწყვეტს, ვის რა საზრდო მისცეს,
დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი,
მეფიქრება სულ, მუდმივად,
ერთმა ბეწო ჭიანჭველამ
როგორ ზიდოს ამოდენა ტვირთი.
რას შევჩივი, ანდა ვის რას ვემართლები,
მე რომ მსურის იმდაგვარი განცდა,
გეუბნებით, გულახდილად ვაღიარებ,
ზღვაც არ არის იმოდენა მართლა!..
იქნებადა, ყველა ერთად,
რაც კი ოდეს, გაზაფხული ცისქცეშეთში ენთო,
იქნებადა, მე მეწვია ყველა ერთად,
ასე მწველად, მეც ამიტომ ვერ ვთმობ...
მომენატრა შენი ბაგის მწველი სიტკბო,
ამილეწა განცდამ სულის კბოდე,
ერთიანად ამომზევდა ჩემს სულშიაც,
შენი გულის მზისოდენა სითბო.
აგერ, სარკმელს მიჟღურტულებს
სტვენა-შფოთით, ეს პაწია სიყვარულის მაცნე,
გამოდიო, ერთად შევხვდეთ გაზაფხულებს,
გადიყარე გულზე მძიმე შფოთი.
ღმერთო, გვედრი,
სიყვარული მიწილადე,
მარტოობის მეშინია ძლიერ,
მარადისში სულის იაც ამიყვავე,
სულ მინდა, რომ სიყვარულით ვენთო.

ვერიკო კვერნაძე

***

ქარის ქროლვაზე იწყებდნენ თრთოლვას
შემოდგომა და ფოთლები ჭადრის
და მთვარის შუქზე ვარსკვლავთა თოვას
ვუცქერდით ერთად, სურვილს ვუთქვამდით.
ქარი ქროდა და ვერცხლისფერ შუქზე
ჩუმად შემეხსნა საკინძე სულის,
დავფარფატებდი და როგორც ადრე
ჩიტუნებისთვის ბუდეებს ვქსოვდი.
ვერცხლისფერ შუქზე ვისხედით ერთად,
ამომავალ მზეს ჩუმად ვხვდებოდით,
ქარი ქროდა და იწყებდნენ ქროლვას
შემოდგომა და ჭადრის ფოთლები.

***

ცა წვიმას არ თმობს და
შემოდგომის ჩრდილსაც
თითქოს შერევია
ფიფქები სხვაგვარი,
დღეს სულ სხვანაირი
მოჩანს ცა და მიწა
ქუჩას მიუყვება
ფიქრიანი ქალი.

დარეჯან ბებია

დაგეძებ ყველგან

დაგეძებ ყველგან, მთასა თუ ბარში,
დაგეძებ... ყოველ წვიმათა თქეშში,
დაგეძებ... მზიან მცხუნვარე მზეში,
დაგეძებ ყველგან, თან წვრილმანებში.

მთის მაღლობიდან დავყურებ ახლა,
დავეძებ ქუჩებს, სადაც გივლია,
დავეძებ იმ სახლს, სადაც ცხოვრობდი,
დაგეძებ და ვარ მდუმარე ახლა.

დაგეძებ სულში, ზეცად, მთა-ბარად,
ძებნაში მზერამ... მზეც გამაპარა,
დაბურულ ბინდის შუა გულში ვდგავარ
მთვარეს ველოდო? — დავემგზავრები.

აგერ, ეს მთვარეც ჩამოეკიდა,
ჩამოეკიდა ცას ვარსკვლავებით,
მივალ, მომყვება, არ მტოვებს ეულს,
მთვარიან ღამეს ვუმადლი უფალს.

დაგეძებ ახლაც, ღამის მთვარესთან,
იქნებ, მას სტუმრობ, მანძილით შორს ვართ,
იქნებ, ბეწვის ხიდს უხმე უჩემოდ
და დაიმკვიდრე... ღამე მთვარესთან!

დავეძებ ქუჩას, სადაც გივლია,
დავეძებ იმ სახლს, სადაც ცხოვრობდი,
მე კი, მდუმარე ქუჩას გავდივარ,
ქუჩას, სამკვიდროს და სამოთხეულს!

რობერტ ოდიკაძე - 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე რობერტ გიორგის ძე ოდიკაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო რობერტ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ ღირსეულ წევრს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ გუნდს ეკუთვნით, ფეხი სამაჩაბლოში - საქართველოს ამ უმშვენიერეს რეგიონში რომ აიდგა, იმ ღვთივკურთხეულ კუთხეში, სადაც თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აკვანი დაირწა, იმ კუთხეში, რომელიც დღემდე სასოებით და იმედით ელოდება მისგან უღვთოდ მოკვეთილი შვილების დაბრუნებას, დედასამშობლოსთან დაბრუნებას...

თქვენი პოეტური ნათლობა 1981 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ნიანგში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „მიტოვებული სოფელი“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო თუ სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

რა გასაკვირია, თუ თქვენი გულმდუღარე პოეზიის უდიდესი ნაწილი სამაჩაბლოს ეძღვნება. იმ დიდ ტკივილსა და დარდს, ვერაფერი რომ ვერ მოაშუშებს. წერთ ამ ტკივილებზე, სევდაზე, წერთ მართლად, ობიექტურად და ალბათ ამატომაცაა, რომ ქართველმა მკითხველმა მოწონებით მიიღო თქვენი მშვენიერი პოეტური კრებული „მიხმობს, მეძახის“. მოიწონა თუნდაც იმიტომ, რომ ამ კრებულში შესულ ლექსებში მხოლოდ დარდი და ვაება კი არ გამოსჭვივის, არამედ მათი ავტორის სულიერი მხნეობა და შემართებაც, და, რაც მთავარია, ურყევი რწმენა იმისა, რომ სამართალი პურს ჭამს და ეს მშვენიერი კუთხე - საქართველოს მარგალიტი სულ მალე დედასამშობლოს დაუბრუნდება.

ცხინვალთან, სამაჩაბლოსთანაა დაკავშირებული თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობაც. თქვენ, ფილოლოგიის მეცნიერების დოქტორი, გამოწვლილვით იკვლევთ ქართულ-ოსურ საზოგადოებრივ თუ ლიტერატურულ ურთიერთობებს. „საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო გავლენა ოსეთსა და ოსებზე ქრისტიანული თვალსაზრისით“, „ქართველი და ოსი პოეტები ცხინვალის ქართული გაზეთის ფურცლებზე“, „როკის საავტომობილო გზისა და გვირაბის მშენებლობა პრესის ფურცლებზე“. აი, თქვენი ნაშრომების მცირეოდენი ჩამონათვალი, რომლებიც ქართულ სამეცნიერო პერიოდიკაში იბეჭდება და ნათელს ჰფენს იმას, სხვათა წაქეზებით და ხელშეწყობით როგორ იბადებოდა ოსური სეპარატიზმი ჩვენს ძირძველ ღვთივკურთხეულ მიწაზე.

ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით ცხინვალის საქალაქო საბჭოს დეპუტატად, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ განყოფილების გამგედ, გაზეთ „შიდა ქართლის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის“ მთავარ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილედ, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად... ამჟამად რედაქტორობთ გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“, არჩეული ხართ ცხინვალის ჟურნალისტთა რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარედ და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრად.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ღირსების ორდენითა და მედლით აღინიშნა, მონიჭებული გაქვთ ივანე მაჩაბლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წოდება.

ძვირფასო რობერტ!

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და სულ მალე მშობლიურ სანახებში დაბრუნებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

გივი გოგნაძე - 70

70 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი გივი ვასილის ძე გოგნაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო გივი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებით ჩინებულ შემოქმედს, მშობელი ქვეყნის ერთ გულანთებულ მეციხოვნეს და გილოცავთ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 70 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავს.

ქართულ მწერლობაში 1977 წელს შემოაბიჯეთ, როდესაც ჟურნალ „ცისკრის“ დამატება „ნობათში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ პერიოდულად აქვეყნებთ ლექსებს ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში და თქვენს თანამოაზრეებთან ერთად ჩაბმული ხართ უთანასწორო ომში მამულის გადასარჩენად, ქართული ჯიშისა და გენის გადასარჩენად...

„ჯავრის ნისლები“ - ასე ჰქვია თქვენს პოეტურ კრებულს, რომელიც სრულად გამოხატავს მისი ავტორის სულიერ მდგომარეობას. მართლაც რომ ჯავრიანი პოეტი ხართ და საკუთარი სულით დაატარებთ სამშობლოს დარდსა და ვარამს. თქვენი პოეზიის ლირიკულმა გმირმა კარგად უწყის, რომ მისი საესავი ქვეყნის სიცოცხლე ყოფნასა და არყოფნას შორის იმყოფება, მაცხოვარის ცრემლივით მდუღარე და სპეტაკია მისი ფიქრი აწმყოსა და მომავალზე, სუნთქვაშეკრული დაჰყურებს იავარქმნილი ციხის ხავსმოკიდებული ლოდების ქვეშ როგორ გმინავს ჩაქოლილი წარსული, დაჰყურებს გამხმარ ძელქვებს და ეშინია მათი ბედი მისმა სამშობლომაც არ გაიზიაროს. ცის ლაჟვარდებში მობოინე არწივი ივერიის თითქმის უკანასკნელ მეციხოვნედ ესახება და ცდილობს ქართული სულის ქარაგმის ამოხსნას. მაინც მხნედაა და საბრძოლოდ განწყობილი, მაინც ელოდება იმედის მწვანე ლორთქო ბალახის ამობიბინებას. ჯარჯის ფესვი ვარ, ღვლარჭნილი და ვერარა ძალა ვერ შეძლებს ჩემს ამოძირკვასო... იმედიანად შეჰყურებს, თუ როგორ ჭედავენ ქართული სიტყვის ოპიზარები ოქროს ზოდებს მშობელი ერის გამოსაფხიზლებლად, იმ გაზაფხულებისა სწამს, ცას რომ შეხსნიან ღრუბლის გალიას და ოქროს ჩიტს მოუვლენენ ქვეყანას რწმენად და სასოებად.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები შესულია სხვადასხვა ანთოლოგიებსა თუ კრებულებში, თარგმნილია უცხო ენებზე.

ბატონო გივი!

კოლეგები გაფასებენ კეთილშობილებისათვის, პრინციპულობისთვის, სამშობლოს ერთგულებისთვის...

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს უღალატო მეგობარს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ლერი ჩანტლაძე - 85

85 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი ლერი ანატოლის ძე ჩანტლაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო ლერი!

ჩვენო ერთგულო და უღალატო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯასიხ ერთ-ერთ ღირსეულ წევრს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

თქვენს პიროვნებაში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმიან მწერალი და ფილოსოფოსი. ეს არცაა გასაკვირი. მწერალიც და ფილოსოფოსიც ხომ ადამიანის სულს, მის იდუმალებით მოსილ ხვეულებს იკვლევენ, ცდილობენ ჩაწვდნენ სიკეთისა და ბოროტების არსს..

თქვენი სამწერლო ნათლობა 1965 წელს შედგა, როდესაც პირველი მოთხრობები გამოაქვეყნეთ ჟურნალ „მნათობში“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - მოთხრობები, ლექსები, პიესები, კინოსცენარები, მეცნიერული მონოგრაფიები, პუბლიცისტური სტატიები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო თუ სამეცნიერო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე.

ღრმადგანსწავლულ და ერუდირებულ ფილოსოფოსად გიცნობთ ფართო საზოგადოებრიობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა თქვენს როგორც საკანდიდატო („შემოქმედების პრობლემა ნიკოლაი ბერდიაევის ფილოსოფიაში“ – 1972 წ.), ისე სადოქტორო („ყოფიერების ჰორიზონტი“ – 2002 წ.) ნაშრომებს. ცხოველი ინტერესი გამოიწვია თქვენმა ისეთმა წიგნებმა, როგორიცაა „ეგზისტენციალიზმი და შემოქმედებითი პრობლემა“ და „ყოფიერების საზრისი“.

თანამედროვე ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის უდავო ნაწილს წარმოადგენს თქვენი რომანები „ხათრიანი კაცი“ და „ბოთე“, ბიოგრაფიული ნოველების კრებული „ღამის სტუმარი“, მოთხრობების კრებული „ბოთე“...

„იქნებ“ და „ირაო“ ასე ჰქვია თქვენს მშვენიერ პოეტურ კრებულებს, რომლებიც კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ადამიანურ ყოფაზე, წუთისოფლის გაუტანლობაზე. ამ კრებულში დავანებული ლექსები ხომ სევდითა და ტკივილებითაა სავსე...

ქართული თეატრების სცენაზე და ტელევიზიაში წარმატებით დაიდგა თქვენი პიესები „საათი“, „რას მიქვია ტკბილი სიტყვა“, „მუცელა“, „ოჯახი“, „სოლომონ ისაკიჩი“.

სხვადასხვა დროს მუშაობდით სატელევიზიო სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ოქროპირის“ რედაქტორად, ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელ მდივნად და ლიტერატურულ რედაქტორად, გაზეთ „ახალი ქართული გაზეთის“ რედაქტორად. არჩეული ხართ საქართველოს ფილოსოფიური აკადემიის აკადემიკოსად.

ჩვენო ლერი!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს მხცოვან, ამაგდარ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჯენეტი ვეკუა - 60

60 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი ქალბატონი ჯენეტ ვიქტორის ასული ვეკუა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ქალბატონო ჯენეტი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან საინტერესო შემოქმედს და გილოცავენ დაბადების 60 წლისთავს.

თქვენი პირველი ლექსი „წვიამიანი დღე“ 1986 წელს გამოქვეყნდა სოხუმში გამომავალ გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, ჩანახატები, აფორიზმები, სენტენციები, მხატვრული ნარკვევები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ხალკე წიგნებად.

თქვენ ქართველ შემოქმედთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს მიეკუთვნებით, რომელთა შემოქმედებითი ნათლობა აფხაზეთში - საქართველოს ამ მართლაცდა უმშვენიერეს და ძირძველ კუთხეში შედგა.

აფხაზური მზის მადლი და მირონი დღემდე მოგდევთ და თქვენი შემოქმედებაც იმ დიდ ტკივილებთან, დარდთან და ვაებასთან არის დაკავშირებული.

უპირველეს ყოვლისა, პოეტი ბრძანდებით და თქვენი პოეტური კრებულებიც, ისეთები, როგორიცაა „სონეტის ღამე“, „საქართველოს ტრაგედია“ (სონეტების გვირგვინი), „დუელი ბედისწერასთან“, „სიყვარული და გილიოტინა“, „სიკვდილი და სიძულვილი“, „გახლეჩილი სიცოცხლე“, „წმინდა მეფენი ივერიისა“, „მწარე მუხანათი“, „სოხუმის მონატრება“ და სხვები ამის დასტურს წარმოადგენს.

არანაკლებ საყურადღებოა თქვენი პროზაული ტექსტები, რომლებიც შესულია კრებულებში („ცხოვრების დიალექტიკა“, „სიკვდილი სამოთხის კართან“, „სიყვარულის აფორიზმები“, „ბოროტების ფილოსოფია“, „პრინცესა ანასტასია“). მკითხველი, ალბათ, ბევრ საგულისხმო შეგონებას აღმოაჩენს თქვენს ანდაზებსა და სენტენციებში, რომლებიც თქვენს მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზის ანარეკლს წარმოადგენს.

თქვენი შემოქმედების ცალკეული ნიმუშები თარგმნილია აფხაზურ, რუსულ, ინგლისურ ენებზე.

პროფესიით მედიკოსი არაერთ სამედიცინო დაწესებულებაში მსახურობდით და პირნათლად ასრულებდით ჰიპოკრატეს ფიცს. მუშაობდით გაზეთ „ფაქტი, აზრი, კომენტარის“ კორესპონდენტად. დიდი ცისფერყანწელების ხსოვნის საპატივცემულოდ დააარსეთ და რედაქტორობდით გაზეთ „ცისფერ ყანწებს“.

კოლეგები გიცნობენ, როგორც ენერგიულ, მიზანსწრაფულ და ოპტიმიზმით სავსე პიროვნებას, რომელიც არასდროს უშინდება წინააღმდეგობებს და უშიშრად იბრძვის მათ დასაძლევად...

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას თანამებრძოლს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჯემალ შანიძე

ბაბუას

მე შენს დაკარგვას ახლა ვგრძნობ
მძაფრად,
განვიცდი, როგორც არასდროს ისე,
მძიმეა, როცა ოჯახის ძაფი
გაწყდება და ვერ ამთელებ ისევ.

და თუკი ახლა გვხედავ და გესმის,
იმქვეყნად თუკი არსებობ სადღაც,
შენა ხარ ჩვენი უფროსი მწყემსი
და შენით ავალთ სიკეთის აღმართს.

ზამთარი

ხასიათს მიცვლის მაინც უდავოდ
შენზე ფიქრი და თოვლის ამინდი.
გარეთ როდესაც ქარი გუნდაობს,
დაფარულია თოვლით კრამიტი.
როცა სახლშიაც აღწევს წვიმის ხმა,
ღრმა მოგონებებს ვმარცვლავ
გონებით,
მიყვარს ხმაური სველი მიწისა,
ვზივარ და ვუსმენ სიამოვნებით.
გონება მაინც ვერასდროს წაშლის
რაც ადრე იყო, ძალიან ადრე,
და ახლა ჩემი ძვირფასი სახლიც
ამ მოგონებებს ბადებს და ბადებს.
არ მინდა სხვასთან გაყოფა გრძნობის,
მსურს დავიფერფლო შენთვის და
შენად,
მე ვიცი, თოვლი დამიცდის წლობით,
თუმც ვერ გავიგებ მე თოვლის ენას.
მე მინდა შენი ლამაზი ხელი
მეჭიროს, როგორც ფაქიზი გუნდა,
და მიყვარს, როცა სიტყვები მწველი
სწრაფადვე მიგაქვს ცახცახით
გულთან.
ხასიათს მიცვლის მაინც უდაოდ
შენზე ფიქრი და თოვლის ამინდი,
ქარი როდესაც გარეთ გუნდაობს
და იფარება თოვლით კრამიტი...

* * *

შენ ისე კარგი ხარ და ისე თბილი ხარ
და ისე მაოცებ მაგ შენი ბუნებით,
მენდე და მერწმუნე, მე დღემდე
ვერაფრით,
ვერაფრით,
ვერაფრით
ვერ დაგიწუნებდი.
შენ ისე კარგი ხარ და სანატრელი ხარ.
ო, როგორ გიამბო, მიჭირს
დარწმუნებით,
ამიტომ, ძვირფასო, მე დღემდე
ვერაფრით,
ვერაფრით,
ვერაფრით,
ვერ დაგიწუნებდი.
ხოლო შენ, ჭკვიანო, მომთმენო,
გამგებო,
მე გირჩევ არ აყვე ამ საშიშ ცდუნებას,
შენს გარდა მე ბევრი ჭკვიანი,
ნასწავლი
გოგონა წიხლს მკრავდა და
დამიწუნებდა.

წარღვნის შემდეგ

გადაიარა შფოთმა და შიშმა,
მდინარის პირას გამოჩნდა სახლი
და სახლთან ახლოს დატოვილ ნიშანს
დავყურებ, როგორც უტყუარ სამხილს.

მხოლოდ ღმერთისღა გვჯეროდა
ყველას,
ძლივს გადატანილ დღეების შემდგომ,
და, აი, უკვე გამოჩნდა შველა,
არადა როგორ გვიჭირდა ერთ დროს.

ვარდობის თვე

ვარდობის თვეს, მაისის თვეს მზე
სიამეს ახლიდა,
მოდიოდი და მოგქონდა სიხარული
სახლიდან.

არცა შური, არცა წყენა, ბოროტ
გზებზე მავალი,
მიცემოდეს დავიწყებას მრავალ,
მრავალ, მრავალი...

მხოლოდ შენ ერთს გეუბნები, თუ
ხარ ჩემი მსმენელი,
რომ გაივლის ბევრი წელი კვლავაც
შეუსვენებლად.

შენ შერჩები მაღალ მწვერვალს
ბუკებით და დაირით,
ვარდობის თვეს ვარდი იყოს,
ვარდი მრავალნაირი...

* * *

ეს თებერვლის საღამო
შენს სახელსა მღერის,
სევდა არ შემაყარო
შენი თვალის ფერი.

გეტყვი გულის ნადებსა
სიყვარულის გამო,
მომკლავს შავი ადესა
თებერვლის საღამოს.

შინერსს ემოწაფეთ მხოლოდ!..

მუშოთ მოკო, უსკანეთუ
ტყურათ შური მიდგუდასუ...
ხალხური

მოხდა ისე, რომ 2022 წლის 17 მარტს გავიკეთე ურთულესი უროლოგიური ოპერაცია. ასეთი გამოწვევის წინ, ამ სახით გავესაუბრე ჩემს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს, სახლიკაცებს, მოდგმას: ...სამწუხაროდ, აგრესიული გლობალიზმის გეოპოლიტიკას, თანამედროვე „მსოფლიო წესრიგის“ პირობებში, განსაკუთრებით ჩვენს მიმართ, არ გააჩნია ზნეობრივი განზომილებები.

ამგავარი ქუჩისფსკერულობიდან გამოსავალი ერთია, — შურობომუს დედან შინაარსს ჩაუმშობლიურდით ჯერ, რათა, სრულიად საქართველოს ემუხლმაგროთ ღირსეულად. ასე ქენით, კი მეთქი, იმისთვის, რომ ქრისტესმხედრებად გაუქუდზეკაცდეთ ღვთისმშობლის წილხვედრილობას და ამის გასნვრივ, ღირსებაში მონავარდენი, უმცდარ ნიშანსვეტად უნდა დადგეთ ქართველთა გონითი განფენის სივრცეში.

„დილემა კაცობრიობის წინაშე“-ს, **„საქართველოს სულიერი მისიი“**-სა და **„ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებ“**-ის ავტორმა, დიდმა მოაზროვნემ, ეროვნულმა და სახელმწიფო მოღვაწემ, მეცნიერმა, ქრისტესმხედარმა, დიახ, ერის წინამძღოლმა ზვიად გამსახურდიამ ერთდროულად და უკანდაუხევლად მიახალა ევრო-ატლანტიკურ რასიზმსაც, კრემლიდანურ ველიკოდერჟავნიკობასაც და მათსავით მობაცაცე ნებისმიერს (რასაც შეეწირა კიდეც წამებულის ხვედრით) — **ეროვნება არა აქვს(ო) ცხოველს!..**

ცხადია, ერს თუ დაეწრიტა თავისი მანყალუხვებელი სამხარეო შემომდინარებანი, იგი გაქრება, აღიგვება, გამსუბუქყოფაქცევდება.

გეთანხმებით, **„ქართლ-კახეთად, იმერეთად, სამეგრელოდ, გურიად“**... (მ. ლებანიძე) სამშობლოს გათითოკაცება რეგვენთა და წინგაუხედავთა მესადავეობით, რა თქმა უნდა, მაცალკავებელია, მაგრამ იგივე **„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო“ და ა. შ.** (დუტუ მეგრელი) სრულიად საქართველოდ ერთსხეულდება, როდესაც ასეთ ქვემორე მოცემულობას ყოველდღიურობის სულიერ მოთხოვნილებად, აზროვნების წესად და დღის წესრიგად დაიდგენ: *ვთქვათ და თელავის რომელიღაც სოფელში მიხო ღობეგლეჯიაშვილს* **„სი ქოული, ბატა“**-*ს წაღიღინება მოეწყურვილა, სულში ჩაიფესვა ის, ხოლო ზუგდიდში, გნებავთ მესტიაში თუ მრავალტანჯულ სარფში, — უჯუმ კაკაჩია, ჩალისიმე ფილფანი ან ალე თანდილავა, ანთებული სანთლით ხელში, ფეხზე წამოუდგება* ***გრემ*, *გორიჯვარს, გარეჯს*** *(დიდება მათ სახელს!)... ყველა ესენი კი ერთად ასეთივე სულისკვეთებით საერთსხეულოდ მოითვალსანიერებენ თუშეთს, ხევს, ლაზეთს, ჰერეთს, ლორეს, ტაოს, აჭარას.... ჩაეძიებიან თავიანთ ქალდეურ (არამხოლოდ) ძირებს...*

შემთხვევითი არაა, რომ მეოცე საუკუნეში ქართული სულიერებისა და სიტყვაკაზმულობის დიდოსტატმა კონსტანტინე გამსახურდიამ ერთიანი საქარათველოს სახეზოგადობის — სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვრად და კირითხუროდ ლაზი უტა დაგვისურათხატა, გაგვისახეზოგადა (რასაც, როგორც ყოფითი, ასევე მსოფლმხედველობრივი და თვითმოძიებითი საფუძველი დიახაც რომ ქონდა).

მართალია, ამ დროს ლაზეთი დედასაქართველოდან პოლიტიკურად ჩამოგლეჯილი გახლდათ, მაგრამ სანამ ქართული მხარეების ერთსხეულება ჯიშისმიერ მეხსიერებაში მუხლმაგრობს და მტკიცეა სულიერებაში, ერი თავისი გონითი განფენის სივრცეში ყოველთვის მოახერხებსო ცნობიერ თუ თვითშეგნებით უბზარობას, — ამით ეს შეგვახსენა და გვითხრა გვითხრა დიდმა **„კოლხურმა კოშკელმა“**.

უდავოდ დიდი მოღვაწე და წმინდა ილია მართლის ღირსეული თანამოსანგრე გახლდათ ბატონი კონსტანტინე. ჩემი აზრით ასე იმიტომ მოხდა, რომ მას, სალიტერატურო დედო ქართულის გენიოსს, თავისი მეგრული რაგადობა, ანუ ფუძემდებლური საწყისთაგანი სრულიად საქართველოს ვინაობისა, ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. **ამავე დროს, ცადწვდომილ სალიტერატურო ქართულზე საუბრისას ელიანდაგებოდა ისეთ ცნობიერ თვითგამოსახვასა და საწარმოთქმო ხორხისმიერებას, რომელიც მხოლოდ სამეგრელოშია.**

აქ ერთიც უნდა გავიხსენო: მეოცე სუკუნის 60-იან წლებში დიდ ქართველ მწერალს, უკვე მსოფლიოში სახელგანთქმულ მოღვაწეს — ერმა რომ დიდოსტატი უწოდა, შეხვედრები მოუწყვეს საქართველოს სხვადასხვა მხარეში თავის 70 წლისთავთან დაკავშირებით. გასაგებია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველომ (აფხაზეთმა) განსაკუთრებული პატივი მიაგო **„მთვარის მოტაცების“** ავტორს.

როდესაც გალის საზოგადოებასთან, ანუ სწორედ ამ **„მთვარის მოტაცების“** ცნობიერ სივრცეში შედგა შეხვედრები, შემაჯამებელი საღამოს შემდეგ გაიმართა საბედიანოელებისათვის, მეტიც, საქართველოს გამაერთიანებელი მეფის — ბაგრატ მესამის საკანისათვის საკადრისი ნადიმიც (იცით, იგი ბედიაში ნიშანსვეტობს დღესაც თავისი წმინდა საფლავით და მეაღვირეობს ერის სულისკვეთებას).

თამადამ, საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების შედეგად აფხაზეთის ასსრ-ად, ანუ „სხვათა ქვეყნად“ დადგენილი მარადქართული ცხუმ-აფხაზეთის კომპარტიელმა „პირველმა“, დიდოსტატი რუსულად, ანუ „ნა ობშემ იაზიკე“ ადღეგრძელა.

ამის საპასუხოდ, დიდმა ქართველმა მწერალმა ხაზგასმულად საზოგადოებას მხოლოდ მეგრული რაგადობით მიმართა და ნადიმის ბოლომდე ასე ეურთიერთა მისთვის ძვირფას მასპინძლებს (სვათაშორის, ის კომპარტიელიც მშვენივრად ფლობდა ამ რაგადობას და აჰყვა მას).

ამაში სადიდებო ისაა, რომ დიდოსტატმა კონსტანტინემ ამით ხმამაღლა განაცხადა, — დიახ, საბჭოთა დივერსიული ეთნოფაბრიკაციების მესვეურთა გასაგონად გააოთხივკუთხა, რაცაა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი), ანუ იგივე ჩრდილო-დასავლეთ სამეგრელოს დედანი შინაარსი!..

აქვე უნდა გავიხსენო რეფო-შეშელეთელი (გალის რაიონი) ილია ვეკუა, უდიდესი ქართველი, მსოფლიოში ერთერთი ტოლუპოვარი მოაზროვნე, მოღვაწე, მეცნიერი... მანაც, უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, თანმიმდევრულმა ქართველმა განმანათლებელმა, როდესაც მიწიერებიდან ზეციური საქართველოსაკენ გაისვლაგეზა, თავისი რეფო-შეშელეთური რაგადობით შეაფასა წუთისოფლობა, — „პოტიკი-რე“-ო, ანუ მარადიულობა ღვთივწვდომილება�ა მხოლოდ.

არაფერს ვამბობ წმინდა ამბროსი ხელაიას თავანკარა ილორულ რაგადობაზე... რომელი ერთი შეგახსენოთ.

ეს, რაც შეეხებათ ერისა და კაცობრიობის წინაშე ვალმოხდილ პიროვნებებს. ახლა ერთ ჩაგუნია კაცზე — კაპტოზე უნდა გიამბოთ.

ის დროა, როცა **„ჩქინ ბერია“** — კრემლის ერთერთი მესადავე ლავრენტი პავლოვიჩი გახლდათ. ამის მიუხედავად, საქართველოში ავადსახსენებელი **„მეგრელთა საქმე“** დაგრიგალებდა.

საქართველოს კპ გალის რაიკომის, არ ვიცი პირველი თუ მეორე მდივნის, ვთქვათ პანტეს მეზობლად ცხოვრობდა ეს ჩვენი კაპტო თავისი ლასკარით. პირდაპირ ვიტყვი, მისი კარმიდამო არ ტოვებდა შეძლებული კომლის შთაბეჭდილებას.

მდივანს არ ესახელებოდა კარის მეზობლის ასეთი ხელმოკლეობა და თავისი დედის პირით შეუთვალა, — პარასკევს, დილით, ამა და ამ საათზე მოვიდეს ჩემთან, დავეხმარები, სახლს შევაკეთებინებო.

არადა, ჩაის გამალებული კრეფაა, ყოველდღე გეგმის შესრულებას აზუსტებენ, საკუთარი თავის მოსაფხანი დრო არავის აქვს, ირგვლივ შიშია, **„მეგრელთა საქმე“** ჩვენც არ შეგვეხოსო!

პარასკევს კაპტო დანიშნულ დროს მიადგა მდივანს, მისი თანაშემწის ნებართვით კარებზე ზრდილობიანად დააკაკუნა და მოკრძალებით შევიდა. მდივანმა ხელით ახიშნა, აქეთ დაბრძანდით, ახლავე მოვრჩები და შენს გასაჭირს მივხედოთო.

შეგახსენებთ, რომ იმ დროს დასაქოქი ტელეფონების ხანა ყოველდღიურობდა, ერთი განმანაწია სჭირდებოდა ვინმესთან დაკავშირებას.

ჰოდა, ამხანაგი პანტეც, კარგა ხნის ქოქვის შემდეგ, როგორ იქნა, დაუკავშირდა ვიღაცას, — ***ალო, ვოროშილოვი რექო (ე.ი. კლიმენტი ეფრემის ძე ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა ხარო?), მუჭო გილუნა საქმე?***

მოპასუხის ხმა კაპტომაც გაიგონა, მან თავანკარა მეგრული რაგადობით მდივანს მოახსენა, რომ ჩაის კრეფის გეგმა სრულდება, მეცხოველეობაშიც არა აქვთ ჩამორჩენა, მოვლილია ყანები და ა. შ.

კმაყოფილი მდივანი დაემშვიდობა თანამოსაუბრეს და მორიგს შეეხმიანა. იგივე დავიდარაბის გავლის შემდეგ, — ***ალო, მალენკოვი, მუ ქიმინით, გეგმას ქასრულენთო?***

იქიდანაც დამამშვიდებელ პასუხს გალელი მეგრელის საუბრიდან ვერ გაარჩევდი.

სასწაული ტელეფონის მესამე დაქოქვაზე მოხდა: ***ალო, ბერია რექო, ამ ქომრჩქილ, სკან დანიშვნაშა ხანდა მიშამიძ, ონჯლორეს მოძირანქ, კინოსკილადირ რეთ!..***

კაპტო ჩაგუნია კი იყო, მაგრამ აქ მიხვდა, რომ ამ უხერხული საუბრის მონმე არ უნდა ყოფილიყო, ჩუმად ადგა და კარისკენ გაიძურნა.

— ***თუთაშხას, ოჭმარეს, ჩხორო საათის გეგმაშ შესრულებაშ ანგარიშ ვამომღიდა, უკულ სკან დუც დაბრალ!..*** — მოესმა განცვიფრებულ კაპტოს ზურგსუკან მდივნის ბობოქარი ხმა.

მიუხედავად იმისა, რომ კაპტო ამ ჯერზე საპირადოს ვერ ეწია, მაინც რაღაც შინაგან კმაყოფილებას გრძნობდა. შინისაკენ გაითოხარიკა. თავის შესახვევთან ამხანაგ პანტეს დედას — ძაბას გადაეყარა. მან ღიღინით მიმავალი კაპტო რომ დაინახა, ჰკითხა, როგორა�ა საქმე, —***–ქოძირიო პანტე?***

— ***ნეეე... (იგივეს ნიშნავს საბედიანოში (გალის რაიონში), რასაც „იმე“... დავით კლდიაშვილის იმერლებთან), პანტეს ჩქიმდა ჩოდუნო, თუთაშხას, ჩხორო საათის ბერია აფ ჭანაფილ... (ჩემთვის სცალიაო პანტეს, ორშაბათს, ცხრა საათზე, ბერია ჰყავსო დაბარებული).***

ცოტა ხნის შემდეგ სასიამოვნოდ განცვიფრებულმა კი არა მარტო, გაბედნიერებულმაც კი, სულაც ფეხებზე რომ ეკიდა საკუთარი გასაჭირი, დაამატა და გაანდოსავით (რას იზამ, **„მეგრელთა საქმე“** წიხლისკვრით დათავხედობდა), — ***მუს გიწინე, ქოიჩქუნო, მუშ მაჯგირა ნკონდა მარგალურ ნოჩქენა ვოროშილოვც დო მალენკოვც...*** მეტი რა ექნა ამ კაცს, ის უხაროდა, ვოროშილოვი და მალენკოვი მეგრულად რომ „ლაპარაკობდნენ“ გაგანია „მეგრელთა საქმის“ მიუხედავად...

სადაც გინდათ, იქ დავიფიცებ, ჩაგუნია კაპტო უძახე შენ და მას ასევე აღაფრთოვანებდა იგივე ტელეფონში ვოროშილოვისგან და მალენკოვისგან თუშური, სვანური, აჭარული, იმერული, კახური და ა. შ. შემოხმიანებებისათვის რომ მოეკრა ყური.

ახლა, როგორ ფიქრობთ, სად და რად ეძებთ ამდენხანს ამაოდ, — კაპტოს ჭერქვეშ უნდა დაიგულოთ მომავალი ამბროსი ხელაია, კონსტანტინე გამსახურდია და ილია ვეკუა. სწორედ ამნაირ სულისკვეთებაში, რომ არ ელი ისე, რაჟიკუნას, მიხოს, ირაკლიეს, სოზარის... სასახლიკაცო ლასკართან ეროვნულ ერთსხეულად ინრთობა სრულად საქართველოს ნაცადი კირითხურო, იწმინდება ეროვნული სული, დიახ, აქ მუხლმაგრდება **„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე მოაზროვნე საქართველო“**, აქ მკაფიოვდება უხსოვარ ქალდეამდე გაწვდენილი მეხსიერება!..

ჯგრაგ გიორგი, ადიდე ერთობილი საქართველო!..

... და კიდევ — **„სი ქოული, ბატა, მა დომტალენქო, — ჭყოლირ ვორექ, ხართილ ვორექ, ვაშემბრალენქო?!.“**

სერგი (გიორგი) საჯაია
2022 წ. 16 მარტი.



ᲐᲤᲮᲐᲖᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ-ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲛᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲛᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲕᲐᲠᲗᲝᲛᲘᲗ ᲐᲤᲮᲐᲖ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲡ ᲜᲘᲙᲐ ᲔᲛᲮᲕᲐᲠᲡ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲐ.

34 ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ. ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲬᲘᲒᲜᲛᲐ ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲘᲢᲘᲐ. ᲐᲑᲡᲢᲠᲐᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡᲢᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲜᲘᲙᲐ ᲔᲛᲮᲕᲐᲠᲘ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ. ᲮᲣᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐ.

ᲜᲘᲙᲐᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲐ.

ᲤᲐᲠᲗᲝᲐ ᲜᲘᲙᲐ ᲔᲛᲮᲕᲐᲠᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲗᲐ ᲡᲤᲔᲠᲝ. ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲘᲒᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ, ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲛᲚᲘᲓᲐᲜ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ.

ᲘᲣᲡᲣᲓ ᲗᲔᲛᲣᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲮᲐᲜᲛᲝᲙᲚᲔ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ ᲡᲔᲠ�გᲝᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲠᲘ�გᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲙᲚᲓᲐ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲚᲘᲢ-ᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲘᲪᲘᲜᲖᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲢᲔᲕᲐᲓᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲪ ᲨᲔᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲛᲔ-20-21 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲒᲐᲡᲐᲧᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1950 ᲬᲚᲘᲡ 1 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ. 1967 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔ-15 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲒᲐᲜᲐ�გᲠᲫᲝ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲢᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ. ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔ-20 ᲑᲐ�გᲐ-ᲑᲐᲦᲨᲘ ᲐᲦᲛᲬᲠᲓᲔᲚᲐᲓ, ᲛᲔ-13 ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲐᲓ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲐᲓ.

1975 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ Ა. ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲑᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲛᲣᲨᲐᲙᲐᲓ. ᲐᲛ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ 1997 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲐᲐᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲝᲑᲓᲐ �გᲐᲖᲗ „ᲙᲐᲚᲛᲐᲡᲝᲑᲐᲡ“... ᲘᲧᲝ ᲐᲚᲛᲐᲜᲐᲮ „ᲐᲚᲒᲔᲗᲘᲡ“ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲗ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲝᲛᲔᲢᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ, ᲒᲐᲖᲗ „ᲛᲬᲔᲠᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓ�გᲘᲚᲔ, ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ. ᲘᲧᲝ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ, ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲔᲡ“...

ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲜᲘᲛᲣᲨᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲡᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲐᲔᲠᲗ ᲞᲝᲔᲢᲣᲠ ᲐᲜᲗᲝᲚᲝ�გᲘᲐᲨᲘ, ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲘᲚᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ, ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠ, ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠ, �გᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ, ᲠᲣᲡᲣᲚ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚ, ᲡᲝᲛᲮᲣᲠ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ, ᲛᲐᲗᲗᲖᲔ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ. ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲕᲠᲐᲓ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ, ᲐᲜᲐ ᲐᲮᲛᲐᲢᲝᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲫᲚ ᲣᲜᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ.

ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲛᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲐ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲡᲔᲜᲢᲘᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ“, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ („ᲛᲖᲔᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ“, „ᲡᲘᲮᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ“, „ᲛᲢᲘᲠᲐᲚᲐ ᲜᲘᲐᲜ�გᲘ“).

ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲣᲫᲦᲕᲜᲐ �გᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲐᲫᲘᲡ, ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ �გᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡ, ᲞᲐᲝᲚᲝ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ, ᲒᲠᲘ�გᲝᲚ ᲠᲝᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ, ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ, ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ.

ᲛᲘᲡᲘ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲜᲔᲑᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲘᲜᲘᲨᲜᲐ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲔᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐᲗ ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ - ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐ

ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ, ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲢᲙᲘᲕᲜᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ.

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲞᲝᲙᲠᲝᲡ ᲫᲔ ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲠᲘ�გᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲐᲙᲚᲓᲐ ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲙᲐᲚᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲓᲐ XX-XXI ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲒᲐᲡᲐᲧᲐᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲡ.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1948 ᲬᲚᲘᲡ 6 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲝᲑᲣᲯᲨᲘ. ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐᲛ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲒᲐᲜᲐ�გᲠᲫᲝ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲪᲕᲐ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲐ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ „ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲨᲘ“, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ 2007 ᲬᲚᲔᲚᲡ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲐ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡᲢᲘᲙᲐᲨᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ. ᲐᲛ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲪᲕᲐ ᲓᲘᲡᲔᲠᲢᲐᲪᲘᲐ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ „ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲨᲘ“, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ 2007 ᲬᲚᲔᲚᲡ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲑᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲓᲐ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲡ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡᲢᲘᲙᲐᲨᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲝᲑᲐ“ 1978 ᲬᲚᲘᲡ ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘᲡᲢᲘᲙᲐᲨᲘ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ. ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲛᲣᲨᲐᲕᲐ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐᲡ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲭᲔᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲥᲛᲜᲘᲡ ᲓᲐᲣᲝᲙᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲧᲣᲠᲕᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲙᲐᲓᲠᲣᲚᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲮᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲛ - ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲝᲔᲢᲘ, ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲘ ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲮᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲮᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ 1957 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ, ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲬᲧᲐᲕᲠᲝᲙᲐᲨᲘ. ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ.

ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔ-ᲠᲐᲓᲘᲝᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲙᲝᲠᲔ-ᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲐᲓ, ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲐᲓ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ – ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠ-ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲜᲢᲐᲓ.

1978 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲩᲐᲑᲛᲣᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ. 1990 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲐᲓ.

1989 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ.

ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲮᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ 9 ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐ